http://www.tsu.ge/newspaper

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებით მისი ბიუსტი გაიხსნა

ალმა მატერ

უნივერსიტეტი

6 ივნისი, პარასკევი, 2008 წ. №8 (2075) ფასი 30 თეთრი

ქართველ ემიგრანტთა ახდენილი ოცნება

დიასპორის დღე უნივერსიტეტში

სამშობლოს ნოსტალგია, რომელიც ქრონიკულ დაავადებასავით მრავალი წლის მანძილზე ტანჯავდა ქართულ ემიგრაციას, განკურნებადი გახდა. „შორეული“ საქართველოდან ჩამოტანილი მიწის ჩაყრა ფეხსაცმელში საჭირო აღარ არის. უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს დღეს უკვე თავისუფლად შეუძლიათ მშობლიურ ქვეყანაში მიიღონ ის ენერგია, რომელიც ასე აკლდათ უცხოობაში.

ოთხი საუკუნის წინ ირანში გადასახლებულ ფერეიდნელ ქართველებში ასეთი რწმენა არსებობდა: ვინც ნაწვიმარზე ცისარტყელის ქვეშ გარბენას შეძლებდა, დიდი ხნის სანუკვარი ოცნება აუხდებოდა და მამა-პაპათა საძვალეთა ნახვას ეღირსებოდა.

შურთხია გეროშვილი

ბედის უკუღმართობის გამო დიდი ხნის წინ დატოვებულ ქვეყანას „გულით ხედავდნენ“ ინგილო, ფერეიდნელი, ჰერეთელი, ფრანგი, გერმანელი, ამერიკელი თუ ებრაელი ემიგრანტები. მათთან კონტაქტი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეალურად გახდა შესაძლებელი და ეს საკითხი 2003 წლის „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლებისთვის პრიორიტეტად იქცა.

„საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, საერთაშორისო ავტორიტეტი ბევრად არის დამოკიდებული იმაზეც, თუ რამდენად პატრონობს ის თავის თანამემამულეებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მიმაჩნია, რომ დიასპორის დღის აღნიშვნა, რომელიც უკვე მეორე წელია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მეორე დღეს — 27 მაისს იმართება, სწორედ იმის დადასტურებაა, რომ ჩვენი სახელმწიფო ფიქრობს და ზრუნავს თავის მოქალაქეებზე.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნა პრეზიდენტის იმ დიდი პროგრამის გაგრძელებაა, რომელიც მან ქვეყნის აღმშენებლობისთვის დაიწყო. როდესაც საქართველო საერთაშორისო სტანდარტებს გაუტოლდება, საზღვარგარეთ მყოფ ქართველობას მეტი მოტივაცია ექნება თავის ქვეყანაში დაბრუნების“, — განაცხადა უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ მერაბ ჩუხუამ.

მე-3 გვერდზე

26 მაისი ქართულ ემიგრაციაში ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღი იყო

1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ურთულესი საშინაო და საგარეო ვითარება უძღოდა წინ.

ამიერკავკასიის დემოკრატიულმა ფედერაციულმა რესპუბლიკამ თურქეთთან (ოსმალეთთან) ურთიერთობა ვერ მოაგვარა.

მაია ტორაძე

1918 წლის 11 მაისს ბათუმში გაიხსნა ამიერკავკასიისა და თურქეთის საზავო კონფერენცია, რომელზეც აშკარა გახდა, რომ თურქეთი ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მიღებული ტერიტორიების გადაცემას და ამიერკავკასიის ტერიტორიის მიტაცებას გეგმავდა. აქედან გამომდინარე, დაუყოვნებლივ უნდა აღდგენილიყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რათა თურქეთს მზაკვრული გეგმის შესრულების საშუალება არ მისცემოდა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა აკაკი ჩხენკელი, რომელმაც ამ საშიშროების თაობაზე საქართველოს ეროვნულ საბჭოს ბათუმიდან აცნობა.

1918 წლის 25 მაისს, 11 საათზე, თბილისში, ფრეილინის (ახლანდელი სულხან-საბას) ქუჩაზე შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელზეც ნოე ჟორდანიამ დამსწრეებს აკაკი ჩხენკელის წერილი გააცნო და აღნიშნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისთვის საჭირო იყო ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის სეიმს რესპუბლიკა დაშლილად გამოეცხადებინა და უფლებამოსილება მოეხსნა. სეიმის სხდომა 25 მაისს უნდა გამართულიყო, მაგრამ იგი არ შედგა, რადგანაც მაუსავატელთა და დაშნაკთა ფრაქციებმა სეიმის მუშაობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ამიტომ ქართველები იძულებულნი იყვნენ დამოუკიდებლად ემოქმედათ.

სხდომაზე ნოე ჟორდანიას გამოსვლის შემდეგ საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ზოგიერთმა წევრმა მოითხოვა იმავე დღეს გამოცხადებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობა, რასაც არ დაეთანხმა ნოე ჟორდანია, რომელმაც თავისი პოზიცია ასე განმარტა: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლამდე გაურკვევლობას შექმნიდა, რადგან იარსებებდა ორი მთავრობა — ამიერკავკასიისა და საქართველოსი. მიუხედავად ამისა, სხდომამ მაინც მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა 25 მაისს გამოცხადებულიყო. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნოე ჟორდანიამ განაცხადა, რომ პასუხისმგებლობას იხსნიდა მოსალოდნელ შედეგებზე.

1918 წლის 25 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მაინც არ მოხერხდა, რადგან შემუშავებული არ იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. ამან საკითხის 26 მაისისთვის გადადება გამოიწვია. აქტის ტექსტის შედგენა ნოე ჟორდანიას დაევალა.

მე-4 გვერდზე

ბოლონიის უნივერსიტეტთან ურთიერთ-თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა
მე-2 გვერდზე

მეცნიერების კომერციალიზაცია ესტონეთის მაგალითზე
მე-6 გვერდზე

ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა განათლების დარგში წლის ქალბატონად მარიამ ლორთქიფანიძე დაასახელა
მე-8 გვერდზე

ახალი თვითმმართველობა დეცენტრალიზებულ სტრუქტურად ყალიბდება
მე-10 გვერდზე

როგორ გამოიყურება მომავლის საუნივერსიტეტო ქალაქი?
მე-10 გვერდზე

თსუ — „უნივერსიადა 2008-ის“ გამარჯვებული
მე-15 გვერდზე

ბრძანება

№34/01-01 27.05.2008

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2008 - 2009 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოყვანის წესით და შიდა საუნივერსიტეტო მობილობით სტუდენტების ჩარიცხვის ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ
„უმაღლესი განათლების“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოყვანის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა 2008-2009 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მოხდეს აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში დარეგისტრირებულ ვაკანტურ ადგილებზე.
2. სტუდენტთა მობილობისთვის განცხადებების შესაბამისი საბუთების მიღება განხორციელდეს 2008 წლის 14 ივლისიდან 25 ივლისამდე ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, თსუ ფაკულტეტების კანცელარიაში.
3. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს (რ. ბოჭორიშვილი, დ. თვალთვაძე, ნ. ბელქანია, ჯ. ჯანჯღავა, დ. კერესელიძე, ა. ცისკარიძე):
   ა) წარმოადგინონ საგამოცდო თემები და შეფასების კრიტერიუმები 2008 წლის 3 ივნისამდე.
   ბ) უზრუნველყონ კონკურსანტთა კრედიტების აღიარება 2008 წლის 25-29 აგვისტომდე და შესაბამისი ფორმით სასწავლო დეპარტამენტისათვის მიწოდება.
   გ) წარმოადგინონ შესაბამისი დარგობრივი საგამოცდო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობა 2008 წლის 29 აგვისტომდე.
4. კონკურსანტთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2008 წლის 1-2 სექტემბერს თსუ ფაკულტეტებზე.
5. საკონკურსო გამოცდა ჩატარდეს 2008 წლის 3 სექტემბერს.
6. გამოცდის შედეგები გამოცხადდეს 2008 წლის 5 სექტემბერს.
7. სააპელაციო განცხადებების მიღება განხორციელდეს 5 და 8 სექტემბერს.
8. კონკურსანტთა შეხვედრა სააპელაციო კომისიასთან შედგეს 2008 წლის 10 სექტემბერს 12 საათზე.
9. საკონკურსო გამოცდის საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 2008 წლის 11 სექტემბერს.
10. ფაკულტეტების დეკანებმა უზრუნველყონ საკონკურსო გამოცდის საბოლოო შედეგების საფუძველზე სტუდენტთა გადმოყვანის წესით ჩარიცხვის შესახებ წარდგინების მომზადება და წარმოდგენა 12 სექტემბერს.
11. სასწავლო დეპარტამენტმა უზრუნველყოს სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოყვანის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება 17 სექტემბერს.
12. დაევალოს საერთო განყოფილებას (ნ. ოვსიანიკოვა), უზრუნველყოს ამ ბრძანების გადაცემა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის.
13. ბრძანება განთავსდეს თსუ ვებ-გვერდზე და გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“.
14. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
15. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 თებერვლის ბრძანება №121.

რექტორი, პროფესორი
გ. ხუბუა

სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის გადადგმული ნაბიჯები

თინათინ მარგალიტაძე, სასწავლო დეპარტამენტის უფროსი:

ახლახანს უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ განიხილა და დაამტკიცა სასწავლო დეპარტამენტის მიერ მომზადებული ნორმატიული დოკუმენტი — „სასწავლო პროცესის რეგულაციები" და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი საუნივერსიტეტო განათლების ყველა საფეხურისთვის.

დებულებაში განსაზღვრულია თსუ-ის სტუდენტის სტატუსის მინიჭების პროცედურა და წინაპირობები, მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის.

არაერთგზის აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი ღიად უჭერს მხარს და მონაწილეა ბოლონიის პროცესის, იგი აქტიურად ახორციელებს ხშირად რთულ, მაგრამ აუცილებელ რეფორმებს ამ გზაზე. ერთერთი ასეთი ნაბიჯია კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის, სტუდენტთა მობილობის ხელშემწყობი პირობების შემოღება. უნივერსიტეტში მობილობა ყოველ სემესტრში ხორციელდება და აღნიშნული ნორმატივი ამ პროცესის დარეგულირებას ისახავს მიზნად.

დოკუმენტში ასევე განმარტებულია სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, აღდგენის პირობები, დეტალურადაა აღწერილი სტუდენტის უფლება-მოვალეობები და ქცევის წესები, განსაზღვრულია სწავლის საფასური საუნივერსიტეტო განათლების ყველა საფეხურისა თუ ცალკეული პროგრამებისთვის.

რეგულაციებით დადგენილია საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული და დამატებითი სემესტრის ვადები და პირობები, თავისუფალი მსმენელის სტატუსი და უფლებები, უცხოეთსა თუ საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესწავლილი პროგრამის აღიარების პირობები.

ამავე დოკუმენტით განისაზღვრება გამოცდების ჩატარების ზოგადი წესები და პირობები, კლასიფიცირებულია შეფასების სისტემა, განერილია გამოცდის შედეგების გასაჩივრების წესი, შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა თუ ბათილობის პირობები.

ჩვენი ღრმა რწმენით „სასწავლო პროცესის რეგულაციები" მნიშვნელოვანი ნორმატიული დოკუმენტია, რომელიც დაეხმარება უნივერსიტეტის სტუდენტსა თუ თანამშრომელს სასწავლო პროცესის სრულყოფის საქმეში და იგი სამართლებრივ იარაღად იქცევა არაორდინალური, რთული სიტუაციების დარეგულირებისას. ამგვარი დოკუმენტის შემუშავება მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია საუნივერსიტეტო რეფორმების გზაზე. „სასწავლო პროცესის რეგულაციები" განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, გამოიცემა ბროშურის სახით და ხელმისაწვდომი იქნება უნივერსიტეტის სტუდენტების, თანამშრომლების, აგრეთვე აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ სხვა პირთათვის.

მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ასევე ჩვენს დეპარტამენტში შემუშავდა, გახლავთ აკადემიური საბჭოს 2008 წლის 19 მაისის დადგენილება „2008-2009 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ". დოკუმენტით სრულადაა გაწერილი მობილობის პროცესის ჩატარების, სასწავლო სემესტრის, მაგისტრატურაში მიღების ვადები შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისათვის.

სასწავლო დეპარტამენტის სამუშაო მაგიდაზე ამჟამად კიდევ რამდენიმე, ჩვენი აზრით, ასევე მნიშვნელოვანი ნორმატიული, საცნობარო თუ დამხმარე დოკუმენტის პროექტი დევს, რომელიც უმოკლეს ხანში განიხილება.

ბოლონიის უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა

2007 წლის სექტემბერში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ გიორგი ხუბუას იტალიის ქალაქ ბოლონიაში ვიზიტის დროს, როდესაც იგი ესწრებოდა „უნივერსიტეტების დიდი ქარტიის" ე.წ. „მაგნა კარტას ობსერვატორიის" კონფერენციას, გაჩნდა ბოლონიის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულების გაფორმების იდეა.

ნინო კაკულია

კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების შედეგად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბოლონიის უნივერსიტეტს შორის უკვე გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა, აკადემიური პერსონალისა და მკვლევართა გაცვლითი პროგრამების განხორციელებას, ერთობლივი სემინარების, სიმპოზიუმებისა და დისკუსიების ორგანიზებას ორივე მხარისთვის საინტერესო თემებზე. ხელშეკრულება მოიცავს ასევე ურთიერთთანამშრომლობას როგორც სწავლების, ისე კვლევის სფეროში.

„თსუ-ის რექტორის გიორგი ხუბუას იდეის საპასუხოდ ამ ურთიერთობის მესაძირკვლე გახლავთ მედიევისტიკის დეპარტამენტი და ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორი ლორენცო პერონე, რომელიც ჯერ კიდევ 2000 წელს საქართველოში, კერძოდ კი თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში სტუმრობისას, როგორც პიზის უნივერსიტეტის წარმომადგენელი, ჩვენთან თანამშრომლობით დაინტერესდა. მისი წყალობით გაფორმდა ხელშეკრულება თსუ-სა და პიზის უნივერსიტეტს შორის და მან ახლა უკვე მეორეჯერ გამოიჩინა ინიციატივა ბოლონიის უნივერსიტეტთან საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბების კუთხით. ევროპის პირველ უნივერსიტეტთან, რომლის სახელიც ბოლონიის პროცესთან სიმბოლურად არის დაკავშირებული, ხელშეკრულების გაფორმება საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს, მაგრამ ეს ბარიერი 6 თვიანი მოლაპარაკებების შედეგად ჩვენ გადავლახეთ. ამიტომ თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ კავკასიის პირველი უნივერსიტეტი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას აფორმებს პირველ ევროპულ უნივერსიტეტთან, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული რეფორმების პროცესი მთელ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში", — აღნიშნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ირინე დარჩიამ, როგორც ამ მოლაპარაკებებში ჩართულმა მხარემ.

გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ოქტომბერში პირველად ესტუმრება პროფესორი ლორენცო პერონე, რომელიც ბიზანტინისტიკის საერთაშორისო კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას და წაიკითხავს ლექციებს როგორც ბიზანტინისტებისთვის, ისე შუა საუკუნეების ფილოსოფიით, ლიტერატურითა და ისტორიით დაინტერესებული სტუდენტებისთვის. როგორც გაირკვა, ბოლონიის უნივერსიტეტში აკადემიური ექსპერტიზის მიზნით თსუ-ს უკვე გაგზავნილი აქვს იტალიანისტიკის პროგრამა. ბოლონიის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაცვლითი პროგრამების განხორციელება და ერთობლივი კვლევის პროცესი მომავალი სასწავლო სემესტრიდან დაიწყება.

ქართველ ემიგრანტთა ახდენილი ოცნება

დიასპორის დღე უნივერსიტეტში

პირველი გვერდიდან

28 მაისს ქართული დიასპორის წარმომადგენლებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა. ივანე ჯავახიშვილის დარბაზში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ დიასპორის წარმომადგენლებს საქართველოში სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ უცხოელი თანამემამულეებისთვის უნივერსიტეტი „მუდმივი მისამართი“ გახდება. მისი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში უნივერსიტეტს საზღვარგარეთ მოღვაწე ორმოცი პროფესორი ეწვევა, რომლებიც ქართველ სტუდენტებს ლექციების კურსს წაუკითხავენ. მათ ფინანსურ დახმარებაზე საქართველოს პრეზიდენტის ფონდი და სახელმწიფო უნივერსიტეტი იზრუნებენ. „ჩვენი სტუდენტებისთვის ეს იქნება დიდი მოტივაცია. გარდა ამისა, უნივერსიტეტში შეიქმნა კომისია, რომელიც საუკეთესო სტუდენტებს ზელანდიაში მოღვაწე პროფესორის ესტატე ხმალაძის სტიპენდიას მიანიჭებს. მოხარული ვარ, რომ ჩვენს შორის კავშირი ახალ ფორმებს იძენს“, — დასძინა გიორგი ხუბუამ.

სამეცნიერო კონფერენციის — „ჰერეთი ტაო-კლარჯეთი ფერეიდანი“ მონაწილეებს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ თამარ მახარაშვილმაც მიმართა. „ამ კედლებში მრავალი ადამიანი აღიზარდა, რომელიც ამჟამად წარმატებით მოღვაწეობს უცხოეთში. დადგა დრო, როდესაც ქვეყანამ ხმამაღლა უნდა თქვას: — ეს ის ხალხია, რომელიც თავის ქვეყანას სჭირდება!...



ფერეიდნელი ისტორიკოსი საიდ მულიანი

დიასპორის დღე არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც აღინიშნება. სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში იულონ გაგოშიძე ამ თარიღს ჩვენს თანამემამულეებთან ერთად გერმანიაში, შემდეგ კი საფრანგეთში იზეიმებს. დიასპორაზე ზრუნვა მხოლოდ ერთი სამინისტროს ფუნქცია არ არის, ეს ყველას საკეთებელი საქმეა. დიასპორა ჩვენი საზოგადოების ნაწილია, რომელიც სხვადასხვა დროს მძიმე სოციალური თუ პოლიტიკური პირობების გამო დაშორდა თავის სამშობლოს. ჩვენგან ისინი მხარდაჭერასა და სითბოს მოელიან“, — აღნიშნა თამარ მახარაშვილმა.

საფრანგეთის დიასპორის სახელით ღონისძიების მონაწილეებს ემიგრანტი ოთარ პატარიძე მიესალმა, რომლის გამოსვლამ დარბაზში ემოციური მუხტი კიდევ უფრო გააძლიერა. როგორც ბატონმა ოთარმა განაცხადა, ის „უბრალო ქართველია“, მაგრამ არავიზე ნაკლებად უყვარს თავისი სამშობლო. „ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენთან შეხვედრა. მართალია, ჩვენ ემიგრაციაში ყოფნით ვიტანჯებოდით, მაგრამ თქვენც არანაკლებ დაისაჯეთ საბჭოთა რეჟიმის პერიოდში... დღეს სიტუაცია შეიცვალა და იმედი მომეცა, რომ ჩვენს შორის ურთიერთობები უფრო მეტად გაღრმავდება“, — განაცხადა ოთარ პატარიძემ. მან ასეთივე ემოციურობით წაიკითხა ლექსი, რომელიც მამამისმა 1938 წელის 26 მაისს დაწერა.

საზოგადოებამ დიდი ინტერესით მოუსმინა ფერეიდნელ ისტორიკოს საიდ მულიანის მოხსენებას „ქართველების როლი ირანის ისტორიაში, კულტურასა და ცივილიზაციაში“. აღსანიშნავია, რომ ბატონი საიდ მულიანი ფერეიდნელ ქართველებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლის. „ფერეიდანში დღესაც ყველგან ქართული წარწერებია. დიდი ისტორია გვაქვს, ამიტომ ვამაყობთ ჩვენი ქართველობით და იმით, რომ საუკუნეების განმავლობაში მშობლიური ენა შემოვინახეთ. ფერეიდანში, ტრადიციულად, ქორწინება მხოლოდ ქართველებს შორის იყო დასაშვები, გლობალიზაციის პირობებში ამის შესრულება უკვე რთულია. ამიტომ შევადგინე ქართული ენის თვითმასწავლებელი და „დედა ენა“, რათა ჩვენმა შვილებმა მშობლიური ენა არ დაივიწყონ. ირანში გამოიცა ჩემი წიგნი — „ქართველთა როლი ირანის ისტორიაში“, რომელიც ალბათ თქვენც დაგაინტერესებთ.

დიდი ხნის განმავლობაში გვქონდა იმის შეგრძნება, რომ მიტოვებული ხალხი ვართ, მაგრამ ახლა სულ სხვა განწყობაა. ჩემი აზრით, რასაც ჩვენი ერის და სამშობლოს წინაშე ვაკეთებთ, საკმარისი არ არის, ვალდებული ვართ, უფრო მეტი გავაკეთოთ და ამაში თქვენი თანადგომა და მხარდაჭერაც გვჭირდება“, — განაცხადა საიდ მულიანმა.

საქართველოს საზღვრებს გარეთ გავრცელებულ დიალექტებზე და პროექტზე — „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“, ისაუბრეს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებმა: მარინა ბერიძემ და ლია ბაკურაძემ.

როგორც თავის მოხსენებაში მარინა ბერიძემ აღნიშნა, ქვეყნის პოლიტიკურმა ცხოვრებამ, უკუღმართმა ბედმა ქართულენოვანი სამყაროს უცნაური გეოგრაფია ჩამოაყალიბა: ფერეიდანი — კახელებით, აზერბაიჯანი — ჰერებით, თურქეთი — მესხებით, აჭარლებით, იმერხეველებით, ტაო-კლარჯებით, შავშებითა და ლაზებით...

„როგორია უცხო პოლიტიკურ გარემოში მოხვედრილი სოციუმის ბედი, როგორ ინარჩუნებს ის თავისთავადობას, ეროვნული და ინდივიდუალური იდენტობის რომელი მახასიათებლები აქტიურდება პოლიტიკური თუ კონფესიური გარემოს შეცვლის დროს? — დიალექტოლოგიური კვლევის მიზნით მოპოვებული ტექსტები დრომ გასული საუკუნის უნიკალურ დოკუმენტებად აქცია. ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით დიალექტური მასალების არქივირება და დოკუმენტირება საშუალებას მოგვცემს, შთამომავლობას შემოვუნახოთ როგორც ლინგვისტური სახე დღევანდელი საქართველოსი, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული დიალექტების ნიმუშები.

საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელებული დიალექტების კვლევა ინტენსიურად მიმდინარეობდა გასული საუკუნის დასაწყისიდან. პირველი იშვიათი ტექსტები ინგილოური და ფერეიდნული დიალექტისა მოსე ჯანაშვილმა და არნოლდ ჩიქობავამ გამოსცეს. მას შემდეგ 50-იან წლებში ქართული დიალექტოლოგიის ქრესტომათიის მოსამზადებლად ექსპედიციებში დაგროვდა მასალა. საინგილოში მოპოვებული მასალების ბაზაზე შეიქმნა მონოგრაფია და ლექსიკონი.

ჩვენი ჯგუფი დიდი ხანია მუშაობს როგორც ექსპედიციების ახალი მასალების შეკრებაზე, ისე ძველი მასალების გადარჩენასა და შესწავლაზე. დიალექტიკური ტექსტები მნიშვნელოვანია ისტორიული და კულტურული თვალსაზრისითაც. ტექსტებში ხშირად უნიკალური ისტორიული ფაქტები ფიქსირდება. ვხვდებით ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. ფერეიდნულ ტექსტებში ნათლად ჩანს, თუ როგორ უფრთხილდებოდნენ ირანში გადასახლებული ქართველები თავიანთ ფესვებს, მონატრებული საქართველოს სიყვარული საუკუნეებს გამოატარეს ქართველებმა“, — აღნიშნა მარინა ბერიძემ.

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელმა მაია ბარიხაშვილმა საზოგადოებას გააცნო, თუ რა ვითარებაში მიმდინარეობდა სწავლა-განათლება XIX საუკუნის საინგილოში. მისი ინფორმაციით, ამჟამად დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში მუშავდება ახალი სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტები, რომელიც საინგილოსა და თბილისში განხორციელდება. „2000 წელს ეროვნულ-სამეცნიერო ფონდში მარინა ბერიძემ წარადგინა პროექტი „ჰერეთი ვირტუალურ სივრცეში“, რომლის ფარგლებშიც საინგილოს ყველა სოფელში 2006-2007 წელს ჩავიწერეთ უამრავი ვიდეო და აუდიო მასალა. ვახორციელებთ, ასევე, საგანმანათლებლო პროექტებს. 2007 წელს გადაცემა „ეტალონში“ მოსწავლეები ჰერეთიდან ჩამოვიყვანეთ, დავამეგობრეთ თბილისის 62-ე და კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლები“, — აღნიშნა მაია ბარიხაშვილმა.

აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის აზრით, ფერეიდნელმა ქართველებმა საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნეს ძველი ქართული ტრადიციები და ეროვნული სახე, მაგრამ გლობალიზაციის პირობებში შეიძლება ბევრი რამ დავიწყებას მიეცეს, ამიტომ აუცილებელია ძველი ტრადიციების ფიქსირება. მან ასევე ვრცლად ისაუბრა ისტორიულ ჰერეთში ამჟამად შექმნილ რთულ სიტუაციაზე და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ხელისუფლება მათ პრობლემებს სასიკეთოდ გადაწყვეტს.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ფილმის — „მზიანი ღამის ფერები“ ჩვენება, რომლის რეჟისორია ნიკო წულაძე. კადრს მიღმა დარჩა უნიკალური ფოტო და ვიდეო მასალა, რომელიც ასახავს ტაო-კლარჯეთის დღევანდელ მდგომარეობას. როგორც თამარ მახარაშვილმა აღნიშნა, სამინისტრომ რეჟისორთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმად ფოტო-არქივი შეიქმნება.

უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის ფოიეში მოეწყო ჰერეთის, ტაო-კლარჯეთისა და ფერეიდანის ყოფის ამსახველი ფოტოების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული და თსუ-ის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების თავმჯდომარის ტარიელ კვიციანის მიერ გადაღებული ფოტო-მასალა.

ქართული ისტორიული ძეგლები: ოშკი, ბანა, ხანძთის მონასტერი, ქაჯის ციხე, სადაც, სავარაუდოდ, მშვენიერი ნესტან-დარეჯანი ჰყავდათ ქაჯებს გამოკეტილი, ახიზას ციხე, კახის „მცირე ალავერდი“, საფლავის ქვის წარწერა ფერეიდანში, ალავერდი-ხან უნდილაძის მიერ აშენებული ისპაჰანის ხიდი... — წარსული და აწმყო, იქ მცხოვრები ქართველების ყოფა და ტრადიციები —ასეთი იყო გამოფენის თემატიკა.

დიასპორის დღე საზეიმო კონცერტით დასრულდა. ეროვნულ სამოსში გამოწყობილი პატარა ემიგრანტები ქართველმა და უცხოელმა მაყურებელმა ოვაციით დააჯილდოვა.

როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, ქართულ დიასპორასთან ურთიერთობა ერთი კალენდარული დღით არ შემოიფარგლება, რადგან სტუმრებსაც და მასპინძლებსაც სამშობლო აერთიანებთ.

ფერეიდანში დღესაც ასე ამბობენ: „დედა ენის დამვიწყებელს დამტირალი არა ჰყავდეს!“. ამ სიტყვებით ამღერებული ფერეიდნელების შემყურეს აუცილებლად გაგიჩნდება იმის იმედი, რომ მათ საქართველო და ქართული ენა არასდროს დაავიწყდებათ.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა

ხალისიანი და საინტერესო ლექციების შემდეგ „საბავშვო უნივერსიტეტში“ არდადეგები გამოცხადდა.

შურთხია ბეროშვილი

1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კომპანია „ჯეოსელის“ მიერ გამართულ ერთობლივ აქციაზე ღონისძიების ორგანიზატორებმა მოსწავლეებს მრავალფეროვანი პროგრამა შესთავაზეს.

გაერთიანებული ლექციების მოსმენის შემდეგ გაიმართა ვიქტორინა, რომლის გამარჯვებულები კომპანია „ჯეოსელმა“ დააჯილდოვა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული „ნორჩთა სკოლის“ მოსწავლეებს პროფესორმა მიხეილ ქურდიანმა წაუკითხა ლექცია თემაზე: „ქართული საგანმანათლებლო ტრადიციები“.

— თქვენი არჩევანი — ისწავლოთ სახელმწიფო უნივერსიტეტში, უკვე გარკვეული პოზიციაა. თქვენ უნდა იტვირთოთ ერთგვარი პასუხისმგებლობა საქართველოს მომავალზე, — აღნიშნა ლექციის დასაწყისში პროფესორმა მიხეილ ქურდიანმა.

უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული „საბავშვო უნივერსიტეტის“ მოსწავლეებს კი პროფესორი ოლეგ ნამიჩეიშვილი ესაუბრა თემაზე: „კავშირგაბმულობა — მიღწევები და პრობლემები“.

კომპანია „ჯეოსელის“ საუკუნის პროექტი: „იყალთოს აღდგენა-რესტავრაცია“ მსახიობმა დუტა სხირტლაძემ წარმოადგინა.მისი ინფორმაციით, „ჯეოსელის“ ინიციატივით იყალთოს აკადემიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები დაიწყო. „საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა კომერციულმა სტრუქტურებმაც დაიწყეს, რაც მისასალმებელია. „ჯეოსელი“ ამ მიზნით სხვა პროექტების განხორციელებასაც აპირებს“, — აღნიშნა დუტა სხირტლაძემ.

ერთობლივი ლექციების შემდეგ გაიმართა მხიარული ვიქტორინა. დუტამ და მომღერალმა ანანო მჟავიამ გამარჯვებულები ლოტო-ტრონის საშუალებით გამოავლინეს. მოსწავლეები კომპანია „ჯეოსელმა“ ახალი აქციის: „მხიარული არდადეგების“ პაკეტით დააჯილდოვა.

ბავშვთა დაცვის დღე მოსწავლეებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემაც მიულოცა. მისი თქმით, ახალი სასწავლო წლიდან უნივერსიტეტი დასვენებულ, გაზრდილ და გაჯანსაღებულ ბავშვებს კვლავაც სითბოთი და სიყვარულით გაუღებს კარს.

უნივერსიტეტის სტუდენტები თელავის ბავშვთა სახლს ესტუმრნენ

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და სტუდენტურმა თვითმმართველობამ, უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინიციატივითა და ქალაქ თბილისის მერიის ხელშეწყობით საქველმოქმედო აქცია გამართა.

აქციის მონაწილეებმა თელავის ბავშვთა სახლის 130-მდე აღსაზრდელს წიგნები და სუვენირები გადასცეს.

„წიგნები თითქმის ყველა ასაკის ბავშვისთვის გავითვალისწინეთ. პატარებს გადავეცით ზღაპრები ქართულ და უცხოურ ენებზე, უფროსკლასელებს კი — სათავგადასვლო ლიტერატურა, უილიამ შექსპირის და ნოდარ დუმბაძის თხზულებები. აქციის ფარგლებში ბავშვებისთვის მოვაწყვეთ მხიარული თამაშები, რომელსაც თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტები უძღვებოდნენ.

საახალწლოდ კიდევ ერთი ვიზიტი დაიგეგმა. ბავშვები შეგვპირდნენ, რომ დაგვახვედრებენ თავიანთ სურვილებს და ჩვენი „თოვლის ბაბუა“ შესაძლებლობის ფარგლებში მათ სურვილებს შეუსრულებს“, — განაცხადა თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თეა ნადირაძემ.

თელავის ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორმა ბესო აივაზაშვილმა კმაყოფილება გამოთქვა აღნიშნული აქციის გამო და მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

აქციის დასასრულ, ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისთვის საბავშვო ვოკალურმა ანსამბლმა „იმედმა“ კონცერტი გამართა.

26 მაისი ქართულ ემიგრაციაში ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღი იყო

პირველი გვერდიდან

1918 წლის 26 მაისს, 3 საათზე, გაიმართა ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა, რომელზეც გაუქმდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა. სეიმმა მოიხსნა უფლებამოსილება.

იმავე დღეს, 4 საათსა და 50 წუთზე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდა 42 წევრი და 36 კანდიდატი. სასახლის წინ მოედანი და მიმდებარე ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი. სასახლის თავზე ფრიალებდა საქართველოს ეროვნული დროშა.

სხდომა გახსნა ნოე ჟორდანიამ. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი გააცნეს როგორც ეროვნული საბჭოს სხდომის მონაწილეებს, ასევე სასახლის წინ შეკრებილ ხალხს. ამის შემდეგ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ერთხმად, ყოველგვარი შესწორების გარეშე მიიღო და დაამტკიცა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც ხელი მოაწერა 88 კაცმა (მასალები ამოკრებილია მ. ვაჩნაძის და ვ. გურულის წიგნიდან „რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ“).

1921 წლიდან, საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ანექსიის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ ემიგრაციაში განაგრძო მოღვაწეობა.

მიუხედავად ისტორიული ბედუკუღმართობისა, 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი დღემდე რჩება უმნიშვნელოვანეს დოკუმენტად, რომელმაც 1991 წლის 9 აპრილს, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ისტორიულ და სამართლებრივ ჩარჩოში მოაქცია.

26 მაისის ისტორიულ მნიშვნელობასა და ემიგრაციაში ქართველთა მოღვაწეობაზე გვესაუბრება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ბუბა კუდავა.

— ბატონო ბუბა, როგორ აფასებთ 1918 წლის 26 მაისის ისტორიულ მნიშვნელობას?

— 1801 წელს რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულმა ცალკეულმა პოლიტიკურმა ერთეულებმა არსებობა გააგრძელეს კიდევ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. უკანასკნელი ქართული სამთავროები XIX საუკუნის 60-იან წლებში გაუქმდა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრიობის წყვეტა საქართველოში (XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან 1918 წლამდე) არ ყოფილა ისეთი ხანგრძლივი, როგორც, მაგალითად, სომხეთში, სადაც XI საუკუნის შემდეგ სახელმწიფო ფაქტობრივად არ არსებობდა. 1918 წლის 26 მაისისთვის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას მეტი შემამაგრებელი წინაპირობები ჰქონდა. ამ თარიღის ერთერთი მთავარი „დამსახურება“ ისიცაა, რომ მან საქართველოს სახელმწიფოებრიობა აღადგინა დაახლოებით იმ საზღვრებში, რომელშიც ის ერთიანი სამეფოს დროს არსებობდა.

საბჭოთა პერიოდში მეგონა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარებისთვის სამი წელი საკმაოდ დიდი დრო იყო, მაგრამ დღეს, როცა ხელახალი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან — 1991 წლის 9 აპრილიდან დღემდე 17 წელი გავიდა და საქართველოს სახელმწიფოებრიობა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებისა და გაძლიერების პროცესშია, მივხვდი — დემოკრატიული საქართველოს მესვეურებს საკმაოდ ცოტა დრო ჰქონიათ. მიუხედავად ამისა, იმ არასრულმა სამწლიანმა დამოუკიდებლობის პერიოდმა საქართველოს ისტორიაში უზარმაზარი კვალი დატოვა, რომელმაც განსაზღვრა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის შემდგომი სტრატეგია.

მახსოვს XX საუკუნის 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის გამოსვლები და მახსოვს მკვეთრი ხაზგასმა, რომ საქართველოს

ეროვნული მოძრაობა 1918 წლის 26 მაისს ეფუძნება. ჩნდება კითხვა — რატომ მაინცდამაინც 26 მაისი, როცა ისტორიაში, მადლობა ღმერთს, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის შემამაგრებელი სხვა ეპიზოდებიც მრავლადაა? პასუხი ნათელია — იმიტომ, რომ საქართველოს ახალი დამოუკიდებლობა იურიდიულად უნდა დაფუძნებოდა სწორედ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს და ამით ხაზი უნდა გასმოდა, რომ 1921 წელს უხეშად დაირღვა 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების დარღვევით შეწყდა საქართველოს სახელმწიფოებრიობა. ეს იურიდიული ნიუანსი ძალიან კარგად გამოიყენა მაშინდელმა ეროვნულმა მოძრაობამ.

26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი დღესაც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც 1918 წელს იყო. ქართული სახელმწიფოებრიობის იდეა და მისი აღდგენის იმედი ამ სამი წლის წყალობით ცოცხლობდა საქართველოს საზღვრებს გარეთაც და ჩვენშიც.

— როგორ იხსენებენ ამ თარიღს ემიგრანტები?

— უკანასკნელ ხანს ქართველი ემიგრანტების შთამომავლებმა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადმოსცეს საარქივო მასალები. მათში მრავლადაა ფოტოები, მოსაწვევები, მისალოცი ბარათები, პირადი წერილები, პლაკატები, პერიოდული გამოცემები, წიგნები, რომლებიც 26 მაისს უკავშირდება. ამ მასალებიდან ნათლად ჩანს, როგორი სიყვარულით და იმედით ხვდებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ემიგრაციაში.

მათ გამორჩეულად უყვართ და, ამავე დროს, პატივს სცემენ იმ პერიოდის სახელმწიფოებრივ სიმბოლიკას — დროშას, რომელიც ბოლო პერიოდამდე ჩვენი სახელმწიფო დროშა იყო (ქართულ ემიგრაციაში დღესაც თანაარსებობს როგორც დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო დროშა, ასევე დამოუკიდებელი საქართველოს პირველი დროშა). წლიდან წლამდე 26 მაისი ქართულ ემიგრაციაში ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღი იყო. ამ დღეს იკრიბებოდნენ დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები და ერთად მიაგებდნენ პატივს დამოუკიდებლობის იდეას. ტარდებოდა პარაკლისი ქართულ ეკლესიაში და ეწყობოდა ზეიმი ლევილსა თუ სხვადასხვა სათვისტომოებში.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა, რომელიც 1921 წელს ემიგრაციაში გაემგზავრა, საზღვარგარეთ აგრძელებდა მოღვაწეობას. როგორი იყო მათი პოლიტიკური ცხოვრება?

— შეიძლება ითქვას, რომ ემიგრაციაში სიმბოლურად ქართული სახელმწიფოებრიობა იმ 70 წლის განმავლობაშიც არსებობდა. მე მისაუბრია ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებთან და მათ შთამომავლებთან. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ — ყოველ ახალ წელს იმ იმედით ვხვდებოდით, რომ საქართველოს ეს წელი დამოუკიდებლობას მოუტანდაო.

ჩვენთვის, ვინც კომუნისტურ საზოგადოებაში ვცხოვრობდით, პოლიტიკური მოღვაწეობა კომუნისტურ პარტიასთან ასოცირდებოდა. ნამდვილი პოლიტიკური კულტურა კი ემიგრაციაში განვითარდა — იქ გარკვეულ პერიოდამდე არსებობდა საქართველოს მთავრობა, მისი წარმომადგენლობები, სხვადასხვა პოლიტიკურ პლატფორმაზე მდგარი პოლიტიკური პარტიები, მათი გამოცემები და ა. შ.

ასევე შეიძლება ითქვას ქართულ ჟურნალისტიკაზეც. აქ ჟურნალისტიკა კომუნისტური იდეოლოგიის ქვეშ მოექცა, ემიგრაციაში კი გამოდიოდა გაზეთები და ჟურნალები, რომლებმაც დასაბამი მისცეს თავისუფალი აზრის განვითარებას.

— ბატონო ბუბა, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს მჭიდრო ურთიერთობები აქვს ქართულ ემიგრაციასთან. რა მემკვიდრეობას ფლობს დღეს საქართველო იმ ისტორიული დოკუმენტებიდან, რომელიც 70 წელი საქართველოს საზღვრებს გარეთ ინახებოდა?

— ემიგრაციაში დაგროვდა უამრავი საინტერესო მასალა – პირადი არქივები, ემიგრანტული გამოცემები (წიგნები, ბროშურები, პლაკატები, პროკლამაციები, კრებულები, ჟურნალები, გაზეთები), რომლებიც ყოველ წელს ათეულობით გამოდიოდა და რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილს იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა.

ბოლო პერიოდში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს დიდი და საინტერესო მემკვიდრეობა შეემატა ქართველ ემიგრანტთა შთამომავლებისაგან. მათ საოჯახო არქივები და ბიბლიოთეკები გადმოგვცეს. მაგალითად, ბოლო პერიოდში შეგვემატა საარქივო მასალები ელისე პატარიძის, გიორგი კვინიტაძის, კარლო ინასარიძის, დავით ურატაძის, ვალიკო ჩუბინიძის, გიორგი გამყრელიძისა და სხვა მოღვაწეთა შესახებ. ეს ჩვენთვის დიდი განძია, რადგან საშუალება გვეძლევა, აღვადგინოთ საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები და თვალი მივადევნოთ ამ პერიოდის პოლიტიკური თუ კულტურული ემიგრაციის მოღვაწეობას.

— თქვენი აზრით, სათანადოდ არის თუ არა შესწავლილი ეს სამწლიანი პერიოდი?

— ეს ძალიან საინტერესო პერიოდია. დაგროვილია ზღვა მასალა, რომელიც დასამუშავებელი და ჯერჯერობით ხელმიუწვდომელია მეცნიერთათვის. ამიტომ, ამ ეტაპზე წარმოუდგენელია საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის სრულყოფილი შესწავლა. თუმცა ბოლო 20 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის კვლევა. ეს ბუნებრივიცაა. ჩვენ ახლა იმ ვაკუუმის შევსებას ვცდილობთ, რაც საბჭოთა იმპერიაში 70-წლიანმა ცხოვრებამ დაგვიტოვა.

როგორ გავხდეთ უფრო კვალიფიციური შრომის ბაზრისთვის

7-8 მაისს თსუ-ში „საქართველოს საკარიერო სერვისის“ პროგრამის ფარგლებში გაიმართა უფროს ექსპერტთა სამსახურის (SES) პროგრამის პრეზენტაცია, რომელიც ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას, უმაღლეს სასწავლებლებს, კერძო პირებსა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს აძლევს საშუალებას — სხვადასხვა სფეროს გერმანელი ექსპერტების კონსულტაციებით ისარგებლონ. გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტი დაინტერესებულ საზოგადოებას ექსპერტმა ლუდმილა კლოტციმ წარუდგინა და მათ, ძირითად დებულებებთან ერთად, „SES"-თან თანამშრომლობის პირობები გააცნო. ტრენინგ-სემინარი თემაზე: „როგორ გავხდეთ უფრო კვალიფიციური შრომის ბაზრისთვის. დამატებითი განტოლება და საკვანძო უნარ-ჩვევები“ — სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა, ექსპერტმა ლევან კვაჭაძემ ჩაატარა.

ხათუნა ხატიაშვილი

უფროს ექსპერტთა სამსახური (SES) საზოგადოებრივ საწყისებზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელიც ხელს უწყობს სპეციალისტებისა და წამყვანი კადრების პროფესიულ განათლებას, გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

ექსპერტთა საქმიანობა გულისხმობს ადგილზე სწრაფი და პრაგმატული დახმარების აღმოჩენას, რაც სპეციალისტებში რთული პრობლემების დასაძლევად საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას ითვალისწინებს.

„SES" გერმანული ეკონომიკის სფეროს წარმოადგენს და აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებაში. ამ სამსახურის რეესტრზე 2007 წლისთვის 6300-ზე მეტი ექსპერტი იყო რეგისტრირებული და, როგორც პრეზენტაციაზე ლუდმილა კლოტციმ განაცხადა, მათი რიცხვი დღემდე იზრდება. მისი თქმით, აქტიური ცხოვრების დასრულების შემდეგ ისინი ფინანსური ანაზღაურების გარეშე მუშაობენ, თუმცა საქმიანობისას პირადი ხარჯების დასაფარად ყოველდღიურ მცირე გასამრჯელოს იღებენ.

უცხო ქვეყნებში თითოეული პროექტის ხანგრძლივობა არ აღემატება 6 თვეს, გარკვეულ შემთხვევებში კი შესაძლებელია ექსპერტების ხელმეორედ მოწვევა.

ექსპერტის გამოგზავნის შემკვეთი შეიძლება იყოს საწარმოები (ძირითადად პატარა და საშუალო), სასწავლო დაწესებულებები, ადგილობრივი სამმართველოები, საზოგადოებრივი ან საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა ინსტიტუციები.

თანამშრომლობის იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს „SES"-სა და შემკვეთს შორის დადებული შეთანხმება, ასევე „SES"- სა და ექსპერტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება საწარმოში მივლინების შესახებ.

უშუალოდ შემკვეთსა და ექსპერტებს შორის ხელშეკრულება არ ფორმდება, თუმცა ისინი ვალდებულნი არიან სამუშაო კეთილსინდისიერად შეასრულონ.

ცნობილია, რომ პროფესიულ ექსპერტთა რაოდენობა ეკონომიკის 40-მდე სფეროს მოიცავს, სადაც გადანაწილებულ ექსპერტთა რიცხოვნობა, საჭიროების მიხედვით, 57-დან 791-მდე განისაზღვრება.

საქართველოში გერმანელი ექსპერტების დახმარებით წარმატებით ამოქმედებული წარმოების მაგალითად ლუდმილა კლოტციმ დაასახელა ერთერთი სათბური, რომლის მეპატრონემაც საორგანიზაციო და პროფესიული დახმარება ითხოვა. მსგავსი პრეცედენტი არსებობს ლაგოდეხის ერთერთი ეკლესიის სამეურნეო საქმიანობის აღორძინების საქმეში, რომლის მენეჯმენტიც ასევე "SES"-ის მეშვეობით შეკვეთილი სპეციალისტის მიერ დაიგეგმა. ამავე სამსახურს ეკუთვნის სოციალური სფეროს ორგანიზაცია „საფეხურები"-ს წარმატებული საქმიანობა, რომელსაც, პიარისა და რეკლამირების თვალსაზრისით, უცხოელი ექსპერტი წლების წინ დაეხმარა და დღემდე წარმატებულ პარტნიორად ითვლება თავად გერმანელი პარტნიორებისთვისაც. როგორც ლუდმილა კლოტციმ პროექტის პრეზენტაციაზე აღნიშნა, 1994-2007 წლებში საქართველოში სულ 50-მდე ექსპერტი იმყოფებოდა, რაც ძალიან ცოტაა იმ ფონზე, რომ ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანაში, (ვიდრე ისინი ევროკავშირის წევრები გახდებოდნენ), ყოველწლიურად 600-მდე ექსპერტი ჩადიოდა. „მრჩება შთაბეჭდილება, რომ ადამიანებმა უბრალოდ არ იციან, ეს რამხელა შანსია ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს დასაახლოებლად. იმედია, რომ რაც მეტად მიუახლოვდებით ამ სამსახურის საქმიანობას, მით უფრო მეტად იგრძნობთ მის საჭიროებას“, — აღნიშნა მან.

1989 წლიდან უფროს ექსპერტთა სამსახურმა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და დსთ-ს ქვეყნებში სულ 1672 პროექტი განახორციელა, რომელიც შემდეგნაირად არის გადანაწილებული: სომხეთი — 3; აზერბაიჯანი — 27; საქართველო — 16; ყაზახეთი — 67; ყირგიზეთი — 69; მოლდოვა — 146; რუსეთის ფედერაცია — 856; ტაჯიკეთი – 6; თურქმენეთი — 4; უკრაინა — 127; უზბეკეთი — 122; ბელორუსია — 228.

გორის უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

13 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გორის უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. იგი ითვალისწინებს ორ უნივერსიტეტს შორის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლას, სასწავლო პროგრამების ერთობლივ სრულყოფას და სხვა ღონისძიებებს. მემორანდუმი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მჭიდრო ურთიერთობები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გორის უნივერსიტეტს შორის, რომელიც გორისა და ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტების ბაზაზე დაფუძნდა, თავის წვლილს შეიტანს ქართველ და ოს ხალხს შორის ურთიერთობების დამყარებაში, კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესში.

მაია ტორაძე

მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გორის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანი იყო კიდევ ერთხელ ხმამაღლა გაცხადებულიყო, რომ კულტურასა და განათლებას საზღვარი არ აქვს, რომ მეცნიერებისა და განათლების ენა უფრო მაღლა დგას, ვიდრე პოლიტიკის ენა.

შეხვედრა გახსნა თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის ერთერთი მთავარი ნაწილი რეგიონებში ძლიერი საუნივერსიტეტო ცენტრების ჩამოყალიბებაა. „ამ მხრივ მნიშვნელოვანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გორის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმი, რომელიც გააააქტიურებს ჩვენს თანამშრომლობას სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლის, სასწავლო პროგრამების ერთობლივი სრულყოფის, აკადემიური ექსპერტიზის პროცესში ერთობლივი მონაწილეობის თვალსაზრისით.

პირველი ქართული უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია გორის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა ქართულ-ოსური ურთიერთობების შემდგომი გაუმჯობესების თვალსაზრისით. დარწმუნებული ვარ, რომ უნივერსიტეტებს ამ მიმართულებით ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1918 წელს, დაარსებიდან 3 თვის შემდეგ, სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა ოსური ენის სწავლებისა და ოსური კულტურის სამეცნიერო კვლევების საკითხი. სიმბოლურია, რომ ჩვენი დიდი წინაპრები ასეთ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სწორედ ოს ხალხთან ურთიერთობას და მისი ენის და კულტურის შესწავლას. ამ მიმართულებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გორის უნივერსიტეტს ერთობლივად ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

გორის უნივერსიტეტის რექტორმა ზაზა ცოტნიაშვილმა მნიშვნელოვანი მოვლენა უწოდა მემორანდუმს, რომელიც გორის უნივერსიტეტს დაეხმარება უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების დანერგვაში. „მოგეხსენებათ, რომ პირველი ქართული უნივერსიტეტი საქართველოში თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მშობელი გახლავთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მემორანდუმი თსუ-სა და გორის უნივერსიტეტებს შორის უნივერსიტეტის 90 წლისთავთან დაკავშირებით გაფორმდა. მასში გათვალისწინებულია ყველა ის ნოვაცია, რაც დღეს უმაღლესი განათლების სისტემაში აქტუალური და მნიშვნელოვანია. ამავე დროს, მოგეხსენებათ, რომ გორის უნივერსიტეტი ჩამოყალიბებულია ცხინვალის ყოფილი სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გორის ყოფილი სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. ამდენად, ჩვენთან არის ტრადიცია ქართულ-ოსური ურთიერთობის თვალსაზრისითაც. ჩვენი დიდი წინაპრები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლები ამ კედლებში სწავლის დაწყებისთანავე ფიქრობდნენ, რომ ქართველ მეცნიერთა დიდი ხელშეწყობით ოსური კულტურა და ოსური განათლება ქართულ წიაღში უნდა განვითარებულიყო. გარკვეულწილად ეს მემორანდუმიც ითვალისწინებს როგორც ქართველებისთვის, ისე ოსებისთვის თანაბარი პირობების შექმნას წარმატებული განათლებისათვის“, — ბრძანა ბატონმა ზაზა ცოტნიაშვილმა.

შეხვედრის მონაწილეებს მიმართა ღონისძიების ერთერთმა ინიციატორმა და ორგანიზატორმა, თსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა თამარ პაიჭაძემ. მან აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა მზადდებოდა მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაზაზე დაფუძნდა პროექტი „ურთიერთობათა რეგულირებისათვის ჰუმანიტარულ მეცნიერებასთან“, რომელსაც საფუძვლად ედო დიდი სურვილი ცხინვალის რეგიონთან ურთიერთობის დათბობისა. „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ადამიანებთან ურთიერთობის, აზრთა გაცვლისთვის ყველაზე გასაგები ენა — მეცნიერებისა და კულტურის ენაა.

ურთიერთობის ჩვენთვის ნაცნობი ენა ჰუმანიტარული ენაა და სწორედ ამ არჩევანით დავიწყეთ კავშირების ძიება ცხინვალის უნივერსიტეტთან, ცხინვალის რეგიონთან, კოსტა ხეთაგუროვის საზოგადოებასთან და, რა თქმა უნდა, გორის უნივერსიტეტთან. ვცდილობდით მოგვეწყო შეხვედრა, რომელზეც გავიხსენებთ ქართულ-ოსური კავშირების ისტორიულ და კულტურულ წარსულს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმე საჯარო ლექცია ჩატარდა და მოხარული ვიყავი, რომ ამ ლექციების დიდ ნაწილს ჩვენი სტუდენტობა წარმოადგენდა.

მემორანდუმი, რომელიც დღეს გაფორმდა, მხოლოდ დოკუმენტალური და ოფიციალური დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენი გვინდა ერთმანეთთან ურთიერთობა და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ იარსებებს კულტურისა და განათლების ენა“, — აღნიშნა თამარ პაიჭაძემ თავის გამოსვლაში.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე ურუზმაგ ქარქუსოვი. „ჩემთვის პატივია ამ საზოგადოების წინაშე გამოსვლა. განათლება, კულტურა, ტრადიცია — ეს არის ის, რაზეც დგას ჩვენი სახელმწიფო. განათლება, კულტურა, ტრადიცია არის ის, რასაც ეყრდნობა პოლიტიკაც და ეკონომიკაც. განათლება, კულტურა, ტრადიცია არის ის, რასაც ეყრდნობა ჩვენი ურთიერთობები. იმედი მაქვს, რომ სწორედ განათლება, კულტურა და ტრადიცია მისცემს ბიძგს ქართულ-ოსური ურთიერთობების გაღრმავებასა და დარეგულირებას.

ჩვენი ქვეყანა ძალიან მნიშვნელოვან გარდამტეხ პერიოდში იმყოფება. მჯერა, რომ განათლება დაგვეხმარება ამ სირთულეების დაძლევაში. ვიცი, რომ ქართველები და ოსები საერთაშორისო თანამეგობრობაში შევალთ ჩვენი ტრადიციით, ჩვენი კულტურით, რადგან ყოველთვის ვეყრდნობით ჩვენს ეროვნულობას და ტრადიციებს“, — განაცხდა მან და ეკონომიკის სამინისტროში თანამშრომლობისა და პროფესიული გამოცდილების მისაღებად მიიწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გორის უნივერსიტეტის სტუდენტები.

სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ვლადიმერ სანაკოევმა წარმატება უსურვა უნივერსიტეტებს და განაცხადა, რომ თსუ-ში ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე საუბარი მათი დაახლოებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. „არსებობს ისტორიული სიახლოვე ამ ორ ერს შორის, რომლის გაყოფა არ შეიძლება და არც მოხდება. ვიღაც გვეუბნება, რომ საქართველოს ტერიტორიიდან უნდა გამოიყოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონის ის ნაწილი, რომელიც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან კოკოითის ხელში დარჩა... არ არსებობს ამის განხორციელების შანსი, რადგან ღმერთს რომ ნდომოდა, თავიდანვე ეს მიწა სხვისი იქნებოდა. ამიტომ მშვიდობიანი თანაცხოვრების გარდა, არაფერი დაგვრჩენია“, — აღნიშნა მან.

სოხუმის უნივერსიტეტის რექტორმა ჯონი აფაქიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გორის უნივერსიტეტს შორის მემორანდუმის გაფორმება მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნია. „ჩვენ მივმართავთ ძალიან დიდ ძალისხმევას იმისთვის, რომ ქართველ და აფხაზ ხალხს შორის აღდგეს საუკუნოვანი მეგობრობა. სულ მალე სოხუმის უნივერსიტეტში დაფუძნდება აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტი, რომელიც ასევე დიდ როლს ითამაშებს ამ ურთიერთობათა განახლებაში“, — განაცხადა ჯონი აფაქიძემ.

აიდაჰოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

29 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აიდაჰოს (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. იგი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლას, ერთობლივი სამეცნიერო პროექტების, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზებას. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებში, ფიზიკოსების გარდა, მემორანდუმი ქიმიის, ბიოლოგიის და ჰუმანიტარული დარგის მეცნიერთა ჩართვასაც შეუწყობს ხელს.

მაია ტორაძე

მხარეები შეთანხმდნენ, რომ შეიქმნას „ქართულ-ამერიკული ფართოპროფილიანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, რომელიც ხელს შეუწყობს ერთობლივი პროექტების განხორციელებას. ინსტიტუტის ფუნქცია იქნება კვლევისა და განათლების სფეროებისთვის ფინანსური სახსრების მოძიება, სამეცნიერო კვლევებისა და საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინირება, ერთობლივ პროგრამებში აკადემიური პერსონალის, მკვლევარებისა და სტუდენტების მოზიდვა. ინსტიტუტის დაფინანსება განხორციელდება მონაწილე აკადემიური პერსონალისა და მკვლევარების მიერ მოპოვებული გრანტებისა და კონტრაქტების საშუალებით.

მემორანდუმის გაფორმების ინიციატორები ამერიკელი მეცნიერები იყვნენ. 2006 წელს მათ თსუ-ის რექტორს გიორგი ხუბუას მიმართეს წერილით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ აიდაჰოს უნივერსიტეტში გაგზავნილი ქართველი სტუდენტების მომზადების დონე და ქართველ მეცნიერთან, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორ სამსონ ფაღავასთან წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სამეცნიერო ურთიერთობები იმის წინაპირობას იძლევა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო წრეებთან ურთიერთობები კიდევ უფრო გაფართოვდეს. წერილს ხელს აწერდნენ აიდაჰოს უნივერსიტეტის (ISU) ფიზიკის დეპარტამენტის დეკანი, პროფესორი დენიელ დეილი და აიდაჰოს ამაჩქარებლების ცენტრის (IAC) დირექტორი, პროფესორი დაგლას უელსი.

აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აშშ-ის აიდაჰოს უნივერსიტეტს შორის მჭიდრო ურთიერთობები 2000 წლიდან არსებობს. ამ ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა მას შემდეგ, რაც რადიონახშირბადისა და დაბალი რადიოაქტივობის განყოფილების თანამშრომელი ვლადიმერ რუსეკაი და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) რეგიონულ პროექტში მონაწილე თსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი გიორგი ხარაიშვილი მივლინებით იმყოფებოდნენ აიდაჰოს უნივერსიტეტის ფიზიკის (Physics/health physics) დეპარტამენტში. ამ ვიზიტის შედეგად დაიწყო ნაყოფიერი თანამშრომლობა აღნიშნულ დეპარტამენტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიონახშირბადისა და დაბალი რადიოაქტივობის განყოფილებას (R&LLC) შორის.

ამ თანამშრომლობის შედეგად 2000-2008 წლებში თსუ-ის რადიონახშირბადისა და დაბალი რადიოაქტივობის განყოფილება ჩაერთო აიდაჰოს უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის სამეცნიერო-კვლევით პროგრამებში, გაწევრიანდა აშშ-ის სამეცნიერო-კვლევით კონსორციუმში, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ აიდაჰოს, ტეხასის, ფლორიდის და ნევადის უნივერსიტეტები, ჯორჯიის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, ლოს-ალამოსის და ოკ-რიჯის ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები.

2001 წლიდან აიდაჰოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად დღესაც გრძელდება სხვადასხვა პროექტზე მუშაობა.

2003 წელს ამერიკელი კოლეგების დახმარებით დაიგეგმა იმ სარეკომენდაციო წინადადებების განხორციელება, რომლებიც ჩამოყალიბდა გაეროს ეკონომიკური კომისიის ევროპის განყოფილების ანგარიშში. კერძოდ, მასში მითითებული იყო, რომ: „საქართველოს პირობებში შენობებში რადონით დასხივება პოტენციურად აქტუალური პრობლემაა და, მიუხედავად იმისა, რომ „გარემოს სანიტარული მდგომარეობის ეროვნული სამოქმედო გეგმა“ და „ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკა“ რადონით დასხივებაზე დაკვირვებებს ითვალისწინებს და შენობებში რადონის მონიტორინგს პრიორიტეტი ენიჭება, ამგვარი მონიტორინგი საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა. საქართველოში ამჟამად პრაქტიკულად არ არსებობს მონაცემები შენობებში რადონის არსებული კონცენტრაციების შესახებ. ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული დაკვირვებების შედეგები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის მოპოვებას შენობებში რადონის კონცენტრაციების შესახებ, გამოიყენება საზოგადოების ჯანმრთელობაზე რადონის მავნე ზემოქმედების მინიმიზების სტრატეგიის შესამუშავებლად“.

ამ პრობლემის მოგვარების, ანუ ადამიანის ჯანმრთელობაზე რადონით განპირობებული პოტენციური რისკის შემცირებისთვის მიმდინარეობს ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა თსუ-ის რადიონახშირბადისა და დაბალი რადიოაქტივობის განყოფილებას, აიდაჰოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გარემოს მონიტორინგის ლაბორატორიასა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (W H O), აშშ სამოქალაქო კვლევისა და განვითარების ფონდი (CRDF)).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად აიდაჰოს უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის „ფიზიკის“ და „ჯანმრთელობის ფიზიკის“ სპეციალობით სწავლას აგრძელებს თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ცხრა კურსდამთავრებული. ორი მათგანი მაგისტრანტია, ხოლო შვიდი — დოქტორანტი.

მეცნიერების კომერციალიზაცია ესტონეთის მაგალითზე

27-30 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტ INNOTRANS-ის ფარგლებში გაიმართა ტრენინგი მეცნიერთათვის, რომლის ძირითადი თემა იყო „საქართველოსთვის ესტონეთის გამოცდილების გაზიარება ინოვაციისა და ტექნოლოგიების გადაცემის ხელშემწყობი სტრუქტურების განვითარებაში“.

მაია ტორაძე

ტრენინგში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეცნიერო დეპარტამენტის, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო დაწესებულების წარმომადგენლები.

ტრენინგის ორგანიზატორი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ესტონურ გამოცდილებას ქართველ კოლეგებს უზიარებდნენ ესტონეთის ეკონომიკისა და კომუნიკაციის სამინისტროს წარმომადგენელი ქალბატონი კიტი კუბო, არქიმედესის ფონდის წარმომადგენელი მადის სალუვერი, ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის წარმომადგენელი ინდრეკ იაკობსონი, ესტონეთის ინოვაციური ბიზნესის საკონსულტაციო კომპანია Invent Baltics OU-ის წარმომადგენელი სიიმ ლაანელაიდი.

პროექტ INNOTRANS-სთვის მზადება 2006 წლის ზაფხულში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტსა და ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საინოვაციო ცენტრის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად დაიწყო.

ესტონეთის გამოცდილების საქართველოსთვის გაზიარების მიზნით, 2007 წელს ესტონეთის ინოვაციური ბიზნესის საკონსულტაციო კომპანიის (Invent Baltics OU) მიერ მომზადდა საპროექტო წინადადება, რომელიც ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 2008 წელს დაფინანსდა.

პროექტი INNOTRANS-ი მოიცავს ინტერაქტიულ ტრენინგებსა და სასწავლო ვიზიტებს. მის მთავარ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოს სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ჩართულნი არიან კვლევის, განვითარებისა და ინოვაციის პოლიტიკაში, ასევე ტექნოლოგიის გადაცემის და საინოვაციო საქმიანობის მხარდამჭერი სტრუქტურების მენეჯერები, საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლები.

პროგრამა 11 თვის განმავლობაში 4 სესიის ჩატარებას ითვალისწინებს (2008 წლის მაისში, აგვისტოსა და ნოემბერში; 2009 წლის თებერვალში). მათ შორის 3 სესია გაიმართება საქართველოში, ერთი — ესტონეთში. ოთხივე სესიის მიმდინარეობისას განხილული იქნება მეცნიერების პოლიტიკასთან, საინოვაციო მხარდაჭერის სისტემასთან, კომერციალიზაციასთან, ინტელექტუალურ საკუთრებასთან, ევროკავშირის დაფინანსების წესთან დაკავშირებული საკითხები.

ამჯერად ესტონელმა სტუმრებმა თსუ-ში პროექტ INNOTRANS-ით გათვალისწინებული პირველი სესია ჩაატარეს. მათ სამი დღის განმავლობაში საინტერესო მოხსენებები წარუდგინეს ტრენინგის მონაწილეებს — მსმენელს გააცნეს ესტონეთის სამეცნიერო და საინოვაციო პოლიტიკა, მისი მმართველობის სისტემა და განვითარების ეტაპები, ინოვაციის მხარდამჭერი სისტემა, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის მეთოდები, ესტონეთში მეცნიერების სახელმწიფო დაფინანსების ფორმები, სამეწარმეო უნივერსიტეტის საქმიანობის დეტალები (ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მაგალითზე), ასევე ტექნოლოგიის გადაცემა, როგორც პროცესი. ტრენინიგი ასევე მოიცავდა ჯგუფურ მუშაობას, მუშაობის შედეგების პრეზენტაციას, დისკუსიას, ანალიზს.

ესტონეთის ეკონომიკისა და კომუნიკაციის სამინისტროს წარმომადგენელმა, ქალბატონმა კიტი კუბომ მოხსენებაში დაწვრილებით ისაუბრა ინოვაციის ინდიკატორებზე, რომელიც ესტონეთში მუშაობს. მათ შორის, ინოვაციის კვლევებისა და პოლიტიკის განვითარების კულტურაზე, ევოლუციიის სხვადასხვა ეტაპებსა და ფაზებზე, ინოვაციის პოლიტიკის მიზნებსა და შესაძლო შედეგებზე.

მოხსენებაში მან მაგალითად მოიყვანა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის მ. პორტერის დეფინიცია, რომლის მიხედვითაც ახსნა, რა არის ის, რასაც ქვეყანა გადაყავს ინოვაციის განვითარების ერთი ფაზიდან მეორეში — ეს არის შეჯიბრებითობა და კონკურენტუნარიანობა, ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, ადეკვატური განათლების სფერო და ინვესტიციები, რაც, მისი აზრით, ინოვაციური პოლიტიკის განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობაა. ამ დეფინიციით ესტონეთი შუა, გარდამავალ ეტაპზეა, მაგრამ როგორც ქალბატონი კიტი აღნიშნავს, ესტონეთში უფრო კრიტიკულად უდგებიან ამ საკითხს და მიიჩნევენ, რომ რეალურად ამ ეტაპისთვის ჯერ არ მიუღწევიათ.

„90-იან წლებში ესტონეთში ეკონომიკური სტაბილიზაციისა და რესტრუქტურიზაციის პერიოდი იყო. ფაქტობრივად, ეს ნიშნავდა ეკონომიკისა და ინდუსტრიის უკეთეს ორგანიზებას, პრივატიზაციისა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას. 2000 წლიდან ჩვენ შევედით ეკონომიკური განვითარების ახალ ფაზაში. ამ დროისთვის გაიზარდა საერთო ეროვნული პროდუქციის მაჩვენებელი, დაფიქსირდა საწარმოო პროდუქტიულობის ზრდა, განმტკიცდა საკრედიტო პოლიტიკა. ჩვენ ლიბერალური ეკონომიკის ქვეყანა ვართ, რითაც მიმზიდველი გავხდით უცხოური ინვესტიციებისთვის.

ინოვაციაზე გადასული ეკონომიკა ნებისმიერი ქვეყნისთვის წარმატებული ნაბიჯია. ამას წინ უძღოდა მოსამზადებელი პერიოდი, როცა ესტონეთის ხელისუფლებამ კარგად გააანალიზა წარსული და დაგეგმა მომავალი.

რაც შეეხება საქართველოს, ისევე, როგორც ჩვენთან 90-იან წლებში, ეკონომიკა დამყარებულია რესურსებზე და მაჩვენებლებით პირველ ჯგუფს განეკუთვნება. საბოლოო შედეგების მისაღებად ამ ქვეყანაშიც უნდა განვითარდეს ინოვაციაზე დამყარებული ეკონომიკა.

ჩემი აზრით, პირველი ეტაპის წარმატებით დასასრულებლად საქართველოში უნდა ფუნქციონირებდეს შესაბამისი ინსტიტუტები, არსებობდეს სათანადო ინფრასტრუქტურა და მაკროეკონომიკური სტაბილურობა. ამასთან ერთად, უნდა გქონდეთ კონკურენტუნარიანი ბაზარი და მაღალი დონის საგანმანათლებლო სისტემა. ამისთვის ბევრი არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა მოგიწევთ, მაგრამ რეალური და მკვეთრი ცვლილებების გარეშე მიზნის მიღწევა წარმოუდგენელია,“ — განაცხადა ქალბატონმა კიტი კუბომ.

სემინარის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი. ფონდის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ნათია ჯოხაძემ მაღალი შეფასება მისცა ასეთი დონის სემინარებს და აღნიშნა, რომ ის ხელს შეუწყობს საქართველოში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას.

„დღევანდელი სემინარი ძალიან მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო. აქ შევიკრიბეთ, რათა საფუძველი შეიქმნას საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მომზადების პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად, საფუძველი ჩაეყაროს მეცნიერებისა და ბიზნესის თანამშრომლობას კონცეპტუალურ დონეზე.

თანამედროვე მსოფლიოში, განვითარებულ ქვეყნებში, მეცნიერების დიდ ნაწილს ბიზნესი — კერძო სექტორი აფინანსებს, რადგანაც მათ კარგად აქვთ გათავისებული, რას ნიშნავს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით ბიზნესი არ არის აქტიური და მეცნიერების 80-90 პროცენტს სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს. ჩვენ გვინდა საფუძველი ჩავუყაროთ მეცნიერების ბიზნესის მხრიდან დაფინანსებას, რისთვისაც თავდაპირველად უნდა შევჯერდეთ ჩვენ — მეცნიერების ადმინისტრატორები, უნივერსიტეტები, თავად მეცნიერები. ამის შემდეგ ჩაეყრება საფუძველი ისეთ მნიშვნელოვან კონცეფციას, როგორიც არის ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარება საქართველოში.

ესტონეთის მაგალითი იმიტომ შევარჩიეთ, რომ ჩვენ საერთო წარსული და საბაზრო ეკონომიკის პრინციპები გვაქვს. ინოვაციების განვითარებაში ესტონეთი ბოლო პერიოდში წარმატებებს აღწევს და ინტეგრირებულია ევროპულ სივრცესთან.

გარდა ამისა, ეს ქვეყანა ძალიან ჰგავს საქართველოს სხვა მაჩვენებლებითაც — ის, ისევე როგორც საქართველო, არ არის მდიდარი იმ რესურსებით, რომელიც ქვეყანას ეკონომიკურ ძლიერებას მოუტანს. ამდენად, ჩვენთვის, ესტონეთის მსგავსად, მნიშვნელოვანია აქცენტები გავაკეთოთ ქვეყნის ინტელექტუალურ სიმდიდრესა და განათლებაზე.

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ჩვენ ესტონეთის გამოცდილებაზე შევაჩერეთ ჩვენი ყურადღება, გახლავთ ის, რომ ესტონეთი მთლიანად ეყრდნობა თავის ინტელექტუალურ რესურსებს. მოსახლეობის რაოდენობითაც მას, დაახლოებით, ჩვენნაირი მდგომარეობა აქვს, მაგრამ, ჩვენგან განსხვავებით, ესტონეთში შეძლეს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება. თავდაპირველად იქაც სახელმწიფო იყო ამ განვითარების ინიციატორი და რეგულატორი, მაგრამ დღეს ესტონეთში ყველაზე კარგად განვითარებული ინოვაციური პოლიტიკა და მეცნიერებაც ბიზნესის მხრიდან კარგად არის დაფინანსებული. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი დიდი ხანია ამ ქვეყნის შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობს, რის შედეგადაც გამოიცა 4 მნიშვნელოვანი პუბლიკაცია.

ამ ეტაპზე ჩვენ ჯერ ჩანასახის სტადიაში ვართ, თუმცა მუშაობა მიმდინარეობს. 2007 წელს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან თავის ამერიკელ პარტნიორთან, სამოქალაქო განვითარების ფონდთან (CRDF) ერთად დააფინანსა ბიზნესპარტნიორების გრანტების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა მეცნიერთა ჯგუფისა და ბიზნესის თანამშრომლობას. ეს იყო პირველი ნაბიჯი, როცა სახელმწიფომ თანხა მისცა მეცნიერებს, რომ მათ დაემუშავებინათ იდეები და შეექმნათ ახალი, ცოდნაზე ორიენტირებული პროდუქტი, სერვისი ან ტექნოლოგია. ამ პროექტის ფარგლებში ჩვენ დავაფინანსეთ რამდენიმე სამეცნიერო ჯგუფი, რომლებიც ბიზნესთან თანამშრომლობენ. ბიზნესის მხრიდან ამ პროექტში ჩართულნი არიან ისეთი კომპანიები, როგორიცაა „სანტე“, „ბადაგონი“. 2009 წელს ჩვენ უკვე ამ პროექტების შედეგებს ველოდებით.

რა თქმა უნდა, ეს იყო პილოტური ხასიათის პროექტი, მაგრამ ის დღესაც გრძელდება — მეცნიერებს შემოაქვთ განაცხადები, ჩვენ კი, ამერიკელ პარტნიორებთან ერთად, მათ ვუტარებთ ტრენინგებს — როგორ მოამზადონ ბიზნეს-გეგმა, როგორ იმუშაონ მარკეტინგულ საკითხებზე და როგორ წარმოადგინონ პროექტები, ანუ როგორ გააკეთონ მათი შრომის პრეზენტაცია. ეს ახალი სიტყვაა ჩვენთვის და გვინდა, რომ ეტაპობრივად შევუწყოთ ხელი მეცნიერების მომზადებას.

ჩვენთან ერთად ძალიან ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს. მათ შორის, უკრაინის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ფონდი, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ფონდი, რომელსაც ევროკავშირი, კანადა და შეერთებული შტატების მთავრობები აფინანსებენ. მათ აქვთ პროექტები, რომელშიც ბევრი ქართველი მეცნიერი მონაწილეობს.

ესტონელი კოლეგების სემინარებმა ნათლად დაგვანახა, რა ინფორმაციის მიღება და რა გამოცდილების გაზიარება შეიძლება მათგან. ეს შეხვედრა ხელს შეუწყობს ერთიანი კონცეფციისა და სამუშაო გეგმის ჩამოყალიბებას,“ — განაცხადა ნათია ჯოხაძემ ჩვენთან საუბარში.

არქიმედესის ფონდის წარმომადგენელმა მადის სალუვერმა ქართველ კოლეგებს საინტერესო მონაცემები გააცნო ინოვაციის განვითარების დონეებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

„ეს ტრენინგი განკუთვნილია, როგორც მეცნიერთათვის, ასევე მეცნიერების ადმინისტრატორებისა და მენეჯერებისთვის.

ჩვენ მათ ვუხსნით, როგორ არის მოწყობილი ინოვაციის სისტემა სხვა ქვეყანაში, რატომ და როგორ ვითარდება ის და რა არის საკვანძო მომენტები კონკრეტული ქვეყნის ინოვაციური სისტემის შემუშავებისას.

რატომ არის აღებული ესტონეთის მაგალითი საქართველოსთვის? როგორ უჭერს ეს სისტემა მხარს სამეცნიერო მუშაობას, როგორც უნივერსიტეტებში, ასევე ინსტიტუტებში? ეს არის ძირითადი საკითხები, რითაც ჩვენც დაინტერესებულნი ვართ. ეს სისტემა საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, სამეცნიერო საზოგადოებას და მეორე მხრივ, კერძო სექტორს, რომ წარმატებულნი იყვნენ, როგორც თავის ქვეყანაში, ასევე ევროპის და მსოფლიოს ბაზარზე.

ქართველი მეცნიერებისთვის მთავარი ამოცანაა ის, რომ სამეცნიერო საზოგადოებამ პოლიტიკოსებთან საერთო ენა მოძებნოს. მათ უნდა იმსჯელონ და მონახონ გზა — როგორ ამუშავდეს ინოვაციიის გადაცემის თანამედროვე სისტემა, რა არის პრიორიტეტი საქართველოსთვის, ქართული მეცნიერებისთვის, კერძო ფირმებისთვის, ინდუსტრიისთვის. სად არის სუსტი და ძლიერი მხარეები. უნდა მოძებნონ საერთო ენა დისკუსიაში და მივიდნენ ერთიან დასკვნამდე — როგორ დააფინანსონ მეცნიერება, როგორი იქნება ხელისუფლების მხრიდან საკანონმდებლო და ფინანსური მხარდაჭერა, რა სისტემა იმუშავებს საქართველოში წარმატებით.

თუ ეს მხარეები საერთო დასკვნამდე მივლენ, ქვეყნისთვის დიდი წარმატება იქნება. ქვეყანამ თავად უნდა გადაწყვიტოს უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტებისთვის ინოვაციის რომელი სისტემაა მისაღები. სემინარები კვლავ გაგრძელდება. ის სულ ოთხ შეხვედრას ითვალისწინებს და მე მჯერა, რომ საქართველო და ესტონეთი ერთობლივად შეიტანენ წვლილს მეცნიერებისა და ბიზნესის წარმატებულ თანამშრომლობაში,“ — განაცხადა მადის სალუვერმა.

ვიზიტის ბოლოს ესტონელი სტუმრები შეხვდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს გიორგი ხუბუას, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს არჩილ მოწონელიძესა და ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს გიგი თევზაძეს. შეხვედრებზე განიხილეს მეცნიერების კომერციალიზაციის კუთხით უნივერსიტეტებში გაწეული მუშაობა და პრობლემატიკა, რომელიც ამ მიმართულებით იკვეთება. დაისახა კონკრეტული გეგმები. შეჯერდა თემატიკა, რომელსაც ესტონელი და ქართველი კოლეგები მიმდინარე წლის აგვისტოსა და სექტემბერში დაგეგმილ სესიაზე განიხილავენ.

„ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა ჩვენმა ინტელექტუალურმა გენოფონდმა საკუთარ ქვეყანაში შეძლოს მიღებული განათლების რეალიზება“

ლატვიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის სტუმრობა თსუ-ში

გლობალიზაციის ზეგავლენით თანამედროვე კაცობრიობა ეკონომიკურად და სამართლებრივად სულ უფრო ერთიანი ხდება. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემამ კი ერთერთი გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სულიერი ერთიანობის მისაღწევად. თსუ-ის საქმიანობის ერთერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მსოფლიოს სხვა უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით თუ საგანმანათლებლო ცენტრებს შორის მჭიდრო კონტაქტების ჩამოყალიბება, რაც უმრავლეს შემთხვევაში, ერთობლივი პროექტებითა და სტუდენტების, ახალგაზრდა მეცნიერებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლითი პროგრამებით ხორციელდება. ახალი კვლევითი თუ სამეცნიერო ცენტრების დაფუძნება ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, რადგან ჩვენ გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პერიოდში გვიხდება ცხოვრება.

თამარ მარუაშვილი

13 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შეხვდა ლატვიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ეკოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ლატვიის რესპუბლიკის მწვანეთა და ფერმერთა საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე ინდულის ემსისი.

თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ საპატიო სტუმრის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი დეტალები გააცნო საზოგადოებას და აღნიშნა: „იმედია, ლატვიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი გულწრფელად გაგვიზიარებს იმ გამოცდილებას, რაც ამ ქვეყანამ ცოტა ხნის წინათ განვლო. ჩვენთვის ამ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური განვითარება სამაგალითო და იმედის მომცემია“.

სტუმარმა ისაუბრა ლატვიის რესპუბლიკის ბუნების დაცვისა და ეკოლოგიის განვითარების საქმეში საკუთარ ღვაწლსა და დამსახურებაზე, ლატვიის „მწვანეთა პარტიის“ დაარსებასა და მის აქტიურ თანამშრომლობაზე სამთავრობო სტრუქტურებთან.

ლატვიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მარტო ბუნების დაცვასა და ეკოლოგიის პრობლემებზე საუბრით არ შემოიფარგლა. ის სხვა მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებსაც შეეხო, რაც მოწინავე ქვეყნის აღმშენებლობისთვის საჭირო და აუცილებელია.

„ჩვენი ქვეყნის განვითარების ძირითად პრიორიტეტს განათლება წარმოადგენს. მოსახლეობის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდა ხელისუფლების უპირველესი მიზანია, მაგრამ აქ თავს იჩენს ერთი პრობლემაც — ქვეყნიდან ინტელექტუალური რესურსის გადინება, რასაც ჯერჯერობით ვერ ვუმკლავდებით. ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიზნები — ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება — წარმატებულად განვახორციელეთ, მაგრამ აღნიშნულ პრობლემასთან ბრძოლა დღემდე გვიხდება. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა ჩვენმა ინტელექტუალურმა გენოფონდმა საკუთარ ქვეყანაში შეძლოს მიღებული განათლების რეალიზება“, — აღნიშნა საუბრისას ინდულის ემსისმა.

სტუმარმა ძალიან საინტერესოდ ისაუბრა ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული და ბუნებრივი რესურსების პრივატიზების მიზანშეუწონლობის საკითხებზეც. „სამყარო ძალიან სწრაფად იცვლება, სახელმწიფოთა შორის კონკურენცია იზრდება და გლობალიზაციის პროცესიც თავის უარყოფით გავლენას ახდენს ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის სტრატეგიული და ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო საკუთრებაში ყოფნა, რადგან გასხვისებული ქონება ქვეყნის ხელისუფლების კონტროლს აღარ ექვემდებარება, რაც საბოლოოდ ძალაუფლების შესუსტებამდე მიგვიყვანს. ეს პროცესი მთავრობისადმი საზოგადოების უნდობლობას გამოიწვევს და ამას აუცილებლად არასასურველი შედეგები მოჰყვება. ძალიან მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ ის, რომ ბუნებრივ რესურსებზე კონტროლი პოლიტიკური დამოუკიდებლობის ერთერთი აუცილებელი პირობაა“, — აღნიშნა მან.

სტუმარსა და მსმენელს შორის გაიმართა ინტერაქტიული დიალოგი. ორივე მხარემ გულწრფელად ისაუბრა ეკონომიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ პრობლემებზე, ერთმანეთს გაუზიარეს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმებით მიღებული შედეგების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

„ჩემთვის დიდი პატივია თსუ-ში სტუმრობა, მინდა სიამოვნებით გადმოგცეთ ლატვიის სამეცნიერო საზოგადოების თბილი, გულწრფელი მოკითხვა და დიდი სურვილი იმისა, რომ თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდეს და გაფართოვდეს“, — დასძინა საუბრის ბოლოს ლატვიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ინდულის ემსისმა.

ლატვიის წარმომადგენელთან შეხვედრამ მეგობრულ, თბილ ვითარებაში ჩაიარა. ორივე მხარემ იმედი გამოთქვა, რომ ასეთი შეხვედრები მომავალში უფრო ინტენსიური გახდება.

თსუ-ს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივანი საზღვაო უსაფრთხოების საკითხებში დონალდ ვინთერი ესტუმრა

15 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივანი საზღვაო უსაფრთხოების საკითხებში ბატონი დონალდ ვინთერი და საზღვაო ძალების სამდივნოს რვაკაციანი დელეგაცია ეწვია. შეხვედრას საქართველოს თავდაცვის ატაშე აშშ-ში მალხაზ ჯამურელი და საქართველოში აშშ-ის ელჩი ჯონ ტეფტიც დაესწრო.

თამარ მარუაშვილი

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივანი საზღვაო უსაფრთხოების საკითხებში დონალდ ვინთერი ხელმძღვანელობს აშშ-ის სამხედრო სანაოსნო ძალებს და პასუხისმგებელია 900 000 მომსახურე პერსონალსა და 125 მილიარდიან წლიურ ბიუჯეტზე. დეპარტამენტი შედგება ორი სპეციალიზებული სერვისისგან: ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საზღვაო ფლოტისა და საზღვაო ქვეითი ჯარისგან.

დონალდ ვინთერი ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორია, 2002 წელს ის აირჩიეს ინჟინერთა ნაციონალური აკადემიის წევრად.

აშშ-ის საზღვაო ძალების სამდივნოს ვიზიტი თავდაცვის სფეროში საქართველო-ამერიკის თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება და ორი ქვეყნის საზღვაო ძალებს შორის ურთიერთობის განვითარებასა და გაღრმავებას ისახავს მიზნად.

„მოხარული ვარ, რომ თბილისში ჩამოსვლის საშუალება და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესაძლებლობა მომეცა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსებიდან 90 წლისთავს ზეიმობს. თსუ ყოველთვის გახლდათ ლიდერი ერის თავისუფლებისთვის ბრძოლაში, ამიტომ ჩემთვის დიდი პატივია ამ ტრიბუნიდან საუბარი...

ასევე არ შემიძლია არ აღვნიშნო ქართველი მებრძოლების მონაწილეობა ერაყის ომში, სადაც ამერიკელთა კოალიციური ჯარების მხარდამხარ 2000 ქართველი ჯარისკაცი მსახურობს და თავისუფლებასა და უსაფრთხოებას იცავს. ჩვენ ძალიან ვაფასებთ საქართველოს მხარდაჭერას ერაყის ომში.

მე, როგორც აშშ-ის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი, ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ამერიკა და აშშ-ის პრეზიდენტი მხარს დაუჭერს საქართველოში დემოკრატიის განვითარებას“, — აღნიშნა თავის გამოსვლაში დონალდ ვინთერმა.

დოქტორმა აგრეთვე ისაუბრა საქართველოს საზღვაო ძალების მოდერნიზაციის პერსპექტივებზე და ამ კუთხით აშშ-ის საზღვაო ძალების მხრიდან გარანტირებულ მხარდაჭერაზე. საუბარი შეეხებოდა საქართველოსა და აშშ-ის ერთობლივ სასწავლო პროგრამებსაც, საქართველოს შეიარაღებული ძალების ეტაპობრივ რეკონსტრუქციას, საბრძოლო შესაძლებლობების გაზრდას და მათ ნატოსთან მჭიდრო ინტეგრაციას.

დონალდ ვინთერმა ხაზი გაუსვა ქართველი ხალხის ტოლერანტობას რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მიმართ.

„საქართველოს დამოკიდებულება დასავლური დემოკრატიული იდეებისადმი იმის საფუძველია, რომ მან ღირსეული ადგილი დაიკავოს ევროატლანტიკურ სივრცეში“, — დასძინა საუბრის ბოლოს საპატიო სტუმარმა.

დოქტორმა საინტერესოდ ისაუბრა აგრეთვე აფხაზეთის საკითხის შესახებ და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის კონფლიქტი მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით უნდა მოგვარდეს. ამერიკა სცნობს საქართველოს მთლიანობას და მის საზღვრებს.

აშშ-ის საზღვაო ძალების მდივანთან შეხვედრამ თსუ-ის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების დიდი დაინტერესება გამოიწვია.

საქართველომ უნდა მოახერხოს ნატოსა და ევროკავშირს კავკასიის უსაფრთხოების დაცვის თავისებურებანი გააცნოს

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრისა და თსუ-ის ინიციატივით საერთაშორისო ურთიერთობისა და პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ნეილ მაკფარლეინმა 22 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „უსაფრთხოების განვითარებადი მნიშვნელობა“.

თამარ მარუაშვილი

პროფესორი მაკფარლეინი საქართველოს ხშირი სტუმარია. თსუ-ში საჯარო ლექციის წაკითხვას ის დიდ პატივად თვლის და მოხარულია ქართველ კოლეგებთან შეხვედრით.

პროფესორის ლექცია ჩვენი ქვეყნისათვის აქტუალურ საკითხს — უსაფრთხოების მნიშვნელობას ეხებოდა. მან საინტერესოდ ისაუბრა უსაფრთხოების ტრადიციულ თუ არატრადიციულ ნორმებზე, მის თავისებურებებსა და პრიორიტეტებზე.

„საქართველომ უნდა მოახერხოს ნატოსა და ევროკავშირს კავკასიის უსაფრთხოების დაცვის თავისებურებანი გააცნოს. ამ ორგანიზაციებმა კი კავკასიურ ქვეყნებს უსაფრთხოების დაცვის ისეთი განსაკუთრებული მოდელი უნდა შესთავაზონ, რომელიც გაითვალისწინებს ამ მხარისთვის დამახასიათებელ გეო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ ეკოლოგიურ ფაქტორებს, რადგან საფრთხე შეიძლება მრავალმხრივ არსებობდეს, იქნება ეს ტერორისტული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური თუ ეკოლოგიური პრობლემა. თითოეული საკითხის შესასწავლად შექმნილია მთელი რიგი ინსტიტუტები, რომლებიც განიხილავენ, აანალიზებენ ამ პრობლემებს და მათი აღმოფხვრის გზებსაც გვთავაზობენ“, — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას პროფესორმა ნეილ მაკფარლეინმა.

პროფესორის შეხედულებით, უსაფრთხოების ნორმები ყველა სახელმწიფოსთვის ინდივიდუალურია. მისი თქმით, ადრე უსაფრთხოების დაცვის მხოლოდ ტრადიციულ გაგებაზე საუბრობდნენ, რომელიც ქვეყნის თავდაცვასა და სამხედრო მომზადებას გულისხმობდა, დღეს კი უსაფრთხოების დაცვა სახელმწიფოს მხრიდან ეროვნული ტრადიციების, თვითმყოფადობის დაცვასაც გულისხმობს.

პროფესორმა ნეილ მაკფარლეინმა შთამბეჭდავად ისაუბრა სხვადასხვა ქვეყნების: გერმანიის, შვეიცარიის, ინდონეზიის, ბანგლადეშის უსაფრთხოების დაცვის მოდელებსა და თავისებურებებზე.

„ადრე თუ უსაფრთხოების დაცვა ტრადიციული გაგებით მხოლოდ სამხედრო ფაქტორებზე იყო გათვლილი, დღეს მისი პრიორიტეტებიდან რომელიმეს გამორჩევაც კი ჭირს... ძალიან მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა — უსაფრთხოების რომელი ფაქტორის დაცვა უფრო პრიორიტეტულია ამა თუ იმ ქვეყნისთვის. საქართველოს უსაფრთხოების დაცვის გლობალური პრობლემა არ აწუხებს, მხოლოდ ლოკალური პრობლემებით შემოიფარგლება, მაგრამ ეს პრობლემებიც არ არის ადვილად გადასაწყვეტი. აფხაზეთთან დაკავშირებით, ვფიქრობ, რომ გადაწყვეტილება მანამდე იქნა მიღებული, ვიდრე ის გაანალიზებული და ღრმად შესწავლილი იქნებოდა, რამაც ორივე მხარე ჩიხში შეიყვანა“, — დასძინა საუბრის ბოლოს ნეილ მაკფარლეინმა და იმედი გამოთქვა, რომ ასეთი რთული ვითარების მიუხედავად, მხარეები შეთანხმებას სამომავლოდ მაინც მიაღწევენ.

პროფესორმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტორსაც, რომ მართალია, საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ დიდი ქვეყნის მეზობელია, რომელსაც ამ მხარეში თავისი ინტერესები გააჩნია და ეს ინტერესები, რა თქმა უნდა, ქვეყნის უსაფრთხოებას გარკვეულ პრობლემებს უქმნის...

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორთან შეხვედრამ საინტერესოდ ჩაიარა. აქტიურობდნენ როგორც პედაგოგები, ასევე სტუდენტებიც. პროფესორმა ნეილ მაკფარლეინმა კმაყოფილება გამოთქვა შეხვედრის გამო და სამომავლოდ მსმენელი სხვა აქტუალურ თემებზე სასაუბროდ მიიწვია.

ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა „განათლების დარგში წლის ქალბატონად“ მარიამ ლორთქიფანიძე დაასახელა

„ქალი ბურჯი და ქვაკუთხედია როგორც ოჯახის, ისე საზოგადოებისაც. მთელი მისი ქვეყნის, მისი სამშობლოსი... ნეტავი იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს“ — აკაკი წერეთლის ეს სიტყვები დღეს ისე არავის უხდება, როგორც ქართველი ერის საამაყო ქალბატონს, საზოგადო მოღვაწეს, ისტორიკოსსა და ჭეშმარიტ მამულიშვილს ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს. იგი გახლავთ ქალი, რომელიც ყველა თაობისთვის იქნება მაგალითის მიმცემი თავისი თავმდაბლობით, კაცთმოყვარეობითა და სისადავით. მან თავისი ქვეყნის ისტორია კალმით გააცოცხლა და იგი თითოეული ქართველის გულთან მიიტანა. გახდე ყველა თაობის ქართველისათვის პატივცემული პიროვნება ადვილი არ არის, მაგრამ გახდე ესოდენ აღიარებული უცხოელი კოლეგების, საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლების მიერ, ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

თამარ მარუაშვილი

15 მაისს თსუ-ში ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის პრეზიდენტის ჯ. მ. ევანსისგან წერილი მოვიდა:

„პატივცემულო, დოქტორო ლორთქიფანიძე, მაქვს დიდი პატივი პირადად გამცნოთ, რომ თქვენ წარდგენილი ბრძანდებით 2008 წლის „განათლების დარგში წლის ქალბატონად“. წარმატებული პიროვნებების მოღვაწეობის გლობალური კვლევის შედეგად ინსტიტუტის საერთაშორისო საბჭომ გადაწყვიტა თქვენი წარდგენა ნომინაციაზე.

ერთობ რთულ ამოცანას წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ ვინ იქნებოდა რჩეული განათლების ფართო სფეროში. თქვენ ხართ ის პიროვნება, ვინც გაიმარჯვა ამ ნომინაციაში ასობით კანდიდატურის განხილვის შემდეგ, გილოცავთ!“

როგორც ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის პრეზიდენტი გვატყობინებს, საბჭო ასეთ პიროვნებებს არჩევს მთელ მსოფლიოში სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობის შედეგად. ამ ინსტიტუტს ორმოცდაერთწლიანი მუშაობის და ერთი მილიონი ბიოგრაფიის შესწავლის გამოცდილება აქვს. პრეზიდენტი ჯ. მ. ევანსი დიდ პატივად თვლის პირადად მიულოცოს ქალბატონ მარიამს ეს წარმატება.

რა თქმა უნდა, ეს ფაქტი, ანუ საერთაშორისო საბჭოს მიერ ქართველი მეცნიერის „განათლების დარგში წლის ქალბატონად“ დასახელება ყველა ქართველისთვის საამაყოა. ქართველი მეცნიერი ქალის საერთაშორისო აღიარება ქართული მეცნიერების კიდევ ერთი გამარჯვებაა. ამ ფაქტთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვით მივმართეთ ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს.

— ქალბატონო მარიამ, ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა ასობით კანდიდატურა განიხილა და „განათლების დარგში წლის ქალბატონად“ დაგასახელათ. ქართველი საზოგადოებისათვის ეს აღიარება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან მან კარგად იცის თქვენი ღვაწლი და დამსახურება ქვეყნის წინაშე, თქვენთვის თუ იყო მოულოდნელი ეს გადაწყვეტილება?

— ჯერ კიდევ 1998 წელს აშშ-ის ბიოგრაფიული ინსტიტუტიდან მომივიდა ცნობა იმის შესახებ, რომ არჩეული ვიყავი საუკუნის ადამიანად, ამის დამადასტურებელი მედალიც მაქვს. 2000 წელს კემბრიჯიდანაც მივიღე წერილი, რომელიც მატყობინებდა, რომ „ოქროს ვარსკვლავით“ ვიყავი დაჯილდოვებული.

— იცოდით იმის შესახებ, რომ თქვენს ბიოგრაფიას ამერიკის ბიოგრაფიულ ინსტიტუტში შეისწავლიდნენ?

— აშშ-ის ბიოგრაფიულ ინსტიტუტს აქვს თავისი ლექსიკონი, სადაც შეტანილი ვარ, როგორც ერთერთი მეცნიერი, მოღვაწე...

— ყველაზე მეტად მაინც რომელი აღიარება იყო თქვენთვის მნიშვნელოვანი?

— ყველაზე მნიშვნელოვანი იყო და არის სტუდენტების დამოკიდებულება ჩემდამი. ისინი ყველაზე ობიექტური შემფასებლები არიან.

— რა დგას ამ რეგალიებისა და წოდებების უკან?

— რა თქმა უნდა, დიდი შრომა, ქართული ტრადიციებისადმი პატივისცემა. წილად მხვდა ბედნიერება — მყოლოდა შესანიშნავი პედაგოგები სკოლაშიც და უნივერსიტეტშიც, და თუ ისტორიკოსად ჩამოვყალიბდი, ეს ბატონ სიმონ ჯანაშიას და ჩემი მასწავლებლების, ხელმძღვანელების დიდი დამსახურებაა. ყოველთვის თავდაუზოგავად ვმუშაობდი...

— თქვენ კარგად იცნობთ როგორც ქართულ-ეროვნულ საგანმანათლებლო ტრადიციებს, ასევე თანამედროვე განათლების სისტემის ტენდენციებსაც...

— გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვწერდი ამის შესახებ. ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გავამართლებ იმ მიმართულებას, რომელიც განათლების სფეროშია გაბატონებული და რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული კულტურის ნიველირებას, ეროვნული თვითშეგნების ამოძირკვას.

— ეს აზრი სხვა სწავლულებისგანაც მომისმენია, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ამის საწინააღმდეგოდ არაფერი კეთდება?

— მართალი ბრძანდებით, ერთხელ კიდევაც მითხრეს: რამდენიც გინდა წერე და იკითხეო. ვიცი, რომ ჩემი შეხედულება შეიძლება მხოლოდ შეხედულებად დარჩეს, მაგრამ ეს ფაქტი ხომ აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს?

— სად მიგვიყვანს ყველაფერი ეს?

— კარგ შედეგამდე ნამდვილად არ მიგვიყვანს. ეს არის ერთი მხარე და გამოვლინება გლობალიზაციის პროცესისა. საქართველო ამ პროცესს არ უნდა გამოეთიშოს და ვერც გამოეთიშება, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს საკუთარი ეროვნული, კულტურული სახის დაკარგვის ნიშნის ქვეშ. ჩვენ ვერც მრეწველობით და ვერც ტექნოლოგიებით გავაკვირვებთ ვინმეს... გლობალიზაციის პროცესში საკუთარის გადარჩენის მთავარი საფუძველი ერთიანი ეროვნული თვითშეგნებაა, მაღალი კულტურაა. ჩვენისთანა მცირერიცხოვანმა ერებმა ეროვნული სახე რომ შეინარჩუნონ, თავისი კულტურა უნდა დაიცვან.

დღეს აფხაზეთის წარმომადგენლები დამოუკიდებლობის მოთხოვნის დასაბუთებას გაყალბებული ისტორიით ცდილობენ

3 მაისს ნორჩ ისტორიკოსთა და ფილოლოგთა სკოლის მსმენელთა ფართო აუდიტორიამ მოისმინა ლექცია აქტუალურ თემაზე — „აფხაზეთი და აფხაზები“, რომელიც თსუ-ის პროფესორმა, აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ „ნორჩ ჰუმანიტარებს“ საგანგებოდ შეურჩია.

აფხაზეთის საკითხებზე ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე საუბარი, რა თქმა უნდა, რთულია, თუმცა მარიამ ლორთქიფანიძის მიერ წარმოდგენილი ისტორიული ანალიზი ახალგაზრდა თაობისთვის ნათლად გასაგებს ხდის — რა არის აფხაზეთი, ვინ არიან აფხაზები, რა ისტორიული ცვლილებების შედეგად გადაიქცა იგი სეპარატიზმის კერად და როგორ აღმოვჩნდით დღევანდელი რეალობის წინაშე: აფხაზეთი გამოყოფილია საქართველოდან, ქართული მოსახლეობა კი აფხაზეთიდან გამოყრილია... საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ სახელმწიფოს და თვით ქართველ მეცნიერებს კონფლიქტის ზონაში არანაირი კვლევის ჩატარების საშუალება არ მისცემიათ, რაც ისტორიულ აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის რეალური დემოგრაფიული სურათის წარმოჩენას შეუწყობდა ხელს. ამდენად არის საინტერესო ის ლექცია, რომელიც აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ ფართო აუდიტორიის წინაშე წაიკითხა.

მარიამ ლორთქიფანიძე:

— საომარი მოქმედების დაწყებამდე აფხაზები, რომელნიც თავის თავს აფსუებს უწოდებენ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 17% -ს, ქართველები კი 45%-ს შეადგენენ. რა თქმა უნდა, აფსუების ეს რაოდენობა ქართველებთან ომს ვერ მოიგებდა, რომ არა გარეშე ძალის დახმარება.

აფხაზეთი საქართველოს ერთერთი უძველესი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა, როგორც კახეთი, გურია, სამეგრელო.... აფხაზეთი თავის ძირითად ისტორიულ საზღვრებში მდებარეობდა საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე, კავკასიონის ქედის სამხრეთ საზღვრიდან მდინარე გუმისთამდე (თანამედროვე სოხუმამდე). ეს ტერიტორია უძველესი დროიდან ყოველთვის ქართულ, ძირითადად, დასავლურ-ქართულ ისტორიულ-გეოგრაფიულ-პოლიტიკურ-კულტურულ არეალში შედიოდა. მართალია, საკუთრივ აფხაზეთში მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალას ახასიათებს ზოგი ლოკალური თავისებურებანი, მაგრამ ლოკალური თავისებურებანი დამახასიათებელია კოლხეთის სხვა ეთნო-კულტურული ერთეულებისთვისაც, მაგალითად, გურიისთვის, სამეგრელოსთვის... მიუხედავად ამისა, მთლიანობაში ეს ერთიანი კოლხური კულტურაა. კოლხეთის სამეფოს არსებობის დროს (ძვ. წ. აღ. I ათასწლეული) აფხაზეთი ამ სამეფოს ერთერთი საერისთავო იყო.

ახალი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნისათვის, შიდა სოციალური პროცესებისა და საერთაშორისო ვითარების გამო, რომის იმპერიის მცდელობით, რომელსაც აქ გაბატონება სურდა, კოლხეთის სამეფო დაიშალა და მის მიწა-წყალზე რამდენიმე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი გაერთიანება ჩამოყალიბდა: ლაზების (ეგრების), აფსილების, სანიგების, აბაზგების, რომელთა მმართველებს რომის იმპერატორები ამტკიცებდნენ. წერილობით წყაროებში შავი ზღვის ქართულ სანაპიროზე აფხაზების (აბაზგების) ხსენება პირველად ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში ჩნდება (ბიზანტიის საიმპერატორო კარის მოხელე, მწერალი ფლავიუს არიანე. ახ.წ.აღ. II საუკუნის მოღვაწე).

მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა: ვინ არიან ეს აბაზგები (ქართული შუა საუკუნოვანი წერილობითი წყაროების აფხაზები) და როდიდან მოსახლეობენ ისინი აქ? მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ისინი ისეთივე ქართველურ ეთნოსს წარმოადგენენ, როგორც მათ ირგვლივ მცხოვრები ეგრები, სვანები.... ნაწილი კი თვლის, რომ ისინი ჩრდილოკავკასიური ადიღური მოდგმისანი არიან. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ისინი აქ უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ და წერილობით წყაროებში მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან იხსენიებიან, ხოლო მკვლევართა ნაწილის აზრით, ისინი ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში ჩამოდიან ჩრდილო კავკასიიდან და სახლდებიან აქ.

ახ.წ.აღ. II საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში გაძლიერებას იწყებს ლაზიკა (ეგრისი), იქმნება ეგრისის სამეფო, რომელიც IV საუკუნისათვის მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებს. აფხაზეთი მისი ერთერთი საერისთავო იყო.

IV-VI საუკუნეებში სამხრეთ საქართველოში ორი დიდი სახელმწიფო: რომის იმპერიის მემკვიდრე — ბიზანტიის და სასანიანთა ირანის იმპერიები უპირისპირდება ერთმანეთს. ირანი აღმოსავლეთ საქართველოზე ავრცელებს თავის გავლენას, ბიზანტია კი დასავლეთ საქართველოზე ცდილობს თავისი გავლენის განმტკიცებას, რისთვისაც მას ეგრისის სამეფოს დასუსტება ესაჭიროება. ამ მიზნით ის მხარს უჭერს აფხაზეთის საერისთავოს გამოყოფას და მის გაძლიერებას. აფხაზეთი ბიზანტიის ვასალი ხდება, აფხაზთოებს თავის გავლენას მეზობელ სანიგეთსა და აფშილეთის ნაწილზე. მისი სამხრეთი საზღვარი მდინარე კოდორამდე აღწევს. ფართოვდება ცნება აფხაზეთის მნიშვნელობა. აფხაზეთი იმ ტერიტორიას ეწოდება, რომლის მმართველს ქართული საისტორიო წყარო „ბერძენთა ერისთავს“, ხოლო ბერძნული წყაროები „აფხაზთა არქონტს“ უწოდებენ.

VII საუკუნიდან მსოფლიოს ისტორიულ ასპექტებზე ახალი, ძლიერი მაჰმადიანური სახელმწიფო — არაბთა სახელმწიფო გამოდის, რომელიც თანდათან ფეხს იკიდებს აღმოსავლეთ საქართველოში. ბიზანტიის იმპერია მარცხს განიცდის სახალიფოსთან ბრძოლაში. მას არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ დასავლურ-ქართული სახელმწიფო ესაჭიროება და ის ხელს უწყობს დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესებს, რაც დასავლეთ საქართველოს გაერთიანებით სრულდება. სახელდობრ, საიმპერატორო კარი ოფიციალურად ცნობს ქართლის სამეფო სახლის ჩამომავლების — მირისა და არჩილის ხელისუფლებას, რომელნიც ქართლში მაჰმადიანთა ძალაუფლების დამკვიდრების პირობებში დასავლეთ საქართველოში გადადიან და ეგრისში მკვიდრდებიან, რის დასტურად საიმპერატორო კარი მირს და არჩილს ორ სამეფო გვირგვინს უგზავნის, ხოლო თავის ვასალ აფხაზთა ერისთავ ლეონს უბრძანებს — დაემორჩილოს და „კეთილად მსახურებდეს“ მათ.

მე-9 გვერდზე

დღეს აფხაზეთის წარმომადგენლები დამოუკიდებლობის მოთხოვნის დასაბუთებას გაყალბებული ისტორიით ცდილობენ

მე-8 გვერდიდან

737 წელს, როდესაც არაბთა დიდი არმია მურვან იბნ მუჰამადის (ქართველებმა „მურვან ყრუ“ რომ შეარქვეს) სარდლობით დასავლეთ საქართველოში შეიჭრა, აფხაზთა საერისთავოს ციხე-ქალაქ ანაკოფიის (დღევანდელი ახალი ათონის ტერიტორია) დაცვას თავისი და აფხაზთა ლაშქრით მირი და არჩილი ხელმძღვანელობდნენ, აფხაზთა ერისთავი ლეონ I კი აფხაზეთისა და ოსეთის საზღვარზე სობლისის ციხეშია გამაგრებული არაბთა შემოჭრის საშიშროებისგან თავდასაცავად. მურვან ყრუმ ანაკოფიის ციხე ვერ აიღო და გაბრუნდა. მეფე მირი ბრძოლაში მიღებული ჭრილობებით გარდაიცვალა, მას ძე არ დარჩა. მან ძმას — მეფე არჩილს, რომელსაც ამ დროს შვილი არ ჰყავდა, თავისი ასულების გათხოვება და გამზითვება უანდერძა, რაც არჩილმა შეასრულა. მისი ერთერთი ასული გურანდუხტი მან აფხაზთა ერისთავ ლეონს მიათხოვა და მირის გვირგვინი გადასცა. ლეონმა არჩილს ქვეშევრდომად მიღება სთხოვა. დინასტიური ქორწინების საფუძველზე დასავლეთ საქართველო გაერთიანდა. ამ დროს ხდება ცნება „აფხაზეთის“ შემდგომი გაფართოება და ის მოიცავს მთელ დასავლეთ საქართველოს ნიკოფსიიდან (თანამედროვე ტუაფსე) ჭოროხის ხეობამდე და შავი ზღვიდან ლიხის (სურამის) ქედამდე. ეს ერთიანი დასავლეთ საქართველო ბიზანტიის იმპერიის ვასალია, ხოლო მისი ხელისუფალი უკვე მთავრად იწოდება. ასე იხსენიება ის VIII საუკუნის ქართველი მწერლის, იოანე საბანისძის თხზულებაში, აბო თბილელის მარტვილობას რომ ეძღვნება.

VIII საუკუნის დასასრულს აფხაზთა მთავარი ლეონ II სარგებლობს ბიზანტიის იმპერიის დასუსტებით, თავისუფლდება იმპერიის ვასალობიდან და თავს „აფხაზთა მეფედ“ აცხადებს. აღნიშნული გარემოება უფლებას აძლევს ზოგ მკვლევარს, რათა განაცხადოს, რომ დასავლეთ საქართველო არაქართველმა, აფხაზმა ლეონმა გააერთიანა. სინამდვილეში ლეონ II დასავლეთ საქართველო მემკვიდრეობით ერთიან ქვეყნად მიიღო, ხოლო „აფხაზთა“ მეფედ იმიტომ იწოდა, რომ ქართული მხარე — აფხაზეთიდან იყო. აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ იყო ეთნიკურად ლეონი. ზოგი მკვლევარი მას წარმოშობით ბერძნად თვლის, რადგან აფხაზთა ერისთავებს ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება ნიშნავდა, ზოგი არაქართველ ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებულ აფხაზთა (აბაზგთა) ჩამომავლად თვლიდა, ზოგი — ქართველ აფხაზად. მისი წარმოშობის გარკვევა საინტერესოა, მაგრამ პირდაპირი წყაროების არარსებობის პირობებში, ამჟამად ეს შეუძლებელია. თუმცა საინტერესოა არა მისი წარმომავლობა, არამედ ის, თუ ვინ იყვნენ ეს მეფეები თავიანთი ეროვნული თვითშეგნებით და სახელმწიფო მოღვაწეობით. მოღვაწეობით ისინი ქართული სახელმწიფოს ქართველი მეფეები იყვნენ, რისი დასტურიც მთელი მათი საქმიანობაა. ბიზანტიის ქვეშევრდომობიდან გათავისუფლებისთანავე ლეონ II სამეფოს დედაქალაქი ერთერთ უძველეს ქართულ ქალაქში, ქართული კულტურის ცენტრში — ქუთაისში გადაიტანა, სამეფოში გაატარა ადმინისტრაციული რეფორმა, სამეფო საერისთავოებად დაყო, სადაც აფხაზეთი 8 საერისთავოდან ერთერთი საერისთავო იყო, რომლის საზღვარი ცხუმამდე (სოხუმამდე) მიდიოდა. ცხუმი სხვა საერისთავოს შეადგენდა. „აფხაზთა“ მეფეებმა გაატარეს საეკლესიო რეფორმა: საკუთრივ აფხაზეთის ეკლესია, რომელიც კონსტანტინეპოლის სამწყსოს ექვემდებარებოდა, გამოჰყვეს კონსტანტინეპოლიდან და დასავლეთ საქართველოს ეკლესიას გაუერთიანეს, ხოლო შემდეგ მცხეთის ტახტს დაუქვემდებარეს დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელიც ერთიანი საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში შევიდა. ამ დიდ საქმეში აფხაზთა მეფეებს მხარში საქართველოს ეკლესია ედგა. საკუთრივ აფხაზეთში, ისევე როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობდა, სახელმწიფო მმართველობის ენა ქართული იყო. IX საუკუნის დასაწყისიდან აფხაზეთში ქართული ეპიგრაფიკა (ქართული წარწერები) დასტურდება და მთელი შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის მანძილზე იქ მხოლოდ ქართული წარწერებია (ეკლესია-მონასტრებში ბერძნული წარწერების არსებობა მართლმადიდებლური მრწამსის დამადასტურებელია). „აფხაზთა“ სამეფო ძირითადი ტერიტორიით, ენით, კულტურით ქართული სახელმწიფოა... „აფხაზთა“ მეფეების კარზე და „აფხაზთა“ მეფეების ხელშეწყობით იწერება ქართული ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებები, იგება ქართული არქიტექტურის ძეგლები, რომ „აფხაზთა“ სამეფო ქართული, დასავლურ-ქართული სახელმწიფოა — ეს კარგად იციან ჩვენმა მეზობლებმა. X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ჰოვჰანნეს დრასხანაკერტცი ამ სახელმწიფოს ეგრისს, მოსახლეობას ეგრებს და მათ მეფეებს ეგრების მეფეებს უწოდებს.

VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში მიმდინარეობს არაბ და ბიზანტიელ დამპყრობთაგან გათავისუფლების და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისთვის ბრძოლა. ამ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდა „აფხაზთა“ სამეფო, რომელიც X საუკუნის დასაწყისიდან საუკუნის 70-იან წლებამდე ფლობდა შიდა ქართლს, რაც ნიშნავდა ჰეგემონობას საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლაში, მაგრამ „აფხაზთა“ სამეფოში ოთხ ძმას შორის ტახტისთვის ბრძოლაში დასუსტებული სამეფო კარგავს შიდა ქართლს და მას კახეთის მთავარი იპყრობს. ამ დროს იქმნება ხელსაყრელი საშინაო და საგარეო პირობები ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გასაერთიანებლად და იქმნება ამ გაერთიანების განხორციელების ოპტიმალური გეგმა, რომლის ავტორი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, დიდი დიპლომატი, ერისთავი იოანე მარუშისძეა.

მან მიმართა იმდროინდელი საქართველოს უძლიერეს ხელისუფალს, ტაოს მეფეს, ბაგრატიონ დავით III, რომ შიდა ქართლი დაიკავოს ან გადასცეს თავის შვილობილსა და მემკვიდრეს (დავითს შვილი არ ჰყავდა) ბაგრატ ბაგრატიონს, რომელსაც მამის ხაზით „ქართველთა“ (ტაო-კლარჯეთის) მეფობა ეკუთვნოდა, ხოლო დედის ხაზით ის „აფხაზთა“ სამეფოს კანონიერი მემკვიდრე იყო, რადგან „აფხაზთა“ მეფეებს მემკვიდრე არ ჰყავდათ, ხოლო მათი და გურანდუხტი ქართველთა მეფის ძის გურგენის მეუღლე ბაგრატის დედა იყო. დავით ტაოელს არც ძალა აკლდა და არც ხელისუფლების მოყვარეობა, მაგრამ მან ქართული სახელმწიფოს ინტერესები პირად ინტერესებზე მაღლა დააყენა. შიდა ქართლი მას, როგორც ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელს, კანონიერად ეკუთვნოდა, დასავლეთ საქართველოზე კი მას უფლება არ ჰქონდა და რადგან დღის წესრიგში ქართული ქვეყნის გაერთიანების საკითხი იდგა, მან მხარი დაუჭირა ბაგრატის პიროვნებას. როდესაც დავით III ტაოელი შიდა ქართლისკენ დაიძრა თავისი ლაშქრით, კახელებმა დატოვეს შიდა ქართლი. 975 წელს ბაგრატი უფლისციხეში შიდა ქართლის გამგებლად დასვეს. აქ შეკრებილ წარჩინებულთა ყრილობაზე დავით ტაოელმა განაცხადა, რომ ბაგრატი არის „მკვიდრი (ე.ი. მემკვიდრე მ.ლ.) ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე, ამას დაემორჩილენით ყოველნი“. სამი წლის შემდეგ იოანე მარუშისძემ ისევ მიმართა დავით კურაპალატს, სადაც ამ დროს ძმათა შორის ტახტისთვის ბრძოლაში თვალდამწვარი თეოდოსი მეფობდა და, ბუნებრივია, უსინათლოს მეფობაში „აირია საქმენი აფხაზეთისანი“.

ბაგრატი ქუთაისში აკურთხეს „აფხაზთა“ მეფედ. ეს იყო პირველი ოფიციალური ტიტული, რომელიც ერთიანი საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III (975/8 — 1014წ.) მიიღო. ქართველთა მეფე ამ დროს მისი პაპა ბაგრატ II იყო, კახეთს თავისი და ჰერეთს თავისი მეფეები ჰყავდა. ბაგრატმა ქართველთა მეფის ტიტული თავისი წინამორბედი ქართველთა მეფის გარდაცვალების შემდეგ მიიღო XI საუკუნის დასაწყისში, ხოლო კახთა და ჰერთა მეფის ტიტულები 1008—1010 წლებში კახეთისა და ჰერეთის შემოერთების შემდეგ, და ამ ეტაპზე ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურა ასე გაიმართა: მეფე აფხაზთა (ე.ი. დასავლეთ საქართველოს მეფე), ქართველთა (ე.ი. ქართლ-მესხეთის მეფე), მეფე კახთა და ჰერთა. ეს ტიტულატურა ბოლომდე დარჩა საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში და ის ქართული ქვეყნების ერთ ფეოდალურ სახელმწიფოდ — საქართველოდ გაერთიანების პროცესს ასახავს. „აფხაზთა“ მეფე იმიტომაა პირველ ადგილზე, რომ როგორც ითქვა, ეს იყო პირველი ოფიციალური ტიტული, რომელიც ერთიანი საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატმა მიიღო, და არა იმიტომ, როგორც ზოგი ბრძანებს, რომ აფხაზებს (ქართველებს თუ არაქართველებს) რაღაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით საქართველოს გაერთიანებაში. საკუთრივ აფხაზეთი ერთიან საქართველოში ერთერთი საერისთავო იყო, რომლის ერისთავები შერვაშიძეები იყვნენ. ამ საერისთავოს საზღვარი ცხუმის (სოხუმის) საერისთავომდე აღწევდა. ასე იყო ეს, სანამ არსებობდა ერთიანი საქართველო.

რადგან ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში პირველ ადგილზე იყო „მეფე აფხაზთა“, რიგ უცხოურ და ზოგჯერ ქართულ წერილობით წყაროებშიც საქართველოს „აფხაზეთი“ ეწოდებოდა, მაგრამ ჩვენმა ახლობელმა თუ შორეულმა მეზობლებმა კარგად იცოდნენ, რომ აფხაზეთი საქართველოა. მაგალითად, ბერძნული (ბიზანტიური) საისტორიო წყაროებისთვის „აფხაზი“ და „იბერი“ იდენტური ცნებებია; იდენტური ცნებებია „ქურჯი“ (ე.ი. ქართველი) და „აფხაზი“ არაბული და სპარსული წერილობითი წყაროებისთვის, ხოლო რუსული მატიანე პირდაპირ მიუთითებს, რომ „იბერი“ და „ობეზი“ (ე.ი. აფხაზი) იდენტური ცნებებია. შიდა სოციალური პროცესების და იმ ძნელბედობათა შედეგად, რაც ჩვენში XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან მიმდინარეობს, XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში საქართველო ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ოთხ სახელმწიფოდ: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ იშლება. აფხაზეთი იმერეთის სამეფოში შედიოდა, როგორც ერთერთი საერისთავო, ერისთავ შერვაშიძეებით სათავეში.

XVII საუკუნის II ნახევარში აფხაზეთი სამთავროდ ჩამოყალიბდა იმერეთის სამეფოში. შერვაშიძეები თავის სამთავროს შეუერთებენ სამეგრელოს სამთავროს ნაწილს, თანამედროვე გალის რაიონს, რომელსაც ერთერთი მთავარი შვილს — მურზაყანს უმტკიცებს სამფლობელოდ, რის შემდეგაც ამ მხარეს სამურზაყანო ეწოდა.

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს სამხრეთ დასავლეთიდან ოსმალთა მაჰმადიანური, სუნიტური მრწამსის იმპერია, ხოლო XVI საუკუნიდან სამხრეთ აღმოსავლეთიდან ასევე მაჰმადიანური, მაგრამ შიიტურ მრწამსის სეფიანთა ირანი დაუმეზობლდა. XVI-XVIII საუკუნის მანძილზე ეს ორი იმპერია იბრძოდა საქართველოს დაუფლებისთვის. ქართული სახელმწიფოები საკუთარი არსებობის დაცვის მიზნით ხან ერთ მებრძოლს უჭერდნენ მხარს, ხან მეორეს. ამ უთანასწორო ბრძოლას ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი შეეწირა: უმთავრესად ქვეყნის ბარი ნადგურდებოდა, სადაც საომარი ოპერაციები მიმდინარეობდა.

XVI საუკუნიდან ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ძლიერი ქრისტიანული (მართლმადიდებლური) რუსეთი მოიწევს, რომელიც ავიწროვებს ჩრდილო კავკასიის ველების (შემდეგ სამხრეთ რუსეთი რომ ეწოდა) მოსახლეობას, რომელნიც თავშესაფარს კავკასიონის ქედის ჩრდილო კალთებზე ჰპოვებენ, საიდანაც მოსახლეობა თანდათან კავკასიონის სამხრეთ კალთებს ეფარება, რომლის ქართველი მოსახლეობა შემცირებულ ბარში ჩადის. ასე თანდათან, XIII-XV საუკუნეებიდან კანტი-კუნტად, ხოლო XV და განსაკუთრებით XVII საუკუნეებიდან უკვე მასიურად ხდება ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარეთა ჩამოსახლება და კომპლექტურად დასახლება საქართველოს მთიან და მთისწინა რეგიონებში: ასე ჩნდება კახეთში ლეკთა, შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა, ხოლო დასავლეთ საქართველოში იმათი ჩამოსახლება, ვინც თავის თავს აფსუებს უწოდებს, მაგრამ რადგან ისინი საკუთრივ აფხაზეთში დასახლდნენ, ჩვენმა წინაპრებმა მათ „აფხაზები“ უწოდეს. ქართული დოკუმენტური, უცხოური (თურქული, ევროპული, რუსული) წერილობითი წყაროები მიუთითებენ ამ ჩამოსახლების პროცესზე და იმ განსხვავებაზე ტრადიციებსა, ყოფასა, კულტურასა და ენაში, რაც ჩამოსახლებულთა და ადგილობრივთა შორის არსებობდა. აფსუათა (აფხაზთა) ზეპირი გადმოცემები მოგვითხრობენ მათი მთაში ცხოვრების, ბარში საძარცველად ჩამოსვლისა და აქ მათი დასახლების შესახებ.

ოსმალეთის ხელისუფლებამ მოახერხა მისი გავლენის ქვეშ მყოფ დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ აფსუების ნაწილში ისლამის გავრცელება.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ გატარებული ადმინისტრაციული რეფორმით საქართველო ორ — თბილისის და ქუთაისის გუბერნიებად გაიყო, აფხაზეთი ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა, როგორც სოხუმის ოლქი (ყოფილი აფხაზეთი სამთავროს ტერიტორია).

რუსეთის იმპერიის დამხობის შემდეგ დაფუძნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელშიც აფხაზეთი ავტონომიის სტატუსით შევიდა. ამ დროს აფხაზეთში აფსუა ბოლშევიკების მცდელობით, ქართველი ბოლშევიკების და საბჭოთა რუსეთის მხარდაჭერით იყო მისი საქართველოდან გამოყოფის, დამოუკიდებლობის გამოცხადების, მასში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, რუსეთთან გაერთიანების ცდები, რაც საქართველოს ხელისუფლების სათანადო პასუხს იწვევდა. ადგილი ჰქონდა სამხედრო შეტაკებებსაც. აფსუა სეპარატისტების მიერ სრულიად იგნორირებული იყო აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, რომლის უმრავლესობა ქართველები იყვნენ, რომლებიც აპროტესტებდნენ მათ გადაწყვეტილებებს. სოფლებში იმართებოდა ხალხმრავალი კრებები, რომელზეც ქართველები პროტესტს გამოთქვამდნენ — თუ რატომ უნდა ეცხოვრათ მათ სხვა სახელმწიფოში, როდესაც უძველესი დროიდან საკუთარ მიწაზე, საკუთარ ქვეყანაში ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი აზრი აფსუებს არ აინტერესებდათ.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ (1921 წ. თებერვალი) ეს ბრძოლა კიდევ უფრო მწვავე ხასიათს იღებს. აფხაზეთის სტატუსი რამდენჯერმე შეიცვალა, ის ჯერ სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა, შემდეგ საქართველოსთან ასოცირებულ სოციალისტურ რესპუბლიკად, ხოლო 1931 წლიდან საქართველოში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკად.

ტრაგიკულ მოვლენებამდე აფხაზეთში აფსუები, ისე როგორც ყოველთვის, მოსახლეობის უმცირესობას — 17% შეადგენდნენ, ქართველები – 45%-ს. დღეს მათი წარმომადგენლები დამოუკიდებლობის მოთხოვნის დასაბუთებას გაყალბებული ისტორიით ცდილობენ: აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობით შუა საუკუნეებში თუ საბჭოთა ხელისუფლების დროს. „აფხაზეთი“ არასოდეს ყოფილა დამოუკიდებელი სახელმწიფო, „აფხაზთა“ სამეფო ქართული სახელმწიფო იყო და არა აფსუების. შუა საუკუნოვანი ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით აფხაზი თვითშეგნებით, კულტურით, ენით, ყოფით ისეთივე ქართველი იყო, როგორც მის გვერდით მცხოვრები კახი, ეგრი, სვანი...

საბჭოთა კავშირის უზენაესი ხელისუფლება, ფაქტობრივად, არ ცნობდა 1921—31 წლებში აფხაზეთის დამოუკიდებლად არსებობას. 1924 წლის საბჭოთა კონსტიტუციაში აფხაზეთი ფიქსირებულია როგორც საქართველოში შემავალი „ავტონომიური რესპუბლიკა“. აფხაზები ყოველთვის სხვადასხვა სტატუსით ქართულ სახელმწიფოში შედიოდა.

რაც შეეხება აფსუებს, მათ აქვთ მყარად ჩამოყალიბებული ეროვნული თვითშეგნება, საკუთარი ტრადიციები, კულტურა (ენა, მწერლობა, ხელოვნება...) რა დროიდანაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი აფხაზეთში და ვინც არ უნდა იყვნენ წარმოშობით, მათ აქვთ საქართველოში ფართო ავტონომიით ცხოვრების და საკუთარი კულტურის განვითარების უფლება, მაგრამ არ აქვთ ამ ქართული მხარის საქართველოდან გამოყოფის მოთხოვნის უფლება.

ახალი თვითმმართველობა დეცენტრალიზებულ სტრუქტურად ყალიბდება

ინტერვიუ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტთან გიორგი შამათავასთან

ნინო კაკულია

— თქვენ აგირჩიეს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტად. საინტერესოა, რა სიახლეს გვპირდებით?

— ამჯერად სტუდენტური თვითმმართველობის დებულებაზე ვმუშაობთ. თვითმმართველობა საქმიანობას დებულების დამტკიცების შემდეგ შეუდგება. დებულება უნდა დაამტკიცოს საერთო კრებამ ხმათა ორი მესამედით. მასში გაწერილი იქნება თვითმმართველობის სტრუქტურა, რომელსაც მოვარგებთ ადამიანურ რესურსს. სიახლე გახლავთ ის, რომ ახალი თვითმმართველობა დეცენტრალიზებულ სტრუქტურად ყალიბდება. ბიუჯეტი ფაკულტეტებზე პროპორციულად გადანაწილდება. გამონაკლისი შეიძლება იყოს მედიცინის ფაკულტეტი, რომელსაც ოდნავ ნაკლები ბიუჯეტი შეიძლება ჰქონდეს, რადგან ამ ფაკულტეტზე მხოლოდ 800 სტუდენტი სწავლობს. შეიქმნება დეპარტამენტები, რომლებიც თვითმმართველობის ფუნქციონირებას ყველა მიმართულებით შეუწყობენ ხელს. სიახლეა ისიც, რომ ფაკულტეტზე იქნება განყოფილებები, ვთქვათ, კულტურის განყოფილება,

სპორტის განყოფილება, ტურიზმის განყოფილება, სტუდენტთა უფლებების დაცვის განყოფილება... ანუ, ძირითადად, ფაკულტეტები ამუშავდებიან. ვაუქმებთ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს.

განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ სტუდენტთა უფლებების დაცვის კუთხით. სწორედ ამ მიზნით ექვსივე ფაკულტეტზე შეიქმნება სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ფაკულტეტზე ყველა დარღვევას აღრიცხავენ და შემდეგ რეაგირებასაც მოახდენენ. გარდა ამისა, პირადად ვაპირებ სამ თვეში ერთხელ უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოზე მოხსენების გაკეთებას სტუდენტთა უფლებების დარღვევის თაობაზე, თუ ასეთი ფაქტი დაფიქსირდა.

ვთვლი, რომ დეცენტრალიზებული მმართველობა, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს თვითმმართველობის წარმატებულ მუშაობას. თუკი აქამდე თვითმმართველობის ხელმძღვანელობამდე ფაკულტეტებიდან ვერ აღწევდა ინფორმაცია სტუდენტთა უფლებების დარღვევის თაობაზე, ეს სიტუაცია შეიცვლება. ჩვენთვის ყველა ფაკულტეტზე მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება და, აქედან გამომდინარე, კონკრეტულ ფაქტებზე რეაგირებაც აღარ დაიგვიანებს. შედეგად სტუდენტებიც უფრო დაცულად იგრძნობენ თავს.

— ახალი სტუდენტური თვითმმართველობა 110 წევრით დაკომპლექტდა. თქვენ აღნიშნეთ, რომ გარკვეულ ცვლილებებს აპირებთ. იგეგმება თუ არა სტრუქტურის რეორგანიზაცია?

— ჩვენ ვაუქმებთ სტუდენტურ პარლამენტს. მის ფუნქციას მთლიანად შეასრულებს საერთო კრება. ჩემი წარდგინებით ვიცე-პრეზიდენტებსაც საერთო კრება დაამტკიცებს, ისევე როგორც ჩვენს დებულებას.

— სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტთა თვითრეალიზებასა და თავისუფალი დროის სწორად ხარჯვაზე უნდა იყოს ორიენტირებული. საინტერესოა თქვენ რა ღონისძიებებს გეგმავთ?

— მიმაჩნია, რომ კულტურის სფერო არის ასაღორძინებელი. ვთვლი, რომ წინა თვითმმართველობამ ამ თვალსაზრისით ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ საჭიროა უფრო აქტიური მუშაობა. ჩვენ გვინდა ტრადიციად იქცეს „სტუდენტური დღეების“ აღნიშვნა. აუცილებელია ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ,,სტუდენტური დღეების" ეგიდით მოეწყოს კვირეული, რომელზეც სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად ჩვენი უნივერსიტეტიც წარმოადგენს საკუთარ შემოქმედებას. ბოლო 3 წელია უნივერსიტეტში „სტუდენტური დღეები“ არ გამართულა, ამიტომ ვფიქრობთ, მომავალი წლიდან მაინც აღდგეს ეს ტრადიცია.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტს არ ჰყავს მხიარულთა და საზრიანთა კლუბი. ჩვენ ოქტომბრიდან ვაპირებთ შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატის მოწყობას, რათა უნივერსიტეტის გუნდის ჩამოსაყალიბებლად შევარჩიოთ საუკეთესონი. ამ სფეროში მოღვაწე ცნობილი სახეები უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და ჩვენს სცენაზე გაზრდილები არიან, ამდენად ამ ტრადიციის გაგრძელებასაც ჩვენ უნდა ჩავუყაროთ საფუძველი.

დიდ ყურადღებას დავუთმობთ ჩვენს ეროვნულ ფოლკლორს, ტრადიციებს, ფასეულობებს.

3 თვეში ერთხელ ექვსივე ფაკულტეტს დაევალება საქველმოქმედო აქციების ორგანიზება. დავეხმარებით ბავშვთა სახლებს, მათ მკვიდრთ ერთი დღით მაინც გავულამაზებთ ცხოვრებას და ვაჩუქებთ ბედნიერ წუთებს.

— რა პრობლემებზე საუბრობენ სტუდენტები? საინტერესოა, თუ ეცნობით მათ წინადადებებს და როგორ აპირებთ მათთან ურთიერთობას?

— ჩვენ გვსურს დავამკვიდროთ ახალი წესი: 6 თვეში ერთხელ ჩავატარებთ სოციოლოგიურ გამოკითხვას ექვსივე ფაკულტეტზე და რეალურად გავარკვევთ, თუ რა უჭირს და რა ულხინს სტუდენტობას, როგორ აფასებენ ისინი თვითმმართველობის საქმიანობას, რა შენიშვნები აქვთ, რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ.

გარდა ამისა, წლის ბოლოს თვითმმართველობა ფაკულტეტების მიხედვით შეხვდება სტუდენტებს, მოისმენს მათგან შენიშვნებს, შეფასებებს, რასაც აუცილებლად გავითვალისწინებთ.

— რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომ სტუდენტურ თვითმმართველობას ხელისუფლება მართავს, თქვენ როგორ პასუხს გასცემდით? პოლიტიკისგან თუ აპირებთ დისტანცირებას?

— ვფიქრობ, თვითმმართველობა პოლიტიკაში არ ჩაერევა — ამას ყველანაირად ვეცდებით. ერთი რამ ცალსახაა — უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტური თვითმმართველობა თავის პოლიტიკურ პოზიციებს საჯაროდ არ დააფიქსირებს, თუმცა ნებისმიერ თვითმმართველობის წევრს უნივერსიტეტს კედლებს გარეთ თავისი აზრის გამოთქმას ვერავინ დაუშლის. მთავარია, სტუდენტებმა ამ თემით არ ისპეკულირონ.

— თუ აპირებთ ხელისუფლების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას?

— ჩვენ იმ შემთხვევაში ჩავერევით პოლიტიკურ პროცესებში, თუკი დღის წესრიგში დადგება სახელმწიფო ინტერესი. თუკი აფხაზეთს, თუკი ოსეთს დასჭირდება ჩვენი გვერდი დგომა, ჩვენ აუცილებლად ვიდგებით აფხაზეთის და ოსეთის სადარაჯოზე. მავანმა თუნდაც ლეიბორისტი ან ნაციონალი გვიწოდოს, ჩვენ ქართულ საქმეს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად მაინც გავაკეთებთ.

— სტუდენტურ თვითმმართველობაში ,,ერთიან სტუდენტურ მოძრაობას", რომელსაც თქვენ წარმოადგენთ, ფაქტობრივად არ ჰყავს კონკურენტი სტუდენტური მოძრაობა. როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა ოპოზიციური ფრთა, რომელიც გააკონტროლებდა თქვენს საქმიანობას?

— კონკურენტები, პრინციპში, გვყავს, ოღონდ ძალიან ცოტა, მაგრამ თვით სტუდენტობამ გადაწყვიტა, რომ ჩვენ ვყოფილიყავით უმრავლესობაში.

ჩვენს კონკურენტებს — თვითმმართველობის წევრები იქნებიან ისინი თუ არა, თუკი რაიმე სახის შენიშვნა ექნებათ, აუცილებლად გავითვალისწინებთ, მათ წინადადებებსა და რეკომენდაციებს ანგარიშს გავუწევთ. ერთპიროვნულ მმართველობაზე საუბარი უსაფუძვლოა. მე, პირადად, ყველასთან უშუალო ვიქნები, ყველას შევხვდები და ყველას მივიღებ. მე მხოლოდ კოორდინაციას გავუწევ თვითმმართველობის საქმიანობას, ყველა გადაწყვეტილებას კი ერთობლივად მივიღებთ.

სტუდენტური თვითმმართველობის კარი ყველასთვის ღია იქნება, ანუ ყველას ექნება საქმის კეთების შესაძლებლობა.

როგორც კი დებულება დამტკიცდება და სტრუქტურაც ჩამოყალიბდება, მუშაობას დავიწყებთ. ამ ყველაფერს ოქტომბრიდან ვგეგმავთ, რადგან მალე დასვენების პერიოდი იწყება. ზაფხულში, ერთადერთი, რასაც ვაპირებთ, ეს სტუდენტების პატრიოტულ ბანაკებში გაშვებაა.

— საინტერესოა, როგორ აპირებთ თქვენი საქმიანობის პროპაგანდას, რათა მოიცვათ უფრო მეტი სტუდენტი? თქვენი წინამორბედი ორგანიზაცია სტუდენტთა პასიურობაზე არაერთ კომენტარს აკეთებდა ხოლმე. თქვენ როგორ აპირებთ მათ დაინტერესებასა და გააქტიურებას?

— ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა სტუდენტებს მაქსიმალური ინფორმაცია ჰქონდეთ თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ. წინა თვითმმართველობის მუშაობით შესაძლოა სტუდენტები კმაყოფილნი არ იყვნენ სწორედ იმის გამო, რომ ადრე სტუდენტური თვითმმართველობა ცენტრალიზებული ორგანო იყო. ფაკულტეტებზე აქცენტის გადატანით სტუდენტისთვის თვითმმართველობას ხელმისაწვდომს გავხდით. ჩვენს მიერ დაგეგმილი ღონისძიებები და შეხვედრები სტუდენტებთან, ვფიქრობ, გაზრდის ჩვენი ორგანიზაციის პოპულარობას, რაც განაპირობებს საკმაოდ მაღალ რეიტინგს მომავალში.

— ავთანდილ კახნიაშვილი სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული საახალწლო კარნავალის დროს მის მიმართ განხორციელებულ თავდასხმაში თქვენ გასახელებთ, როგორც ამ ინციდენტში მონაწილეს. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?

— ეს არის უსაფუძვლო ბრალდება, რადგან რეალურად მეორე დღეს შევიტყვე, რაც მოხდა. მე ამ კარნავალის ერთერთი ორგანიზატორი გახლდით, მთელი საღამოს განმავლობაში სცენასთან ვიყავი და ორგანიზებას ვუწევდი საღამოს. ავთანდილ კახნიაშვილზე თავდასხმასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო და თუკი მე ვიყავი ამ ინციდენტის მონაწილე, ამას გამოძიება დაადგენდა.

როგორ გამოიყურება მომავლის საუნივერსიტეტო ქალაქი?

„პირველი ქართული უნივერსიტეტის“ ხიბლი მის წარსულშია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა კი მის აწმყოსა და სამომავლო პერსპექტივებში და იგი თავის წარმოჩენას მხოლოდ თავისი უნიკალური ისტორიით როდი ცდილობს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელსაც 90 წელი უკვე შეუსრულდა, აქვს ჯანსაღი ამბიცია იმისა, რომ გახდეს ლიდერი, სულ მცირე, რეგიონის მასშტაბით. უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში პირველი ქართული უნივერსიტეტის რეინტეგრაციის მიზანს მოემსახურება საუნივერსიტეტო ქალაქი, რომლის მშენებლობაც მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე იგეგმება. სწავლებისა და კვლევის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას ადეკვატური გარემოს უზრუნველყოფა ესაჭიროება. როგორ გამოიყურება საუნივერსიტეტო ქალაქი? — ამის გასაგებად შეგვიძლია იმ რუკის მიხედვით ვიმოგზაუროთ, რომელიც სამომავლო გეგმის მთავარი დედანია.

მაღლივ კორპუსად წოდებულ მეათე კორპუსის და ბიოლოგების კორპუსის სახელით ცნობილ მეთერთმეტე კორპუსის რეაბილიტაციის გარდა 60 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე იგეგმება ახალი შენობების აგება. აქ წარმოდგენილი იქნება სასწავლო-სამეცნიერო ზონა, სადაც სხვადასხვა მიმართულების სასწავლო კაბინეტების, აუდიტორიებისა და საკონფერენციო დარბაზების გარდა, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მიმართულებების ულტრათანამედროვე სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები განთავსდება. ეს ყოველივე მოემსახურება თსუ-ის კონკურენტუნარიან დაწესებულებად გადაქცევას, რომლის წიაღშიც დამკვიდრდება სწავლებისა და კვლევის მაღალი სტანდარტები.

საუნივერსიტეტო ქალაქში აშენდება სკოლა-ლიცეუმი, რომელიც თავისი ინფრასტრუქტურით ათას სტუდენტს მოემსახურება.

სასწავლო პროცესი ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტების თვითრეალიზაციას, გარდა ამისა, უნივერსიტეტი უნდა ითვალისწინებდეს მათი თავისუფალი დროის სწორად ხარჯვას. სწორედ ამ მიზანს მოემსახურება კულტურულ-გასართობი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსების მშენებლობა. სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი მთელ საუნივერსიტეტო სივრცეს მოიცავს და უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩაბმას სპორტის 30-მდე სახეობაში. ამ ზონაში განთავსდება ყველა სახეობის სპორტული მოედნები, სტადიონი, დახურული საცურაო აუზი. კულტურულ-გასართობი კომპლექსის მშენებლობა გათვლილია საუნივერსიტეტო კულტურული და ფართომასშტაბიანი გასართობი ღონისძიებების მოსაწყობად. ამ ზონაში განთავსდება საკონცერტო დარბაზი, ამფითეატრი, ღია საცეკვაო მოედანი, კაფე-ბარი და გასართობი ატრაქციონები.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საუნივერსიტეტო ქალაქი სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს — იცხოვრონ სრულფასოვანი სტუდენტური ცხოვრებით, ჰქონდეთ გართობის და დასვენების თანამედროვე პირობები. ამ მიზნით გათვალისწინებულია 40 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობა.

შენობა-ნაგებობების მიმდებარე ტერიტორია კეთილმოეწყობა მწვანე ნარგავებით, გაშენდება დასასვენებელი პარკი, რომელიც ქალაქის სარეკრეაციო ზონას წარმოადგენს.

საუნივერსიტეტო ცოდნის ქალაქის გაშენების პერსპექტივა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას - როგორც სასწავლო, საგანმანათლებლო, კულტურისა და ინფორმაციის ცენტრს, საფაკულტეტო ბიბლიოთეკებთან ერთად მეტ პასუხისმგებლობას სძენს. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა ყოველთვის გამორჩეული ადგილი იქნება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის. აქ მოეწყობა პრეზენტაციები, შეხვედრები, საბიბლიოთეკო კვირეულები და მრავალი სხვა სახის ღონისძიება. ბიბლიოთეკაში 4 მილიონი წიგნადი ფონდი განთავსდება.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასთან ერთად გათვალისწინებულია საუნივერსიტეტო გამომცემლობისთვის საჭირო შენობის აგება, რომელშიც განთავსდება საუნივერსიტეტო სტამბა, რედაქცია და საუნივერსიტეტო ტელე-რადიო სტუდიები.

საუნივერსიტეტო ქალაქის ერთერთი კომპონენტი გახლავთ სასტუმრო კომპლექსი, რომელიც გათვალისწინებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზღვარგარეთიდან მოწვეული აკადემიური პერსონალისთვის და რომელიც მათ საუკეთესო საცხოვრებელ პირობებს შესთავაზებს.

საუნივერსიტეტო ქალაქის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ მომსახურეობას კეთილმოწყობილი ავტოსადგომი უზრუნველყოფს.

ასე რომ, საუნივერსიტეტო ქალაქი იმ საგანმანათლებლო-კულტურული და დასვენების ცენტრის ფუნქციას შეასრულებს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი თაობის ოცნებას წარმოადგენდა. ეს ოცნება ახლოა იმ პერსპექტივასთან, რასაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულუფლებიანი წევრობა ჰქვია. ამისთვის საძირკველი უკვე ჩაყრილია, მთავარია შენება, რომელსაც საუნივერსიტეტო საზოგადოება იმედით ელის.

საქართველოს მინერალები და ძვირფასი ქვებით ამღერებული ქართული პოეზია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზუსტ და საბუნებისმეტყველო დისციპლინების პოპულარიზაციისთვის ბოლო პერიოდში კონკრეტული ღონისძიებები განხორციელდა. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში შექმნილი „ნორჩ ფიზიკოსთა“ და „ნორჩ ქიმიკოსთა“ სკოლები. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის აზრით, ამ დარგების განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე.

შურთხია ბეროშვილი

გეოლოგიის მიმართულებაზე სკოლის მოსწავლეების სტუმრობა ტრადიციად იქცა. ამჯერად სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის მიმართულებამ მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით 62-ე კონფერენციის მონაწილეებს უმასპინძლა.

გეოლოგიის მიმართულების პროფესორის ბეჟან თუთბერიძის ინფორმაციით, კონფერენცია ყოველწლიურად უფრო მასშტაბური ხდება. წელს მოსწავლეები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან ჩამოვიდნენ და საკმაოდ მდიდარი მასალა ჩამოიტანეს.

„ჩვენს მიმართულებას სკოლის მოსწავლეებთან კავშირი დიდი ხანია აქვს და იმედი მაქვს, მომავალში ეს ურთიერთთანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება. მიმაჩნია, რომ გეოლოგიური კადრების შევსებაზე აქედანვე უნდა ვიფიქროთ. უნივერსიტეტში ეს სექცია ათეული წელია მუშაობს. გვაქვს შესანიშნავი გეოლოგიური მუზეუმი, რომელიც მოსწავლეებზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ახდენს.

კონფერენციისთვის მოსწავლეებმა საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი თემატიკა შემოგვთავაზეს. მადლობელი ვარ მათი პედაგოგების, რომლებიც ჩვენთან მუდმივად თანამშრომლობენ, ამ პროცესში ჩართულია ჩვენი აკადემიური პერსონალიც“, — აღნიშნა ბეჟან თუთბერიძემ. მისი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაიმართება სტუდენტთა კონფერენცია, სადაც საუკეთესო მოსწავლეებს საშუალება ექნებათ თავიანთი ნამუშევრები უფროს მეგობრებს გააცნონ.



„ამ დარგის ასაღორძინებლად მიმართულებას უნივერსიტეტის რექტორის გიორგი ხუბუას დიდი მხარდაჭერა აქვს, რაც იმის გარანტია, რომ გეოლოგიით დაინტერესება გაიზრდება. ამის დასტურია მოსწავლეთა მიერ კონფერენციაზე წარმოდგენილი საკმაოდ საინტერესო მოხსენებები“, — აღნიშნა ბეჟან თუთბერიძემ.

კონფერენციის მნიშვნელობაზე ისაუბრა გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გურამ ღონღაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ წინა წლებთან შედარებით წარმოდგენილი ნაშრომები წელს განსაკუთრებულად საინტერესო და მაღალკვალიფიციური იყო.

უნივერსიტეტში გამართულ რესპუბლიკურ კონფერენციებში ყოველწლიურად მონაწილეობენ 170-ე და 43-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები, რაც მათი ქიმიის პედაგოგის ქეთევან ქიქოძის დამსახურებაა.

მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტში სტუმრობა მათთვის უკვე ტრადიციად იქცა.

ნინო ნემსაძე, 170-ე საჯარო სკოლის მოსწავლე:

— ჩემი თემის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს საქართველოში არსებული მინერალოგიური რესურსების შესწავლა და მისი შემდგომი განკარგვა. კვლევის დროს მოვაწყვეთ ექსკურსია. გეოლოგიის მიმართულების პროფესორების — ბეჟან თუთბერიძისა და გიორგი ღონღაძის ხელმძღვანელობით მადნეულის საბადოებზე ვიყავით, ასევე მოვინახულეთ ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალოგიურ ნედლეულთა ინსტიტუტი. თემა საკმაოდ საინტერესოა და მომავალში ამ საკითხების უფრო ღრმად და საფუძვლიანად შესწავლას ვაპირებ.

თამარ გამყრელიძე, რუსთავის 22-ე საჯარო სკოლის მოსწავლე:

— კონფერენციაზე წარმოვადგინე ნაშრომი — „გარედინამიური მოვლენები დედამიწაზე“, რომელშიც შევეცადე ამეხსნა, თუ რა იწვევს ნიადაგის გამოფიტვასა და მის დეგრადაციას. ვიკვლევ, რა მიზეზით წარმოიშვება ზვავები და მეწყერები. საერთოდ, ძალიან მაინტერესებს გარედინამიური მოვლენების გამომწვევი მიზეზები.

ნინო ქათამაძე, რუსთავის 22-ე საჯარო სკოლის მოსწავლე:

— ჩემი თემა ნავთობს და მის გადაზიდვას ეხება. დავადგინე, რომ უახლესი მონაცემებით საქართველოს 2,4 მილიარდი ტონა ნავთობის მარაგი აქვს, მაგრამ მისი მოპოვება გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

ვფიქრობ, თუ უფრო ღრმად შევისწავლი ამ პრობლემას, ჩემი კვლევა ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება.

ანა მოსულიშვილი, ქუთაისის I საჯარო სკოლის მოსწავლე:

— გეოლოგია ჩემმა გეოგრაფიის პედაგოგმა მურმან ანჯაფარიძემ შემაყვარა. როდესაც სადმე მივდივარ, გარემოს უკვე სულ სხვა თვალით ვაკვირდები. ამჟამადაც საკვლევ მასალად ჩემთვის საინტერესო თემა ავირჩიე: — მდინარე ჩხერიმელას ხეობის მიმდებარე ტერიტორიის ლითოლოგიური შედგენილობის შესწავლა. მიხარია, რომ საშუალება მომეცა, ჩემი ნააზრევი კონფერენციის მონაწილეებისთვის გამეცნო.

სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციას თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ეთნოგრაფიის კაბინეტის გეოგრაფიის სექციის ხელმძღვანელი ლეილა მებაღიშვილი დაესწრო, რომელმაც ბავშვების ნაშრომებს მაღალი შეფასება მისცა.

მოსწავლეების წარმატება ყველაზე მეტად მათ პედაგოგებს უხაროდათ. 170-ე და 43-ე საჯარო სკოლის ქიმიის პედაგოგის ქეთევან ქიქოძის ინფორმაციით, მისი მოსწავლეები ყოველწლიურად მონაწილეობენ რესპუბლიკურ კონფერენციებში, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში იმართება.

„უნივერსიტეტში ნამდვილი სამუშაო გარემო დაგვხვდა, რაც, პირველ რიგში, ბატონების ბეჟან თუთბერიძისა და გურამ ღონღაძის დამსახურებაა.

კონფერენციას ბავშვებმა სიმბოლური სათაურიც მოუძებნეს: — „საქართველოს მინერალები და ძვირფასი ქვებით ამღერებული ქართული პოეზია“.

სკოლებში ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნების საათები საგრძნობლად შემცირებულია, ამიტომ უნივერსიტეტთან თანამშრომლობა ჩვენთვის დიდი სტიმულია“, — აღნიშნა ქეთევან ქიქოძემ.

აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებით მისი ბიუსტი გაიხსნა

18 მაისს ქალაქ თბილისის მერიის ინიციატივით, საბურთალოს რაიონის ნუცუბიძის III მიკრორაიონში მდებარე განახლებულ სკვერში აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებით მისი ბიუსტი გაიხსნა. ცერემონიალს დედაქალაქის ხელისუფლებისა და ქართული სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ქართული ფილოსოფიური სკოლის ერთერთმა მესაძირკვლემ შალვა ნუცუბიძემ მთელი ცხოვრება ფილოსოფიის განვითარებას შეალია. მან 1910 წელს პეტერბურგის, ხოლო 1914 წელს ლაიფციგის უნივერსიტეტები დაამთავრა. 1918 წლიდან დიდი ქართველი ფილოსოფოსი პირველი ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლებთან ერთად ქართული მეცნიერების სათავეებთან იდგა.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საბჭოთა რეჟიმის მხრიდან შალვა ნუცუბიძე მუდმივ დევნას განიცდიდა. იგი ჯერ 1921 წელს, შემდეგ კი 1938-1940 წლებში დააპატიმრეს, ხოლო 1953-1960 წლებში გააძევეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ჩამოართვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის წოდება. დიდი მეცნიერი 1969 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში.

წლების შემდეგ რეაბილიტირებული შალვა ნუცუბიძის სახელი მიენიჭა საბურთალოს რაიონის დასახლებას, რომელსაც დღესაც ეს სახელი ჰქვია.

ბიუსტი, რომლის ავტორია მოქანდაკე დევი ხმალაძე, ქ. თბილისის მერმა გიგი უგულავამ გახსნა. მან მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოგადოებას და განაცხადა, რომ ეს დასახლება განაშენიანების დღიდან შალვა ნუცუბიძის სახელს ატარებს, მაგრამ მისთვის სათანადო პატივის მიგება მაინც დაგვიანებულია. „განათლებით ფილოსოფოსი გახლავართ და ჩემი სტუდენტობისას შალვა ნუცუბიძის სახელი სტიმული იყო პროფესიული წინსვლისთვის. ამიტომ ეს დღე ჩემთვის და იმ ადამიანებისთვის, ვინც იცნობს საქართველოს ისტორიას, კულტურას, ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას, ღირსშესანიშნავი და მნიშვნელოვანია. წუხილით შეიძლება ვთქვა, რომ ქართველთა უმრავლესობისთვის, რომლებიც შესაძლოა ამ ქალაქშიც ცხოვრობენ, ნუცუბიძის ხსენება ამ დასახლებასთან ასოცირდება და არა შალვა ნუცუბიძესთან. ეს ჩვენი ტრაგედიაა, რადგან, ჩვენდაუნებურად, მივიწყებას მივეცით ასეთი ადამიანები ნაკლები ყურადღების ან გარჯის გამო. ამიტომ ყველა ადამიანი, ვინც აქ მოვა, ჩამოჯდება და დაისვენებს, გაიხსენებს შალვა ნუცუბიძეს და დაფიქრდება, რადგან ფიქრი არის ფილოსოფოსის მთავარი ინსტრუმენტი. ამიტომ, ჩემი აზრით, ეს ადგილი ფილოსოფოსების თავშეყრის ადგილიც უნდა გახდეს“, — განაცხადა გიგი უგულავამ.

ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ორმაგად ამაყია, რადგან თბილისი იხსენებს მეცნიერს, რომელიც პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების სათავეებთან იდგა და მთელი ცხოვრება, მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობისა, ამ უნივერსიტეტის კეთილდღეობას მოახმარა. „1917 წელს, როდესაც ივანე ჯავახიშვილის ბინაზე შეიკრიბა მეცნიერთა ძალიან მცირე ჯგუფი, ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი ქართული უნივერსიტეტის დაარსების ბედი. საზოგადოებრივი აზრი არ იყო ერთგვაროვანი. მიმდინარეობდა კამათი, რა უნდა დაფუძნებულიყო საქართველოში — პოლიტექნიკური ინსტიტუტი თუ უნივერსიტეტი. შემთხვევითი არ იყო ის, რომ ივანე ჯავახიშვილმა, თავისი გამოსვლის შემდეგ, პირველი სიტყვა შალვა ნუცუბიძეს მისცა. მან მგზნებარე ორატორული შესაძლებლობიდან გამომდინარე შეძლო საზოგადოების დარწმუნება, რომ საქართველოში დაფუძნებულიყო პირველი ქართული უნივერსიტეტი.

ამის შემდეგ ქართული ფილოსოფიური აზროვნებისა და უნივერსიტეტის განვითარების ისტორია ორგანულად უკავშირდება ბატონ შალვა ნუცუბიძეს. დღეს გვინდა მისი აზროვნების სიმაღლეებიდან დავინახოთ პირველი ქართული უნივერსიტეტის მომავალი განვითარების პერსპექტივებიც. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საზოგადოების და ხელისუფლების თანადგომით გვექნება ამ დიდი ტრადიციების შესაბამისი უნივერსიტეტი, რომელიც აუცილებლად გაამართლებს მისი დამაარსებლების იმედებს.

ბატონ შალვა ნუცუბიძეს წელს 120 წელი უსრულდება. ამ თარიღთან დაკავშირებით უნივერსიტეტი ღონისძიებათა მთელ ციკლს გეგმავს“, — აღნიშნა თავის გამოსვლაში გიორგი ხუბუამ.

შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა შალვა ნუცუბიძის ქალიშვილი თამარ ნუცუბიძე, რომელმაც ქ. თბილისის მერიას განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ინიციატივის მხარდაჭერისთვის, რადგან ეს დიდი საჩუქარია მთელი ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის. „ყველამ კარგად იცის, რომ შალვა ნუცუბიძემ დიდი და ძნელი გზა განვლო. მან ბევრი ტანჯვა გამოიარა იმის გამო, რომ არ იფარავდა არც პარტიული მანდატი და არც ჩინ-მედლები, მაგრამ ცხოვრების გზა ღირსეულად განვლო. ერთხელ ერთმა მეგობარმა უთხრა, — შალვა, შენ ბევრი ქვა გესროლესო... მამამ უპასუხა: დიახ მესროლეს და ეს ქვები მე კვარცხლბეკად მექცა“. — გაიხსენა ქალბატონმა თამარმა.

ბიუსტის გახსნას შალვა ნუცუბიძის სტუდენტი, ისტორიკოსი კოტე ჩოლოყაშვილიც დაესწრო. მან გაიხსენა რამდენიმე ეპიზოდი მისი თაობის სტუდენტური ცხოვრებიდან, როცა ლექციებზე შალვა ნუცუბიძის მოსმენის ბედნიერება ჰქონდათ.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ზაალ სამადაშვილმა ჩვენთან საუბარში გაიხსენა პირველი შეხება დიდ მეცნიერთან: „მახსოვს ბაბუაჩემის შავ-თეთრი ტელევიზორი „რეკორდი“, რომლის ეკრანიდან ვიღაც, ძალიან საინტერესო გარეგნობის კაცი საინტერესოდ ლაპარაკობდა. თემა არ მახსოვს, ძალიან პატარა ვიყავი მაშინ, მაგრამ ის კი ჩამრჩა მეხსიერებაში, რომ მონუსხული ვუსმენდი მას. როგორც ბატონმა კოტე ჩოლოყაშვილმა მერე ამიხსნა, ეს ყოფილა ციკლური გადაცემა, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“ ეხებოდა და ბატონი შალვა კითხულობდა სატელევიზიო ლექციებს ისე, რომ მე, პატარა ბიჭი, რომელიც, წესით, ამ ტიპის გადაცემებით არ უნდა დავინტერესებულიყავი, ტელეეკრანს მიმაჯაჭვა.

შემდგომ, როცა უკვე უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, გავიგე, რას წარმოადგენდა ბატონი შალვა ქართული კულტურისთვის, მეცნიერებისთვის, საგანმანათლებლო სისტემისთვის, ქართული ფილოსოფიური აზროვნებისთვის. ეს დღე ღირსშესანიშნავია იმით, რომ იხსნება უნივერსიტეტის ერთერთი დამფუძნებლის ბიუსტი იმ გარემოში, იმ დასახლებაში, რომელსაც რამდენიმე ათეული წლის წინ მისი სახელი ეწოდა“, — ბრძანა ბატონმა ზაალმა.

ბიუსტის გახსნის ცერემონიალს მუსიკალურ თანხლებას უწევდა მე-20 სამუსიკო სკოლის მევიოლინეთა ანსამბლი.

ჩვენამდე მოღწეული საგალობლების მოფრთხილება ყველა ქართველის ვალია

ქართულ საეკლესიო გალობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია, რასაც ჩვენამდე მოღწეული ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულებიც მოწმობს. საგალობლების გადარჩენისთვის არაერთმა საეკლესიო თუ სასულიერო მოღვაწემ დიდი შრომა გასწია, რომელთა შორის იყვნენ: იღუმენი ექვთიმე კერესელიძე, ფილიმონ ქორიძე, დეკანოზი რაჟდენ ხუნდაძე და სხვები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძველი ქართული გალობა არის საეკლესიო ტრადიციის წმინდად დამცველი, შეურყვნელი, უძველესი და ამასთან, შუა საუკუნეების მართლმადიდებელ ეკლესიათა საგალობლებს შორის ერთერთი მრავალხმიანი, ანალოგის არმქონე, რაც მის უნიკალურობას განაპირობებს“.

შურთხია გეროშვილი

სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების საუნივერსიტეტო ჯგუფის „იბერიელნის“ ინიციატივით სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოიეში მოეწყო ფოტო-გამოფენა, რომელიც ძველი ქართული საგალობლების მოამაგეებს და მგალობლებს მიეძღვნა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის აუდიტორიაში კი საპატრიარქოს გალობის ცენტრის წარმომადგენელმა ლუარსაბ ტოგონიძემ წაიკითხა ლექცია თემაზე — „ქართული საეკლესიო საგალობელი“.

როგორც ლექციის დასაწყისში ლუარსაბ ტოგონიძემ აღნიშნა, საეკლესიო საგალობლების კვლევა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული და იგი შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა, რადგან კომუნისტური რეჟიმის პერიოდში ამ თემებზე მუშაობა თითქმის წარმოუდგენელი იყო.

ლუარსაბ ტოგონიძის ინფორმაციით, XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ძალადობით გაუქმებას სავალალო შედეგები მოჰყვა: იძარცვებოდა და ნადგურდებოდა უძველესი ეკლესიის ფასდაუდებელი საუნჯე. ქართული საეკლესიო გალობაც გარდაუვალი საფრთხის ქვეშ დადგა. საჩქაროდ უნდა გამონახულიყო გზა და საშუალება ქართული საეკლესიო კილოების დაფიქსირებისა, რადგან ძველი საგალობო დამწერლობის მცოდნენი დღითი დღე მცირდებოდნენ და ეს საუკუნოვანი მუსიკალური საგანძური სამუდამოდ იკარგებოდა. წმიდა მღვდელმთავართა: ალექსანდრე ოქროპირიძისა და გაბრიელ ქიქოძის, ასევე ილია ჭავჭავაძის უშუალო ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდა საშვილიშვილო საქმის სასიკეთოდ დაგვირგვინება.

„წმიდა მღვდელმთავარ გაბრიელის თაოსნობით 1884 წელს ქუთაისში დაარსებულმა ქართული გალობის აღმადგინებელმა კომიტეტმა შეკრიბა ძველი ქართული გალობის მცოდნე სასულიერო პირები და ერისკაცნი. ფილიმონ ქორიძემ ათასობით საგალობელი ნოტებზე გადაიტანა. მაგრამ, სამწუხაროდ, მათი დაბეჭდვა და გავრცელება ვერ მოხერხდა. მაქსიმე შარაძემ და ესტატე (ექვთიმე) კერესელიძემ გადაწყვიტეს — ეს საგალობლები თავიანთი ხარჯით დაებეჭდათ. გაბრიელ ეპისკოპოსთან შეთანხმების შემდეგ მათ საკუთარი ხარჯით დაბეჭდეს ფილიმონ ქორიძის მიერ ნოტებზე გადაღებული ძველი ქართული საეკლესიო გალობის ექვსი კრებული.

1899 წელს ამავე სტამბაში დაიბეჭდა ძმები კარბელაშვილების მიერ ნოტებზე გადაღებული ქართლ-კახური კილოს საგალობელთა ორი კრებული“, — აღნიშნა ლუარსაბ ტოგონიძემ.

როგორც საპატრიარქოს წარმომადგენელმა საუბრის დროს თქვა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ ესტატე კერესელიძეს სტამბა და მთელი ქონება ჩამოართვეს, მათ შორის, უძვირფასესი ხელნაწერებიც. საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ სანოტო კრებულები საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნთსაცავში მოხვდა, რომლის ხელმძღვანელი იმხანად წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) იყო.

ესტატე კერესელიძემ ქუთაისში კვლავ სცადა სანოტო კრებულების დაბეჭდვა, მაგრამ უბინაობის გამო გაიძარცვა ყუთები, სადაც დაბეჭდილი ფურცლები ინახებოდა და დამწუხრებულმა მხოლოდ რამდენიმე მათგანს მიაგნო ქუთაისის ბაზარში ხორცის გამყიდველთან. მალე, ბახმაროში ყოფნისას, გარდაიცვალა დიდი მოღვაწე ფილიმონ ქორიძე. მთელი ოცდაათი წლის ნაშრომი — ათეულობით ხელნაწერი — ექვთიმეს პასუხისმგებლობაში დარჩა.

1912 წლიდან ესტატე კერესელიძე მორჩილად განწესდა გელათის მონასტერში, ხოლო ამავე წელს ღირსი ექვთიმე მთაწმიდელის სახელზე ბერად აღიკვეცა. ამ დროიდან იწყება მამა ექვთიმეს ყველაზე დაძაბული მოღვაწეობა. გელათი იყო ის ადგილი, სადაც ღვთისმსახურება ჯერ კიდევ ტიპიკონის სრული წესების დაცვით სრულდებოდა. მამა ექვთიმემ გადაწყვიტა, ზედმიწევნით მოეწესრიგებინა ფილიმონ ქორიძის ნოტებზე გადატანილი საგალობლები და ტიპიკონის მიხედვით გაეწყო. ამისათვის მრავლად შეიძინა სანოტო ფურცლები და შეუდგა უმძიმეს და უდიდეს საქმეს — ხელნაწერი ნოტების მოწესრიგებასა და გადათვრებას.

აღსანიშნავია, რომ 1917 წელს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი მისი ავტორის — კოტე ფოცხვერაშვილის თხოვნით, 1918 წელს მამა ექვთიმემ დასტამბა.

1921 წელს ქუთაისში კომუნისტური ხელისუფლების მოსვლისთანავე მამა ექვთიმე დააპატიმრეს, როგორც ახალი წყობისათვის არასაიმედო პიროვნება. საბედნიეროდ, ბრალდების არქონის გამო რამდენიმე თვეში იგი გაათავისუფლეს. ეს იყო უმძიმესი პერიოდი დევნისა და შევიწროებისა. გელათის ბერები ყოველდღე ელოდნენ შეურაცხყოფასა და დარბევას. მღვდელ-მონაზონი ექვთიმე ამ წლებშიც კი აგრძელებდა საგალობელთა კრებულებზე მუშაობს. „მე ამაში ვპოულობ დიდ სიმდიდრეს, ეს ოქრო-ვერცხლზე და თვალ-მარგალიტზე უძვირფასესი საუკუნო საუნჯეა!... მე წარმოდგენილი მაქვს ჩემი თავი, როგორც ოქრომჭედელი და თვალ-მარგალიტის დამლაგებელი! მე ხანდახან გაკვირვებაში მოვდივარ: ვინ მოუშვა ჩემამდე ეს ძვირფასი სიმდიდრე, რომ მე უღირსი ამაში ხელს ვურევ!“ — ამბობდა წმიდა მამა.

1923 წელს მთავრობის მიერ გელათის მონასტერი გაუქმებულად გამოცხადდა. მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილს მისცეს რამდენიმე დღის ვადა, რათა ბერებს დაეტოვებინათ მონასტერი. მამა ექვთიმემ იმის შიშით, რომ საგალობელთა ხელნაწერები არ განადგურებულიყო, ორმოცამდე უზარმაზარი კრებული ქუთაისში საიმედო ოჯახში გადამალა.

1924 წელს კომკავშირლებმა საძირკვლამდე დაანგრიეს წმიდა მეფის დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარი. იმავე წელს უღმრთოთა ხელით დახვრიტეს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი ერთგულ სასულიერო პირებთან ერთად. სასულიერო პირთა დევნა-განადგურების ისტერიამ პიკს მიაღწია.

მამა ექვთიმე იძულებული გახდა დაეტოვებინა გელათი და ხელნაწერები შედარებით უსაფრთხო ადგილას გადაეტანა. განსაცვიფრებელია, ასეთ დროს, როდესაც თბილისი-ქუთაისის გზაზე სრულიად უმიზეზოდ მოკლეს ათასობით ადამიანი, როგორ მოახერხა მამა ექვთიმემ ერთი ურემი ხელნაწერების ქუთაისიდან მცხეთაში მარტოდმარტომ გადატანა. ამ პერიოდიდან მღვდელ-მონაზონი ექვთიმე განწესებულ იქნა სვეტიცხოვლის ტაძარში, სადაც საგულდაგულოდ გადამალა სასწაულებრივად გადარჩენილი ხელნაწერები.

სვეტიცხოვლის ტაძრის წიგნთსაცავში მან ძლისპირთა უძველეს ნევმირებულ კრებულს მიაკვლია. ძველი ქართული სამუსიკო დამწერლობის საუკეთესო მცოდნე მოღვაწემ ეს საგალობლებიც ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე გადაიტანა.

1929 წლიდან ექვთიმე ზედაზნის მონასტერში განაწესეს. მან ახლა იქ აიტანა ქართული გალობის ხელნაწერები და დიდ რკინის ყუთებში საიმედოდ დაცული მიწაში დაფლა. თბილისის „მეტეხის“ მუზეუმის ერთერთმა თანამშრომელმა ბეთანიის ბერებთან — არქიმანდრიტ იოანე მაისურაძესა და გიორგი მხეიძესთან საუბრისას მწუხარება გამოთქვა ფილიმონ ქორიძის მიერ ჩაწერილი ძველი ქართული საგალობლების დაკარგვის გამო და როდესაც მათგან შეიტყო, ხსენებული ხელნაწერები ზედაზნის მონასტერში იღუმენ ექვთიმესთან ინახებაო, იმავე დღეს ზედაზნის მონასტრისკენ გაეშურა.

შეიქმნა კომისია, რომელმაც ამ ხელნაწერების განსაკუთრებული ფასეულობა და დიდი ისტორიული მნიშვნელობა დაადასტურა. მამა ექვთიმემ 1935 წლის ნოემბერში სახელმწიფო მუზეუმს გადასცა 34 სანოტო კრებული, რომელიც 5532 საგალობლისა და რამდენიმე სასულიერო შინაარსის ხელნაწერისაგან შედგებოდა. ყველა ეს საგალობელი ამჟამად დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

როგორც ლექციის დასრულებისას ლუარსაბ ტოგონიძემ აღნიშნა, ჩვენამდე მოღწეული საგალობლების მოფრთხილება ყველა ქართველის ვალია და ისე არაფერი არ გვაახლოებს წინაპრებთან, როგორც გალობა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II წერდა:

„ეკლესიაში გალობის დროს ქართველი კაცი თავს ზეცაში გრძნობს, ქვეყნიერ ზრუნვას ტოვებს და ლმობიერი სულითა და მგრძნობიარე გულით შემოქმედის წინ დგას და ელის მისგან წყალობას. აქ უქარვდება მას ვარამი ქვეყნის და გულში ენერგება იმედი უკეთესი მომავლისა. ამით სულდგმულობდა პატარა საქართველო, წილხვდომილი დედა ღვთისა და იმედიც არ უცრუვდებოდა. ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს საეკლესიო გალობას წარსულში“.

პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი ბიოეთიკაში

XX საუკუნემ თავისი მსოფლიო და სამოქალაქო ომებით, მასობრივი რეპრესიებითა და ტერორით, გლობალური კატასტროფებით, ტრადიციული ფასეულობების რღვევით, გარემოს დაბინძურებითა და ატმოსფეროს დათბობით სერიოზული გამოცდა მოუწყო კაცობრიობას. საზოგადოება დარწმუნდა, რომ მხოლოდ ცალკეულ ქვეყანასა და რეგიონში მშვიდობა არ არის საკმარისი იმისთვის, რათა ადამიანმა თავი მშვიდად იგრძნოს. მხოლოდ მაღალზნეობრივი საზოგადოება, რომლის მორალიც მსოფლმხედველობის უმთავრეს ფასეულობას წარმოადგენს, შეიძლება იყოს პიროვნებისთვის ბედნიერების მომტანი. ადამიანს თვით ბუნების მიმართაც ეთიკური დამოკიდებულება მართებს, რათა თავიდან აიცილოს გამოუსწორებელი შედეგები.

პიროვნების მიერ მსოფლმხედველობის არჩევა მორალური აქტია. უარყოფითი შედეგებით გამოწვეული შეცდომა არ ამსუბუქებს პასუხისმგებლობას. აქედან გამომდინარე არსებობენ არა მხოლოდ ჭეშმარიტი და მცდარი, არამედ მორალური და ამორალური მსოფლმხედველობები. უკანასკნელ წლებში კაცობრიობის ცნობიერების უმთავრეს ღირებულებად პიროვნების მოქალაქეობრივი უფლებების დაცვა, ადამიანის თვითიდენტიფიკაციის პრობლემა იქცა. ბიოეთიკა, რომელსაც ხშირად ქრისტიანულ ეთიკადაც მოიხსენიებენ, ამ უფლებების რეალიზაციის საშუალებად გვევლინება.

ბიოეთიკა XX საუკუნის დასასრულის ცივილიზაციის ნაყოფია. იგი თავისი არსით დისციპლინათშორისი ცოდნაა. მას აქვს ბიოსამედიცინო, ფილოსოფიური, ანთროპოლოგიური, სამართლებრივი, თეოლოგიური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ასპექტები. მისი შესასწავლი პრობლემები ბევრი თვალსაზრისით ახალია კაცობრიობისთვის.

როგორც აღვნიშნეთ, ბიოეთიკა არც თუ დიდი ხნის ისტორიას ითვლის, საქართველოში კი იგი მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს. დღეისათვის ამ დისციპლინის კურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის ინსტიტუტში იკითხება. ბიოეთიკისადმი ინტერესს იჩენს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც: საპატრიარქოში რამდენიმე წელია სპეციალური განყოფილებაც დაარსდა, რომელიც ბიოეთიკის საკითხებითაა დაკავებული.

ბიოეთიკის პოპულარიზაციით დაინტერესებულია საქართველოს რელიგიათმცოდნეთა კავშირიც, რომელმაც სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის ინსტიტუტთან ერთად 14 და 15 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი „საქართველო: ბიოეთიკის პრობლემები და მისი განვითარების პერსპექტივები“. სიმპოზიუმის მუშაობაში ქართველი მეცნიერების გარდა მონაწილეობდნენ სტუმრები საფრანგეთიდან, იტალიიდან, უკრაინიდან.

14 მაისს სიმპოზიუმი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში გაიხსნა. დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ კავკასიაში კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, დეკანოზი კახაბერ კურტანიძე... გამომსვლელებმა ისაუბრეს ბიოეთიკის როლსა და მის ამოცანებზე, ხაზი გაუსვეს ამ სიმპოზიუმის მნიშვნელობას საქართველოში ბიოეთიკის პოპულარიზაციის თვალსაზრისით. სიმპოზიუმის კოორდინატორმა ნუგზარ ბარდაველიძემ მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ამ საერთაშორისო ფორუმის ორგანიზებაში აღმოჩენილი მხარდაჭერისთვის.

სიმპოზიუმის პირველ დღეს მოისმინეს ჯანჯიროლამო მარტინისა და ჰალინა კრიშტალის მოხსენებები. უცხოელმა მომხსენებლებმა ისაუბრეს ბიოეთიკის ზოგად პრინციპებსა და კონკრეტულ ამოცანებზე. მეორე დღეს დიდი ინტერესი გამოიწვია იტალიურ-ქართული ორგანიზაციის – ინერ-საქართველოს წარმომადგენლების ლალი ჩარკვიანისა და ნანა ნებიერიძის მოხსენებებმა შობადობის კონტროლის და ემბრიონის სტატუსის შესახებ, ასევე, რელიგიათმცოდნეთა კავშირის გამგეობის წევრის ნუგზარ ბარდაველიძის მოხსენებამ „ლეგიტიმური თავდაცვა“. ყველა მოხსენების შემდეგ დისკუსია გაიმართა. გამომსვლელებს მსმენელთა საკმაოდ მწვავე შეკითხვებზე უწევდათ პასუხის გაცემა. დამსწრეთა უმეტესობა მანდილოსანი იყო და მათთვის ორმაგად აქტუალური გახლდათ დედობის პრობლემისადმი მიძღვნილი მოხსენებები. ლეგიტიმური თავდაცვისა და ევთანაზიის პრობლემატიკას კი გენდერული მიკერძოება აღარ გამოუწვევია.

ბიოეთიკის პირველმა სიმპოზიუმმა დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. სიმპოზიუმის ორგანიზატორის ნუგზარ ბარდაველიძის თქმით: ,,პრობლემები, რომლებსაც აყენებს და შეისწავლის ბიოეთიკა, ადამიანის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას არ არის დაშორებული. აქედან გამომდინარე, ბიოეთიკის მიმართ ინტერესს სულ უფრო მეტი ადამიანი ავლენს. გადავწყვიტეთ, მომავალი წლის მაისში კიდევ უფრო ფართო მასშტაბით ჩავატაროთ საერთაშორისო სიმპოზიუმი ბიოეთიკაში ამ დარგის ფუძემდებლების, დასავლეთ ევროპელი სპეციალისტების მოწვევით. ასევე, დაგეგმილია პირველ სიმპოზიუმზე წაკითხულ მოხსენებათა ცალკე კრებულად გამოცემა. გვსურს, ხელი შევუწყოთ ბიოეთიკით დაინტერესებულ ადამიანთა პროფესიულ ზრდას, ახალგაზრდებს მივცეთ შესაძლებლობა — დაეუფლონ ბიოეთიკას, როგორც უცხოეთში, ასევე საქართველოში, რათა ახლო მომავალში უცხოეთიდან სპეციალისტთა მოწვევის საჭიროება დღის წესრიგში აღარ დადგეს. ჩვენ უნდა შევქმნათ წინაპირობა, რომ მომავალში უკვე ქართველ მეცნიერებს მიეცეთ შესაძლებლობა საზღვარგარეთის სასწავლებლებში წაიკითხონ ბიოეთიკის კურსი,” — აღნიშნა ნუგზარ ბარდაველიძემ.

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის ინსტიტუტი საქართველოს რელიგიათმცოდნეთა კავშირთან თანამშრომლობით ივნისში გეგმავს სიმპოზიუმის გამართვას, რომელიც საქართველოში რელიგიის, პოლიტიკისა და საზოგადოების ურთიერთობას მიეძღვნება.

ია ხუბაშვილი

ქართულ-ამერიკული საერთაშორისო ჟურნალი "Culture and Philosophy" ქართული ფილოსოფიური აზროვნების პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს

თამარ მარუაშვილი

1 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ-ამერიკული საერთაშორისო ჟურნალის "Culture and Philosophy" პრეზენტაცია გაიმართა.

ჟურნალი დაარსდა ქართული ფენომენოლოგიური საზოგადოებისა და ვაშინგტონის ღირებულებათა კვლევის ცენტრის მიერ. რედაქტორები არიან ჯორჯ მაკლეინი (აშშ) და მამუკა დოლიძე (საქართველო).

ჟურნალი ინტერდისციპლინარულია — იგი მოიცავს სპეციალურ მეცნიერებათა (ფიზიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის და სხვა) თანამედროვე ფილოსოფიურ ტენდენციებს და მათ კავშირს კულტურის პრობლემებთან. პირველი პრეზენტაცია შედგა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ჟურნალი საერთაშორისო მნიშვნელობისაა, მაგრამ, ძირითადად, ქართულ-ამერიკულ სამეცნიერო კონტაქტებს ასახავს. ჟურნალის გამოცემა დაგეგმილია ყოველწლიურად. მასში დაიბეჭდება ქართველ და უცხოელ მეცნიერთა, ფილოსოფოსთა და კულტურის მოღვაწეთა ინტერდისციპლინარული შრომები.

28 აპრილს ნიუ იორკში კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტში გაიმართა კონფერენცია თემაზე „ქართული ენა საუკუნეთა მანძილზე“. ამ კონფერენციაზე აღნიშნული ჟურნალი წარადგინეს როგორც ქართულ-ამერიკული სამეცნიერო კონტაქტების ამსახველი გამოცემა. ამ კონტაქტებს საფუძველი ჯერ კიდევ 1997 წლიდან ჩაეყარა — განსაკუთრებით ფილოსოფიისა და კულტურის სფეროში. ჰარიმანის ინსტიტუტში ქართველოლოგიის ცენტრის ინიციატორის ქალბატონ მაკა დვალიშვილის შუამდგომლობით ჟურნალი შეიტანეს ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა ბიბლიოთეკაში.

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა მამუკა დოლიძემ აღნიშნა: „2007 წელს საერთაშორისო ფილოსოფიურ კონფერენციაზე ამერიკელმა პროფესორმა ჯორჯ მაკლეინმა გამოთქვა აზრი ამ ჟურნალის დაარსების შესახებ. პროექტი შეიტანეს ვაშინგტონის ღირებულებათა და ფილოსოფიურ პრობლემათა კვლევის ცენტრში, ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკაში. სწორედ ამ ბიბლიოთეკის გრიფით და ნომრით გადაწყდა ჟურნალის გამოცემა“.

პირველ ნომერში გამოქვეყნებულია ათი ქართველი და ექვსი უცხოელი ფილოსოფოსის შრომები.

ჟურნალის პირველ ნაწილს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის მამუკა დოლიძისა და ამერიკელი ფილოსოფოსის, პროფესორ ჯორჯ მაკლეინის დიალოგს რეზიუმე არ ახლავს. მასში მოთხრობილია ქართველ და ამერიკელ მეცნიერთა ურთიერთობის ისტორიის შესახებ. დიალოგი ეხება გლობალიზაციის პრობლემასაც თანამედროვე სამყაროში. საუბარია ქართულ ფილოსოფიურ სკოლაზეც.

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რევაზ ბალანჩივაძემ საინტერესოდ ისაუბრა ამ დიალოგის მნიშვნელობასა და შინაარსზე და ბოლოს დასძინა: „მსოფლიოში მრავალი ქვეყანაა, მაგრამ რაც შეეხება ფილოსოფიურ სკოლებს, ისინი თითზე ჩამოსათვლელია... მაგალითად, არ არსებობს ასეთი გამოთქმა: „რუსული ფილოსოფიური სკოლა“, ქართული ფილოსოფიური სკოლა კი წარმოდგენილია ისეთი დიდი მოაზროვნეებით, როგორებიც იყვნენ შალვა ნუცუბიძე, კოტე ბაქრაძე, მერაბ მამარდაშვილი, ზურაბ კაკაბაძე და სხვები“. მან, აგრეთვე, მოკლედ მიმოიხილა ჟურნალის ცალკეული განყოფილებების შინაარსი და ხაზი გაუსვა ამ გამოცემის უდიდეს მნიშვნელობას ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებისთვის.

მეტად საინტერესო იყო სამხატვრო აკადემიის რექტორის გია ბუღაძის გამოსვლა. მან ჟურნალს დიდი დახმარება გაუწია — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ დააფინანსა ჟურნალის პირველი ნომრის გამოცემა.

ს. წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა, ფილოსოფოსმა ირაკლი კალანდიამ ჟურნალს სოლიდური უწოდა, სოლიდური ავტორებითა და სოლიდური დამფუძნებლებით: „განათლების და მეცნიერების სფეროში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების ერთერთი მთავარი მოთხოვნა გახლავთ უცხოელ კოლეგებთან და სამეცნიერო ცენტრებთან კავშირების დამყარება. ეს კავშირები უფრო ინტენსიური, მასშტაბური, საქმიანი და პრაგმატული უნდა გახდეს. ეს ჟურნალიც გახლავთ პრაქტიკული დადასტურება იმისა, რაც ბატონმა მამუკამ საქმით განახორციელა. ამ გამოცემით მოხდება ჩვენი საქმიანობის პოპულარიზაცია, რაც დღეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, სამწუხაროდ, ჩვენს კოლეგებშიც იჩინა თავი ნიჰილიზმმა და პესიმიზმმა სამეცნიერო საქმიანობის მიმართ. ასეთი გამოცემები კი ამგვარი ნიჰილიზმის გაქარწყლებას შეუწყობს ხელს“, — დაძინა მან.

„ამ ჟურნალის კითხვისას დიდი სიამაყის გრძნობა მიჩნდება. მოხარული ვარ, რომ მამუკა დოლიძის ინიციატივას ხორცი შეესხა," — აღნიშნა თსუ-ის პროფესორმა გია ბარამიძემ.

საქართველოში უნდა აღორძინდეს მეცნიერებისადმი პატივისცემის ტრადიცია. ამ საკითხთან დაკავშირებით „ამერიკის შესწავლის ცენტრის“ პრეზიდენტმა ვასილ კაჭარავამ ასეთი ფაქტი გაიხსენა: „ამას წინათ სამუშაო ვიზიტით ავსტრიაში ვიმყოფებოდი. სახელმწიფო კანცელარიაშიც მიმიწვიეს. კანცელარიის აპარატი, ძირითადად, პროფესორებითა და დოქტორებით არის დაკომპლექტებული, რამაც ჩემი გაკვირვება გამოიწვია.

როცა ამ საკითხით დავინტერესდი, მითხრეს: კონსულტანტებად, რა თქმა უნდა, პროფესორები გვყავს და თუკი ისინი იკადრებენ, თანამდებობებსაც დიდი სიამოვნებით შევთავაზებთო. სწორედ ეს ფაქტორია ამ ქვეყნის წარმატების საიდუმლო, რომელსაც სხვა ქვეყნების მთავრობებიც უნდა ითვალისწინებდნენ“, — აღნიშნა მან.

თავისი გამოსვლის ბოლოს ვასილ კაჭარავამ სურვილი გამოთქვა — ჟურნალი ორენოვანი გახდეს, რათა ინგლისურენოვან მკითხველს არ დავუთმოთ პრივილეგია — პირველები გაეცნონ ქართველი მეცნიერების საინტერესო ნაშრომებს. ასეთი ნაშრომები კი უხვადაა წარმოდგენილი ჟურნალის პირველ ნომერში. აღსანიშნავია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის გურამ თევზაძის სტატია „ფილოსოფია თანამედროვე საქართველოში“. სტატია ძალზე ლაკონიურად და არსებითად მიმოიხილავს ქართული ფილოსოფიური სკოლის ისტორიას და ტრადიციებს. ის მაღალ შეფასებას აძლევს ქართულ ფილოსოფიურ სკოლას და ამ შეფასების ფონზე აკეთებს მნიშვნელოვან დასკვნას, რომ დღეს საქართველოში პროფესიული კვლევა მიმდინარეობს თანამედროვე ფილოსოფიის თითქმის ყველა აქტუალურ პრობლემაზე. ეს დასკვნა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენს უცხოელ კოლეგებს ეძლევათ შესაძლებლობა, გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ ქართველი სპეციალისტების სამეცნიერო მუშაობაზე, ფილოსოფიური პრობლემების კვლევის დონეზე.

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის მამუკა დოლიძის ნაშრომში: „პიროვნების თავისუფლება და ღია საზოგადოება“ განხილულია ერთგვარი ანალოგია სოციოლოგიის სფეროს, მხატვრულ რეალობასა და ანტიკურ ფილოსოფიურ აზროვნებას შორის. ავტორი იკვლევს პიროვნების თავისუფლების პრობლემას „ღია“ საზოგადოებაში. ავტორის შეხედულებით, პიროვნების თავისუფლების საფუძველია „ღია“ საზოგადოება, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც ადამიანთა ურთიერთობების ცოცხალი სისტემა, როგორც სუბიექტი.

ავტორის მიერ განხილულ სფეროებში - სოციოლოგიაში, ხელოვნებაში, სპეციალურ მეცნიერებებში, სახეზეა ყოფიერების ინდივიდუაციის პროცესი — სუბიექტურ მოვლენათა და ობიექტურ ხდომილებათა განსხვავებისა და დიფერენცირების აქტი, რომელიც იწვევს არა სამყაროს დანაწევრებასა და გაფანტვას, არამედ პირიქით, საგანთა და მოვლენათა დაკავშირებასა და გაერთიანებას.

საინტერესოა ირაკლი კალანდიასა და მარინა ამბოკაძის შრომები კულტურის გლობალიზაციის შესახებ, სადაც არსებითი როლი კულტურის ღირებულებათა სისტემას ეკუთვნის.

დროის წმინდა ფენომენოლოგიურ გაგებას აანალიზებს საქართველოს ფენომენოლოგიური საზოგადოების წევრი ირაკლი ბათიაშვილი თავის ნაშრომში „დროის გამოცანა“. სტატიაში წარმოდგენილი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფენომენოლოგიური აზროვნება არღვევს დროის ტრადიციულ პარადიგმას, რომლის მიხედვითაც იგი ახლა — მომენტების თანმიმდევრობაა.

ჟურნალში წარმოდგენილია, აგრეთვე, სხვა ქართველი ფილოსოფოსების მნიშვნელოვანი და საინტერესო სტატიებიც: ნინო ფიფიას „კანტის შემეცნების თეორიის ინტერპრეტაცია რასელის ფილოსოფიაში“, პაატა ჩხეიძის „პასუხისმგებლობა მამულისადმი“, კახა ქეცბაიას „პოლიტიკური პლურალიზმის ფილოსოფიური ინტერპრეტაცია“, გივი ამაღლობელის „პოლიტიკური აზროვნება და ცნობიერების კრიზისი“ და სხვ.

ჟურნალში წარმოდგენილი უცხოელი ავტორების სტატიები ქართველი მეცნიერების, მკითხველების ყურადღებას იმსახურებს.

ტომ კრეინის (ლონდონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დეპარტამენტი) „დისკუსია მენტალური მიზეზობრიობის შესახებ“ მენტალური მიზეზობრიობის თავსებადობის შესაძლებლობას განიხილავს ფიზიკალიზმის პრინციპთან, რომლის თანახმადაც ყოველივე რაც არსებობს, არის ფიზიკური მოვლენა. პრობლემის მრავალფეროვან ინტერპრეტაციათა ანალიზის შედეგად, ავტორი გადმოგვცემს შეხედულებას, რომ ფიზიკალიზმის სრული მოტივაცია გულისხმობს ამ პრინციპის კავშირს იდენტობის ფორმასთან. არც რობერტ სოკოლოვის, მარკ კაპლანის, ჯენიფერ რობინსონის, ქრისტოფერ კუპეს, ანტონ სევილის სტატიები დატოვებენ მკითხველს გულგრილს თავისი შინაარსით...

ჟურნალის პრეზენტაციამ საინტერესოდ და საქმიანად ჩაიარა. მხატვარმა გია ბუღაძემ და ხელოვნებათმცოდნე გოგი ხოშტარიამ ქართველ მეცნიერებს, ფილოსოფოსებს წარმატებული ნაბიჯი მიულოცეს.

იმედია, ეს ჟურნალი არა მარტო ქართველი მეცნიერების, ფილოსოფოსების, არამედ უცხოელი კოლეგების დიდ დაინტერესებასაც გამოიწვევს. იგი ღირსეულად გააგრძელებს ქართული ფილოსოფიური სკოლის ტრადიციებს და დიდ როლს ითამაშებს ქართული ფილოსოფიური აზროვნების პოპულარიზაციის საქმეში.

მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნა

მუზეუმების საერთაშორისო დღე, 18 მაისი, 1977 წლიდან ყოველწლიურად აღინიშნება. მიმდინარე წელს მუზეუმის საერთაშორისო დღის მთავარი თემაა: „მუზეუმები — საზოგადოებრივი ცვლილებისა და განვითარების აგენტები“. მას შემდეგ, რაც ეს დღე საზეიმოდ აღინიშნება, მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი (ICOM) პირველად იწვევს მსოფლიოს მუზეუმებს კულტურული აქციების მოსაწყობად როგორც რეალურ, ისე ვირტუალურ სამყაროში.

მაია ტორაძე

ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, 18 მაისს საქართველოს მუზეუმებში ღია კარის დღე გაიმართა. ღონისძიებებში მონაწილეთა შორის იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის მაგისტრანტები თეოლინა ჯულაყიძე, ანა ჟვანია, თამარ გუგუნავა, ეკა ემხვარი, ნათია კვაჭაძე, ქეთევან პაიჭაძე და ია მიქუჭაძეც. მათ ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმთან (დირექტორი რევაზ კოტრიკაძე) და ICOM–ის საქართველოს ეროვნულ კომიტეტთან (თავმჯდომარე ინგა ქარაია) ერთად მოამზადეს მრავალფუნქციური საგანმანათლებლო პროექტი „...და არს მუსიკა“, რომელიც მოიცავდა ქართული ხალხური საკრავებისადმი მიძღვნილ საგანმანათლებლო პროექტს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების – აუდიო, ვიზუალური და ვიდეო მასალის გამოყენებით, ქართული ხალხური საკრავების გამოფენას, ჯგუფ „დეციში“-ს (ლეჟავების ოჯახი) კონცერტს.

თეოლინა ჯულაყიძე, თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის მუზეუმმცოდნეობის მიმართულების მაგისტრანტი:

— ეს არის მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ამ დღეს მთელი მსოფლიოს მუზეუმები ცდილობენ, რაღაც განსაკუთრებული გააკეთონ. ჩვენ ბატონ რეზო კოტრიკაძესთან და ქალბატონ ინგა ქარაიასთან ერთობლივი თანამშრომლობით მოვაწყვეთ ქართული ხალხური საკრავების გამოფენა საგანმანათლებლო პროგრამის თანხლებით. გამოფენა ერთი თვე გაგრძელდება და ითვალისწინებს საქართველოს ყველა კუთხის საკრავების წარმოჩენას, ძველი ქართული ჩანაწერების აჟღერებას, ქართული პოლიფონიური საკრავების და ფოლკლორულ მემკვიდრეობის ჩვენებას საზოგადოების იმ ნაწილისთვის, ვისთვისაც ეს ცნობილი არ არის.

ინგა ქარაია, ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე:

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის მუზეუმმცოდნეობის მიმართულების მაგისტრანტებმა გაიარეს სასწავლო კურსი — „დროებითი გამოფენების მოწყობა მუზეუმებში და საგანმანათლებლო პროგრამები“. ამ კურსის გავლის შემდეგ გაჩნდა ასეთი პროექტის შექმნის იდეა, რომელსაც ხორცი შეასხა მაგისტრანტთა ერთმა ჯგუფმა. ინიციატივას მხარი დაუჭირა ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმის დირექციამ და ეს გამოფენაც შედგა. მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიხედვითაც მაგისტრანტებს შეუძლიათ თითოეულ საკრავზე, თითოეულ ინსტრუმენტზე ჩაატარონ ლექცია დამთვალიერებლისთვის, გააცნონ მათ საკრავის წარმოშობისა და გამოყენების ისტორია. გარდა ამისა, ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ამ ინტერიერში საინტერესო იქნებოდა ქართული ხალხური სიმღერების შესრულება თანამედროვე მომღერალთა მიერ და ამიტომ ლეჟავების ოჯახი მოვიწვიეთ.

მთავარი აქ ისაა, რომ გამოფენა ტარდება საქართველოს სამუზეუმო სივრცეში და ეხმიანება XXI საუკუნის მისიას, რომლის მიხედვითაც მუზეუმების მიზანი უნდა იყოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ექსპონატების გაცნობის ხელმისაწვდომობა საზოგადოებისათვის.

პროფესორ რევაზ ზარიძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიის დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს, პროფესორ რევაზ ზარიძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით მისმა აღზრდილებმა გამართეს მოკრძალებული საღამო, რომელზეც რევაზ ზარიძის მეცნიერულ და პედაგოგიურ დამსახურებაზე ისაუბრეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორია, რომლის დაფუძნებასა და სამეცნიერო საქმიანობაში დიდი წვლილი პროფესორ რევაზ ზარიძეს მიუძღვის, ერთერთი წარმატებული სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიაა.

მაია ტორაძე

1969 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა, სტუდენტების — ვაჟა კოპალეიშვილის და რევაზ პოპოვიდი-ზარიძის ხელმძღვანელობით, ტალღების დიფრაქციისა და ამოცანების შესწავლაზე დაიწყო მუშაობა.

1973 წლიდან ამ ჯგუფს ეწოდა ფიზიკის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერებისა და სტუდენტების საკონსტრუქტორო ბიურო. 1981 წლიდან იგი გადაკეთდა გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიად, რომლის ხელმძღვანელად პროფესორი რევაზ ზარიძე დაინიშნა.

მას შემდეგ ლაბორატორიამ არაერთი წარმატებული პროექტი განახორციელა: 1973-75 წლებში კიბერნეტიკის ინსტიტუტთან და ლენინგრადის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტთან ერთად მიმდინარეობდა სამეცნიერო კვლევითი მუშაობა აკუსტიკური ტალღების დიფრაქციის შესწავლაზე წყალქვეშა ნავების ტორპედოების ავტომატური მიმართვის მიზნით. 1975-77 წლებში მოსკოვის უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტთან ერთად ლაბორატორიაში სრულდებოდა კომპიუტერული მოდელირება ტალღაგამტარების შესწავლისთვის ფართოდიაპაზონური ტალღაგამტარის შექმნისა და მისი ოპტიმალური პარამეტრების განსაზღვრის მიზნით. ამავე წლებში ლაბორატორია ხარკოვის უნივერსიტეტთან ერთად სწავლობდა პერიოდული სტრუქტურების ელექტროდინამიკურ თვისებებს.

1977-80 წლებში თსუ-ის გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორია, მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტთან ერთად, იკვლევდა დიელექტრიკულ რეზონატორებსა და ტალღაგამტარებს.

ყველა ზემოთ აღნიშნული ამოცანის ამოსახსნელად გამოიყენებოდა დამხმარე გამომსხივებლების მეთოდი, რომლის ეფექტურად გამოყენებისთვის ჩამოყალიბდა გაბნეული ველის განსაკუთრებულობების ცნება. შედეგები რეგულარულად მოხსენდებოდა სამეცნიერო საზოგადოებას სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე. კვლევები არაერთმა ცნობილმა მეცნიერმა შეაფასა, როგორც ერთერთი ახალი მიმართულება ეფექტურ რიცხვით მეთოდებში გამოყენებითი ელექტროდინამიკის ამოცანების ამოსახსნელად.

გასული საუკუნის 80-იან წლებში აქტუალური გახდა ფიზიკური ამოცანების კომპიუტერული მოდელირება. გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიის თანამშრომლებს დამხმარე გამომსხივებლების მეთოდის გამოყენებამ საშუალება მისცა, გადაეწყვიტათ რთული ელექტრომაგნიტური პრობლემები უბრალო კომპიუტერებზე მაშინ, როცა სხვაგან ამ მიზნით გამოიყენებოდა მხოლოდ სუპერ კომპიუტერები და მაღალი შესაძლებლობების მქონე მანქანები.

1991 წლიდან დღემდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიაში რეგულარულად სრულდება უცხოური ფირმების (სიმენსი, ტელეფუნკენი, ფოლცვაგენი, მოტოროლა) შეკვეთები ელექტროდინამიკურ პროექტირებაში.

1997 წლიდან აქ ხორციელდება ერთობლივი საერთაშორისო პროექტები. ლაბორატორიის თანამშრომლებს მიღებული აქვთ სხვადასხვა პერსონალური თუ ჯგუფური გრანტები ისეთი ორგანიზაციებიდან, როგორიცაა: INTAS, NATO, ISTC, CRDF/GRDF, SNF, EC VI Framework Programme და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (GNSF).

დღეისათვის თსუ-ის გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორია რამდენიმე მიმართულებით მუშაობს. მის ბაზაზე დაარსებულია გამოყენებითი ფიზიკის მაგისტრატურა, რომელშიც მაგისტრანტი თავიდანვე ჩართულია კვლევით სამუშაოებში და პროექტებში, რომელიც ლაბორატორიაში ხორციელდება. არსებული ბაზა სწავლების პროცესს ეფექტურს ხდის იმით, რომ მაგისტრანტები და დოქტორანტები მეცნიერ-თანამშრომლებთან მჭიდრო კავშირში არიან.

ამ და სხვა წარმატებებს ლაბორატორიის თანამშრომლები ბატონი რეზოს მეცნიერულ და პედაგოგიურ დამსახურებას მიაწერენ. მისი აღზრდილები, რომლებიც დღეს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტში წარმატებით მოღვაწეობენ, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათ კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი სწორედ ბატონ რეზოსთან ურთიერთობა იყო, რადგან მან ისინი სამეცნიერო სიღრმეებს აზიარა.

შეხვედრა, რომელიც რევაზ ზარიძის დაბადებიდან 70 წლისთავს მიეძღვნა, გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა იაგორ კალანდაძემ, რომელმაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ელექტროდინამიკის ლაბორატორიაში მიმდინარე კვლევებში ახალგაზრდების ჩართვის მნიშვნელობას. „ლაბორატორიაში, რომელსაც ბატონი რეზო უდგას სათავეში, არა მარტო ძველ ტრადიციებს აგრძელებენ, არამედ საფუძველს უდებენ ახალგაზრდა მეცნიერთა მომავალ წარმატებებს. ახალგაზრდებთან საქმიანმა ურთიერთობამ და ახალი სამეცნიერო კვლევებისა და გრანტების განხორციელებამ ეს ლაბორატორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მნიშვნელოვან სასწავლო-კვლევით დანესებულებად აქცია, რაც ბატონი რეზოს დიდი ძალისხმევის შედეგია“, — განაცხადა მან.

პროფესორ რევაზ ზარიძეს საიუბილეო თარიღი მიულოცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ, რომელმაც აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი გამორჩეულად აფასებს რევაზ ზარიძის მოღვაწეობას, რადგან მან ფიზიკას, როგორც მეცნიერებას, არაერთი წარმატებული თაობა აღუზარდა. „ასპირანტობის დროს ამ ლაბორატორიის ხშირი სტუმარი მეც ვიყავი, რადგან ბევრი ჩემი მეგობარი ბატონი რეზოს ასპირანტი იყო. სრულიად გულწრფელად ვამბობ, რომ კეთილი შურის გრძნობა მქონდა მათ მიმართ, რადგან ასეთ ხელმძღვანელთან მუშაობდნენ. ბატონ რეზოს თავის სტუდენტებთან გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდა, რასაც პედაგოგიური კულტურა სჭირდება. დამეთანხმებით, მეცნიერებაში ყველაზე ძნელი მოსაპოვებელი ის სიყვარულია, რასაც ბატონი რეზოს მიმართ გრძნობენ მისი სტუდენტები და ასპირანტები. მადლობა მინდა გითხრათ, რომ ასე შორს გაიტანეთ ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სახელი და ის აქტიურობა, რომლითაც თქვენი ლაბორატორია დღესაც გამოირჩევა, მართლაც სამაგალითო და სანიმუშოა ყველა ჩვენგანისთვის“, — განაცხადა ბატონმა გიორგი ხუბუამ და საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით პროფესორ რევაზ ზარიძეს მოკრძალებული საჩუქარი გადასცა.

პროფესორს იუბილე მიულოცა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა რამაზ ბოჭორიშვილმა. მის სამეცნიერო და პედაგოგიურ დამსახურებაზე ისაუბრეს ასევე რევაზ ზარიძის აღზრდილებმა.

კომპანია EMCOS-ის დირექტორმა, თსუ-ის რექტორის მრჩეველმა რომან ჯობავამ ხაზგასმით აღნიშნა იმ სკოლის დამსახურებაზე, რომელსაც ბატონი რევაზ ზარიძე წლების განმავლობაში ედგა სათავეში. „მეცნიერებაში შეიძლება არსებობდეს ჯგუფი, რომელთან ერთადაც მკვლევარი სამუშაოს ასრულებს, მაგრამ ბატონ რეზოსთან ეს არ გახლდათ ჯგუფი, ეს იყო საერთაშორისო სკოლა, რომელიც არა მარტო მაღალი დონის სამუშაოებს ასრულებდა, არამედ ახალ თაობას ზრდიდა. 5-6 წლის განმავლობაში ამ ლაბორატორიაში ახალგაზრდა სწავლობდა, რა არის მეცნიერული მუშაობა, რა არის გემოვნება, რა არის სტატიის დაწერა, პროექტზე მუშაობა, შედეგის მიღება-დამტკიცება და ა.შ. ბატონ რეზოსთან ამ სკოლას პირამიდის სახე ჰქონდა — როცა ამ ლაბორატორიაში მივედი, ჩემთან მუშაობდა ასპირანტი. მისთვის ეს სპეციალურად არავის დაუვალებია, მაგრამ თავის დროზე მასთანაც ასე მუშაობდა სხვა ასპირანტი და ეს იყო ისეთი უშუალო ურთიერთობები, რომ დღესაც მახსოვს. ასეთი სკოლა ბევრი არ არის საქართველოში და მსოფლიოში“, — განაცხადა მან.

ფიზიკოსმა დავით ქარქაშაძემ გაიხსენა დრო, როცა გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორია ყალიბდებოდა. „1969 წელს, როცა აქ მოვედი, წარმოდგენა არ მქონდა საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე. არც დეკანს ვიცნობდი, არც სამეცნიერო საზოგადოებას. მიუხედავად ამისა, გაკვირვებული ვიყავი იმ მარტივი ურთიერთობებით, რომელიც ამ ჯგუფში არსებობდა. ეს იყო მართლა სკოლა, საიდანაც ბატონმა რეზომ მეცნიერთა ელიტარულ ჯგუფში შეგვიყვანა, გაგვაცნო ბევრი წარმატებული მეცნიერი, მათ შორის, ვაინშტეინი, ნიკოლსკი, ფელდი. წელიწადი არ გაივლიდა, რომ საქართველოში დიფრაქციის სკოლა არ გამართულიყო ან რიცხვით მეთოდებში სიმპოზიუმი არ ჩატარებულიყო. ჩვენ ყოველთვის ვიყავით ამ ღონისძიებების მონაწილენი.

ამ ლაბორატორიაში ალბათ 10 თაობა მაინც გაიზარდა. ჩვენს თაობასა და ბატონ რეზოს შორის ასაკობრივი სხვაობა სულ რაღაც 10 წელი იყო. ახლანდელ თაობასთან მას 40 წელი მაინც აშორებს, მაგრამ დამოკიდებულება ახალგაზრდებთან ზუსტად ისეთივეა, როგორიც ჩვენთან ჰქონდა. თვისება, რაც მას სხვათაგან გამოარჩევს, არის უზარმაზარი პასუხისმგებლობის გრძნობა მომავალი თაობის წინაშე“, - აღნიშნა ბატონმა დავით ქარქაშაძემ.

პროფესორ რევაზ ზარიძის აღზრდილები, რომელთა შორის იყვნენ აშშ-ის დართმუნდის კოლეჯის პროფესორი ფრიდონ შუბითიძე, გამოყენებითი ელექტროდინამიკისა და რადიოტექნიკის ლაბორატორიის დღევანდელი ხელმძღვანელი დავით კაკულია, თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლები: გიორგი ღვედაშვილი და თამარ გოგუა, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე კახა თავზარაშვილი, ბატონი რეზოს სამეცნიერო და პედაგოგიურ დამსახურებაზე საუბრობდნენ. ერთადერთი, ვინც წარმატებულ კარიერაზე არ საუბრობდა, თავად ბატონი რევაზი იყო – ის, ალბათ, სიამაყით უსმენდა თავის აღზრდილებს და ფიქრობდა – რადგან ამდენი ადამიანისთვის სიკეთე გაუკეთებია, ესე იგი, სწორად იცხოვრა.

ქართული ტრადიციებითა და სულით ნასაზრდოები

თურქი მომღერლის შემოქმედება

19 მაისს თსუ-ის სტუდენტები და აკადემიური პერსონალი მომღერალ ბაიარ შაჰინ-გუნდარიძეს შეხვდნენ. მომღერალი უკვე მეორედ იღებს მონაწილეობას თბილისში გამართულ პატრინოტის კონკურსზე, სადაც თავისი ახალი სიმღერით წარსდგა. სიმღერის პრემიერა თსუ-ში შედგა, რომელმაც სტუდენტების დიდი მოწონება დაიმსახურა. ბაიარ შაჰინმა მადლობა გადაუხადა სტუდენტებს მხარდაჭერისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ეს სიმღერა ქართველი ხალხის სიმპათიასა და სიყვარულს დაიმსახურებს.

თამარ მარუაშვილი

„ძალიან მოხარული ვარ თქვენთან სტუმრობით. მე თურქეთის ერთერთ სოფელში დავიბადე, მაჭახელას ხეობაში... მუსიკის გარდა სხვა საქმიანობას არ ვეწევი. დავდივარ თურქულ სოფლებში და შემორჩენილ ქართულ ხალხურ სიმღერებს ვაგროვებ, ვიწერ. თურქი ახალგაზრდები ქართული ხალხური ფოლკლორით ინტერესდებიან. მოსწონთ ქართული მრავალხმიანი მელოდიები. ჩემი შვილებიც სწავლობენ ქართულ სიმღერებს და ცეკვებს, ისინი ჩემზე ნიჭიერები არიან...“ — აღნიშნა სტუდენტებთან საუბრისას მომღერალმა.

ბაიარ შაჰინ-გუნდარიძე ავტორია ისეთი პოპულარული ქართული სიმღერებისა, როგორიც არის „გელინო“, „ჯილველოი“, „ელია გოგო“ და სხვა... ასევე ავტორია მუსიკალური ალბომებისა: „ორონა ჩაღრი“ (1998), „ილველოი“ (2004), „ალია“ (2007) და სხვა.

მომღერალი თავის ქვეყანაში ქართულ ფოლკლორს და კულტურას დიდ პოპულარობას უწევს. ის არა მარტო ქართველი ხალხის საყვარელი მომღერალია, თანამოძმეებშიც დიდი მოწონებით სარგებლობს. მსმენელი ძალიან აფასებს თურქი მომღერლის შემოქმედებას, რომელიც ქართული ტრადიციებითა და სულით არის ნასაზრდოები. მას საქართველოს უზომო სიყვარულმა და ქართული კულტურის პატივისცემამ გადააწყვეტინა 2005 წელს საქართველოს მოქალაქე გამხდარიყო. ბაიარ შაჰინ-გუნდარიძის სახით, ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთი ღირსეული პატრიოტი შეემატა თურქული სახელით, მაგრამ ქართული სულითა და გულით.

„პირველ რიგში, ის დასაფასებელია იმიტომ, რომ თურქია, რომელსაც ქართული ფოლკლორის სიყვარული ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. თავის ქვეყანაში იგი პოპულარიზაციას უწევს ქართულ კულტურას, ახდენს ქართულ და თურქულ კულტურათა ინტეგრაციას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და სამაგალითო. ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ ერთი ჭოროხის შვილები ვართ“, — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას სტუდენტმა კავკასიოლოგმა გოგა კაპანაძემ.

ქართველი სტუდენტები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ძველი ქართული სიმღერების მოსმენისას და მხურვალე აპლოდისმენტებით გამოხატავდნენ ემოციებს.

შეხვედრის ბოლოს მომღერალმა დიდი მადლობა გადაუხადა ყველას თბილი, მეგობრული შეხვედრისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ქართული კულტურა კიდევ ბევრი უცხოელისთვის გახდება მშობლიური და საამაყო.

თსუ — „უნივერსიადა 2008-ის“ გამარჯვებული

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტური „უნივერსიადა 2008-ის" გამარჯვებული და მოპოვებული ოქროს მედლების რაოდენობის მიხედვით, ზომით ყველაზე დიდი თასის მფლობელი გახდა.

27 მაისს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრში უნივერსიადის დახურვის ოფიციალური ცერემონია, რომელსაც ქართული სპორტისა და შოუ-ბიზნესის არაერთი წარმომადგენელი დაესწრო, გალა-კონცერტით დასრულდა.

ხათუნა ხატიაშვილი

სპორტის სფეროში მასშტაბური უნივერსიადის ტრადიციის აღდგენის მთავარი ინიციატორი საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ხელმძღვანელი ნიკა ამაშუკელი გახლავთ. უნივერსიადა დედაქალაქის მერიის, სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტისა და უმაღლესი სასწავლებლების სპორტისა და კულტურის ცენტრების ერთობლივი ძალისხმევით გაიმართა.

უნივერსიადა სპორტის 11 სახეობაში, 13—26 მაისს, დედაქალაქის სპორტულ მოედნებზე მიმდინარეობდა. მასში საქართველოში აკრედიტებული 22 უმაღლესი სასწავლებლის 1000-მდე სტუდენტი მონაწილეობდა.

როგორც თსუ-ის სპორტისა და კულტურის ცენტრის უფროსის მოადგილე მაია ლომინეიშვილი აცხადებს, სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტისა და კულტურის ცენტრისა და სტუდენტური თვითმმართველობის ძალისხმევით მოხერხდა, რომ რამდენიმე წლიანი პაუზის შემდეგ, მასობრივ შეჯიბრებებში მონაწილეობა მხოლოდ სტუდენტმა სპორტსმენებმა მიიღეს.

ძიუდო, ქართული ჭიდაობა, მინი-ფეხბურთი, ფრენბურთი, შვიდკაცა რაგბი, ქუჩის კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ცურვა, მკლავჭიდი, მძლეოსნობა და ჭადრაკი, — ამ სპორტულ სახეობებში გამართული ასპარეზობიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სპორტის ორ სახეობას (ჩოგბურთი და მკლავჭიდი) საკუთარ მოედნებზე უმასპინძლა.

გუნდური პირველი ადგილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიკავა, რომელმაც საერთო ჯამში 27 მედალი მოიპოვა (9 ოქრო, 12 ვერცხლი, 6 ბრინჯაო), მეორე ადგილი ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს (8 ოქრო, 3 ვერცხლი, 3 ბრინჯაო) ერგო, ხოლო მესამე ადგილზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (7 ოქრო, 6 ვერცხლი, 1 ბრინჯაო) გავიდა.

როგორც მაია ლომინეიშვილმა აღნიშნა, უნივერსიადაში მონაწილე სპორტულ გუნდებს შორის საპრიზო ადგილები ასპარეზობის მიმდინარეობისას მოპოვებული ოქროს მედლების რაოდენობის მიხედვით გადანაწილდა, თუმცა თასის გარდა, წარმატებულ გუნდებს მედლები და სხვა ფასიანი პრიზები გადაეცათ.

30 მაისს თსუ-ის გამარჯვებულ სპორტსმენ სტუდენტებს თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა შეხვდა და უმაღლესი სასწავლებლის სახელით უნივერსიადაში მონაწილე სპორტსმენებს მადლობა გადაუხადა. რექტორმა ისინი მიღწეული წარმატებისთვის სიმბოლური ფულადი პრემიებით დააჯილდოვა. თსუ-ის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ოქროს მედალოსანი სპორტსმენები 200 ლარით, ვერცხლის მედალოსნები — 150 ლარით, ხოლო ბრინჯაოს მედალოსნები — 100 ლარიანი პრემიებით დაჯილდოვდნენ.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საკუთარი სტუდენტების წარმატებებით ამაყობს და ეს მხოლოდ წარჩინებით სწავლას არ გულისხმობს. ახალგაზრდების სპორტულმა მონაცემებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არაჩვეულებრივი ინიციატივის განხორციელებაში. დიდი ხანია, სპორტულ სახეობებში მასშტაბური უნივერსიადა არ გამართულა“, — მიმართა რექტორმა სპორტსმენ სტუდენტებს და აღნიშნა, რომ საუნივერსიტეტო სპორტის განვითარება და მოპოვებული გამარჯვება თსუ-სა და საქართველოს სპორტის ფედერაციის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგიც არის. მისი თქმით, უნივერსიადაში მიღწეული გამარჯვება დასაწყისია იმ მომავალი პერსპექტივების, რომლის განხორციელებასაც თსუ-ის ხელმძღვანელობა აპირებს. ივნისში უნდა დაიწყოს საპროექტო სამუშაოები, რომლის მიხედვითაც, მომავალში ახალი საუნივერსიტეტო სპორტული ინფრასტრუქტურა აიგება. რექტორმა სპორტული გუნდების პროფესიონალ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს სთხოვა — ითანამშრომლონ სასწავლებლის ადმინისტრაციასთან, რადგან მათი მოსაზრებების გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ხელმძღვანელი ნიკა ამაშუკელი მხარს უჭერს თსუ-ში ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და მიაჩნია, რომ ფინანსური წახალისებისა და კომფორტული პირობების შექმნის შემთხვევაში, სტუდენტურ სპორტულ გუნდებს საშუალება მიეცემათ — მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო დონის ასპარეზობებშიც.

როგორც რექტორმა აღნიშნა, 4-5 წელიწადში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს იმ დონის სპორტული ინფრასტრუქტურა ექნება, რომ იგი შეძლებს სულ ცოტა, რეგიონული მასშტაბით, უმასპინძლოს სპორტულ ჩემპიონატებს.

სტუდენტური კაფე მაღლივ კორპუსშიც გაიხსნა

28 აპრილს თსუ-ის მაღლივი კორპუსის პირველ სართულზე სტუდენტებისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სწრაფი კვების ობიექტი გაიხსნა. მაღლივი კორპუსის ახლომდებარე ტერიტორიაზე მსგავსი ტიპის დაწესებულება არ მოიძებნება, ამიტომ ასეთი კაფეს გახსნა სტუდენტებისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა. დღეიდან სტუდენტებს დასანაყრებლად შორს წასვლა აღარ მოუწევთ და შესაბამისად, დიდი ხნით არც სასწავლო პროცესს მოწყდებიან.

თამარ მარუაშვილი

სტუდენტური კაფე კეთილმოწყობილი, მიმზიდველი და კომფორტულია. ასეთივე ტიპის ობიექტი სულ ცოტა ხნის წინ თსუ-ის პირველი კორპუსის ეზოშიც გაიხსნა. ორივე ობიექტის გარემონტებასა და ტექნიკურ აღჭურვაზე ქართული მმართველი კომპანია „Multi food“-ში შემავალმა ფირმამ იზრუნა, რომლის სავაჭრო ნიშანია „Multi food“-ი. კაფეს მენიუ სტუდენტების სახსრებზეა გათვლილი. კომპანიის მიერ დამზადებული გემრიელი კერძების ფასი 55 თეთრიდან 3 ლარამდე მერყეობს. მომსახურეობაც მაღალ დონეზეა, მათ სტუდენტების დანაყრების თითქმის ყველა „კაპრიზის“ დაკმაყოფილება ძალუძთ. კაფე ერთდროულად 260 სტუდენტს მოემსახურება.

როგორც თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ აღნიშნა, ახლადგახსნილი კაფე არა მხოლოდ სტუდენტების დანაყრებისა და დასვენების ადგილი იქნება, არამედ იგი მეგობრების თავშეყრისთვის, საინტერესო დისკუსიებისა და ღონისძიებების გამართვისთვისაც შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენს. იგი თსუ-ის პარტნიორ უცხოელ სტუმრებსაც ღირსეულად უმასპინძლებს და ქართული სტუმართმოყვარეობის საუკეთესო მაგალითსაც აჩვენებს.

სამომავლოდ დაგეგმილია სტუდენტებში ჩატარდეს გამოკითხვა, თუ როგორ აკმაყოფილებს კაფე მათ მოთხოვნებს კერძების ხარისხით, ფასებით და მომსახურეობით.

ტაო-კლარჯეთის ქართულ სიწმინდეებს მოვეფერეთ!

ტაო-კლარჯეთი — დაკარგული ტერიტორია და ყველა ქართველის ტკივილი, რადგან იქ დარჩა ქართული რენესანსის დიდება — ძველი ქართული არქიტექტურის შედევრები. იმ ტაძრების ნახვა, რომლებიც ამ ტერიტორიაზეა განლაგებული და ჯერ კიდევ უფლის განგებით შემორჩენილი, თითოეული ქართველის სანუკვარი ოცნებაა და, სამწუხაროდ, ყველა როდი ახერხებს ამ ოცნების ახდენას.

მართლაც ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შეიცვალა დამოკიდებულება ფაკულტეტების მიმართ, რამდენადაც მათ მიეცათ ფაკულტეტის ბიუჯეტის დამოუკიდებლად განკარგვის უფლება. შედეგად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანატს მიეცა საშუალება — მოეწყო ექსკურსია ტაო-კლარჯეთში, ამ უნიკალურ და მართლაც არნახულ მხარეში. აღსანიშნავია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანადგომა ამ მეტად სასიკეთო საქმის დაგვირგვინებაში.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტთან გაფორმდა ხელშეკრულება. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის ბატონ ჯამლეტ ჯანჯღავას ხელმძღვანელობით ყველა საორგანიზაციო საქმე ფაკულტეტმა დროულად მოაგვარა და ნანატრი დღეც დადგა.

24 მაისს დავიძარით ვალეს მიმართულებით. დავუყევით ჭოროხის ხეობას, რომელსაც აგრძელებს პარხალის ულამაზესი ხეობა და გადავედით ტაოს ტერიტორიაზე. ბანა, ხახული, ოშკი, ოთხთა, დოლის ყანა, ტბეთი, იშხანი — აი ის ჩამონათვალი, რაც სამი დღის განმავლობაში თვალით ვიხილეთ და ფეხით მოვიარეთ, მაგრამ შეუძლებელია იმ განცდის გადმოცემა, რაც თითოეულ ჩვენთაგანს იქ დაგვეუფლა. ეს იყო დიდი სიხარულიც და დიდი ტკივილიც.

უცნაური გრძნობა გიპყრობს, როდესაც უყურებ ამ ულამაზეს, ბუმბერაზ ტაძრებს, რომლებიც მიუვალ ადგილზე არიან აღმართულნი და ამ ხრიოკ ადგილებზე ოაზისს ქმნიან. ამ ყველაფრის მნახველი სხვანაირი ხდები და სხვანაირი სიყვარული გეუფლება ჩვენი მართლაც განუმეორებელი ქვეყნის მიმართ. დიდ ისტორიას ინახავენ ეს უნიკალური ტაძრები და რა სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი ჩვენგან ასე შორსაა.

იმედს გამოვთქვამთ, რომ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ეს თაოსნობა ტრადიციად დამკვიდრდება.

მაია გიორგოზიანი

კომპანია Gartner-ის ანალიტიკოსებმა იმ შვიდი ტექნოლოგიის სია გამოაქვეყნეს, რომელიც უახლოესი ოცდახუთი წლის მანძილზე ბიზნესის წარმოების ფორმებს მთლიანად შეცვლის. გამოკვლევის ავტორები ხელმძღვანელ პირებს სთავაზობენ, რომ ამ ტექნოლოგიების განვითარებას ახლავე მიაქციონ ყურადღება.

2055 წლისთვის უსადენებო აპარატურის აკუმულატორთა დატენა საჭირო აღარ იქნება. სავარაუდოა, რომ ისინი გარეგანი წყაროებით დაიტენებიან. ამის საბაბს იძლევა 2007 წელს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ჩატარებული ექსპერიმენტი, რომელიც ენერგიის უსადენებოდ გადაცემის პრობლემას იკვლევდა.

მრავალბირთვული პროცესორების გამოყენება პარალელურ პროგრამირებას განავითარებს, რაც, თავის მხრივ, მთლიანად გამოავლენს ჩიპის შესაძლებლობას — ამოცანა რამდენიმე პროცესორს გაუნაწილოს.

აუცილებლად გაჩნდება ხმოვანი თარგმანის ბუნებრივი ინტერფეისები და ავტომატური სისტემები, რომელიც შეითავსებს იმ მთარგმნელობით მანქანებს, დღეს ასე სწრაფად რომ ვითარდება.

2033 წლისთვის ინფორმაციის შესანახი უფრო საიმედო მოწყობილობებიც გაჩნდება, რაც ნებისმიერ ინფორმაციას, თვით საოჯახო პირობებშიც კი, ათწლეულების მანძილზე შეინახავს.

პროგრამისტების შრომის ნაყოფიერების ასეთი ზრდა ბიზნესზე დიდ ზეგავლენას მოახდენს და იგი კოდების დიდი მოცულობის ხელმეორედ გამოყენებას შეძლებს.

ბოლო ტექნოლოგიურ ცვლილებად ანალიტიკოსები IT პროექტების სავარაუდო შედეგების გათვლას ასახელებენ. დღესდღეობით ასეთი ფინანსური მოდელები უბრალოდ არ არსებობს.

კომპანია Xerox-ის კვლევითმა ლაბორატორიამ მრავალჯერადი ქაღალდის ნიმუშები წარმოადგინა. ასეთ ქაღალდზე დაწერილი ნებისმიერი ინფორმაცია 24 საათის შემდეგ ქრება. ავტორების განცხადებით ერთი ფურცელი, დაახლოებით, ასჯერ ისე შეიძლება გამოიყენო, რომ მისი ხარისხი არ გაუარესდება. გარეგნულად ასეთი ქაღალ-

დი ჩვეულებრივი A4 ფორმატის თეთრი ფურცელია, მაგრამ იგი უამრავი მოლეკულისგან შედგება, რომელიც პრინტერის ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით თვისებებს იცვლის, ოცდაოთხი საათის შემდეგ კი ამ თვისებებს ისევ იბრუნებს. დღესდღეობით ეს ტექნოლოგია მხოლოდ შავთეთრი ბეჭდვისთვისაა გამოსადეგი, თავად ულტრაიისფერი სხივიანი საბეჭდი მოწყობილობა კი იმდენად კომპაქტურია, რომ მობილურ პრინტერებად შეიძლება ჩაითვალოს. პირველად მრავალჯერადი ქაღალდის გამოგონების შესახებ კომპანიამ 2006 წლის ბოლოს განაცხადა, მაგრამ მაშინ ქაღალდის გამოყენების რაოდენობა ორმოცდაათი, ინფორმაციის შენახვის ვადა კი მხოლოდ თექვსმეტი საათი იყო. ამ კომპანიის კვლევითი ცენტრი არა ერთი საინტერესო გამოგონების ავტორია. თანამედროვე კომპიუტერის უამრავი ტექნოლოგია, მათ შორის, სამომხმარებლო გრაფიკული ინტერფეისი და კომპიუტერის მაუსი სწორედ აქ შეიქმნა.

ფლეშის ტექნოლოგია იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ მყარ დისკებს, როგორც ჩანს, დიდ დროს აღარ უტოვებს. ამჯერად ბაზარზე ახალი ფლეში გამოჩნდა, რომელსაც Super Talent Pico დაარქვეს. საერთო შეფასებით ეს მსოფლიოში ყველაზე პატარა ფლეშია, მისი სიგრძე მხოლოდ 33,3 მილიმეტრს უტოლდება, თანაც რვა გიგაბაიტი მოცულობა აქვს და წყალგაუმტარია. ეს საოცრება კი მხოლოდ 35 დოლარი ღირს.

ამერიკელმა ბიოლოგებმა ექსპერიმენტებით დაადგინეს, რომ სიცოცხლეს გაცილებით მეტად ახანგრძლივებს შიმშილობა, ვიდრე ფიზიკური დატვირთვა. გამოიკვლიეს, რომ შიმშილობა ისეთ ჰორმონალურ ფონს ქმნის, რომელიც ხელს უწყობს სიცოცხლის ხანგრძლივობას. „ჩვენ ვიცით, რომ გამხდრები უამრავი დაავადებისგან გაცილებით მეტად არიან დაცულები, ვიდრე მსუქნები, მაგრამ მღრღნელებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობით მხოლოდ ცუდად გამოკვებილი თაგვები გამოირჩევიან. წონის დაკლებას ფიზიკური დატვირთვაც უწყობს ხელს, მაგრამ ეს სიცოცხლეს არ ახანგრძლივებს. ჩვენი ექსპერიმენტის მიზანიც სწორედ იმის გამოკვლევა იყო, თუ რატომ ხდება ასე“, — განაცხადა ნიუიორკის ალბერტ ეინშტეინის სახელობის სამედიცინო კოლეჯის მკვლევარმა დერეკ ჰაფმანმა. ბოლო მონაცემებით ადამიანები, ვინც მკაცრ დიეტას იცავენ, უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე ისინი, ვისაც დიდი ფიზიკური დატვირთვა აქვს, მაგრამ საკვებს უხვად იღებენ. ერთერთი ჰიპოთეზის მიხედვით, ფიზიკური დატვირთვა თავისებური სტრესია, რომელიც ქსოვილებსა და დნმ-ს აზიანებს. საბოლოო დასკვნის სახით მკვლევარებმა განაცხადეს, რომ ქსოვილებისა და დნმ-ის დაზიანება ასაკთან ერთად მატულობს, სიმსუქნე ამ პროცესებს აჩქარებს, დაბალ კალორიული დიეტა კი ძალიან ანელებს.

იულიუს ცეზარის უძველესი ბიუსტი ფრანგმა მყვინთავებმა სრულიად შემთხვევით პროვანსში, მდინარე რონის ფსკერზე აღმოაჩინეს. საფრანგეთის კულტურის სამინისტროს განცხადებით ეს ყველაზე ძველი ბიუსტია და იგი ჩვ.წ.აღ. 46 წლით თარიღდება. იულიუს კეისარმა ქალაქი არილი მდინარე რონზე ამ წელს დააარსა და ბიუსტიც სწორედ მის შემოგარენში აღმოჩნდა. მეცნიერებისთვის კარგა ხანია ცნობილია, რომ ცეზარის ყველა ბიუსტი მისი სიკვდილის შემდეგ რომშია შექმნილი. ამჯერად კი ფრანგი არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ ახლად მოძიებული ბიუსტი უდავოდ ორიგინალიდანაა გამოკვეთილი. „ეჭვი მაქვს, რომ ეს ბიუსტი მდინარეში ცეზარის მკვლელობის შემდეგ გადააგდეს, სავარაუდოა, რომ იმ პერიოდში არავის სურდა მისი პოლიტიკის მიმდევრად ჩაეთვალათ", — განაცხადა არქეოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელმა ლუკ ლონგმა. ცეზარის ბიუსტთან ერთად მდინარის ფსკერზე ორი პატარა ბრინჯაოს ქანდაკება და III საუკუნით დათარიღებული ნეპტუნის მარმარილოს ქანდაკება აღმოაჩინეს.



ამერიკელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს პრეპარატი, რომელიც ძვლის ტვინისა და ნაწლავების უჯრედებს რადიაციული დაზიანებისგან იცავს. ჟურნალ შიანცეის განცხადებით, ახალი წამალი კიბოთი დაავადებულ პაციენტებს სხივური თერაპიით გამოწვეული გვერდითი მოვლენების დაძლევაში დაეხმარება და რაც მთავარია, პრეპარატი ეფექტურია მათთვის, ვინც დასხივება მიიღო. ეს წამალი, რომელსაც CBLB502 უწოდეს, მაკაკას რეზუსებზე გამოიცადა. ცხოველებს პრეპარატი დასხივებამდე 15-60 წუთით ადრე შეუყვანეს და მან ძვლის ტვინისა და ნაწლავების უჯრედების დაცვა დასხივების სასიკვდილო დოზის შემდეგაც კი შეძლო. მეორე ექსპერიმენტის დროს ცხოველებმა პრეპარატი დასხივების შემდეგ მიიღეს, შედეგად კი მათი სიცოცხლის უნარიანობა ძალიან გაიზარდა. მკვლევართა განცხადებით, ახალი პრეპარატი სხივური თერაპიის ეფექტურობას არ ამცირებს, ამიტომ მისი გამოყენება ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულთა მკურნალობის დროსაც შეიძლება. დღესდღეობით ახალი პრეპარატის შემქმნელები წამლის კლინიკური გამოცდისთვის ემზადებიან.



კომპანია Google-მა ძიების უსაფრთხოების მონაცემები გამოაქვეყნა. ამ მონაცემების თანახმად, იმ ერთი მილიონი ვებ-გვერდიდან, რომელიც საძიებო მანქანამ შეიძლება ამოგიყაროს, დაახლოებით ექვსი ათასი მავნე კოდის მატარებელია. ამასთანავე, საუკეთესო ანტივირუსებიც კი მხოლოდ ათიდან შვიდის დაჭერას ახერხებენ. მკვლევარები მხოლოდ იმ გვერდებით დაინტერესდნენ, რომლებიც მავნე მოდულებს კომპიუტერზე მომხმარებლის ჩარევის გარეშე აყენებდნენ. Google-ის მონაცემების მიხედვით დღესდღეობით სამ ნახევარი მილიონი ასეთი გვერდია, რომელიც ასოთხმოცდაერთი ათას საიტზეა განთავსებული. მავნე საიტების რაოდენობით პირველ ადგილზე ჩინეთია (67%), მეორეზე ამერიკის შეერთებული შტატები (15%), მესამეზე კი რუსეთი (4%). ამ გამოკვლევის დროს სპეციალისტებმა სამოცდაექვს მილიონზე მეტი ვებ-გვერდი შეისწავლეს.

უჩინარი ადამიანების, ნივთებისა და ტანსაცმლის თემა ზღაპრებისა და ფანტასტიკური ლიტერატურის უცვლელი ატრიბუტებია. მეცნიერება კი მას, ადრე თუ გვიან, რეალობად აქცევს ხოლმე. ამჯერად, იაპონელმა მეცნიერებმა კიდევ ერთ ზღაპრულ ელემენტს შეასხეს ხორცი და „უჩინმაჩინი საწვიმარი" წარმოადგინეს. მისი საფუძველი განსაკუთრებული ოპტიკური ეფექტია, რის წყალობითაც ქსოვილი სინათლეს არ ირეკლავს და საწვიმარს შიგნით ყველაფერი უხილავი რჩება. სინათლის სხივის ამპლიტუდა და ფაზები ისეთ მნიშვნელობას იძენს, რომელიც სიცარიელის ილუზიას წარმოქმნის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არეკვლა ან ფაზის შეყოვნება მინიმუმამდეა დაწეული, შედეგად კი ნამდვილ „უჩინმაჩინ საწვიმარს" ვიღებთ. მეცნიერთა განცხადებით, ეს საწვიმრები ბაზარზე უახლოეს პერიოდში გამოჩნდება და ალბათ ძალიან საინტერესო იქნება, როგორი რეაქცია ექნება კაცობრიობას, როცა დიდი ქალაქები ასეთი „უჩინმაჩინებით" გაივსება.

ხუთასი წლის წინ შვეიცარიელი ოლივერ ვიეტიტეპა ლეონარდო და ვინჩის მიერ შექმნილი პარაშუტით გადმოხტა. პარაშუტის მოდელი ოთხი სამკუთხედითაა შექმნილი, რომელიც მთლიანობაში პირამიდას ქმნის. მისი კონსტრუქცია 1485 წლით დათარიღებულ ერთერთ ტექსტშია აღწერილი. შვეიცარიელი პირველი აღმოჩნდა, ვინც კონსტრუქცია წარმატებით გამოსცადა. 2000 წელს ამ ექსპერიმენტის გამეორება ინგლისელმა ედრიან ნიკოლსმაც სცადა, მაგრამ იძულებული გახდა ჩვეულებრივი პარაშუტით დაშვებულიყო.

მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე
კომპიუტ. უზრუნველყოფა თამარ ქავჟარაძე

რედკოლეგიის წევრები:
ნოდარ ბელქანია, გია მაჩაბელი,
ზაზა ფირალიშვილი,
ვახტანგ გურული,
ნინო ჩიხლაძე, ნანა ჭიღლაძე,
ნოდარ ხადური,
თემურ ნადარეიშვილი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის
გამზ.1
22 10 34